ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 10 ივლისი, 2012 №162 (5852) ფასი: 30 თეთრი

4 ივლისიდან
„ახალი თაობა“+
მაფიის ისტორია
10 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუფე იობი: „სინოდის გადაწყვეტილება შეცვალეს“

გვ. 5

სკანდალი საპატრიარქოს გარშემო

რას გააკეთებს მერაბიშვილი ორ თვეში?!

გვ. 3

გვ. 5

შაშკინმა მოადგილეები დაასახელა

გვ. 4

ალეკო შალამბერიძე: „მალე გამოჩნდება, ვინ არის ოპოზიცია და ვინ - ხელისუფლების სატელიტი“

ჯაბა ჯიშკარიანი ახალ „კმარას“ ქმნის?

გვ. 7

გვ. 3

ლადო პაპავა: „ახალაიების კლანი ძლიერდება“

საპარლამენტო არჩევნები 1-5 ოქტომბრის ფარგლებში გაიმართება გვ. 2



საქართველო ციხეების ქვეყანაა!

გვ. 7

პატიმრების სიცოცხლე დაუცველია

რუსთავში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი ზვიად ძიძიგური იქნება, გარდაბანში — მამუკა არეშიძე

ქვემო ქართლში კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატების ვინაობა უკვე ცნობილია. კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატები თეთრიწყაროში — მამუკა აბულაძე, წალკაში — აიკ მელტოიანი, გარდაბანში — მამუკა არეშიძე, ბოლნისში — დარეჯან ჩხეტიანი, რუსთავში — ზვიად ძიძიგური, დმანისში კი — პაატა ხიზანიშვილი არიან.

კანდიდატები წალკაში „ქართული ოცნების“ ოფისის პრეზენტაციაზე კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა წარადგინა. მან მხარდამჭერებს საარჩევნო პროგრამის პრიორიტეტებიც გააცნო. წალკაში კოალიცია „ქართული ოცნების“ ოფისი გუშინ ამოქმედდა.

ნიუსპრესი

2 დღეს „ქართუ ბანკს“ აუქციონზე გაიტანენ

4 გოგი თოფაძე: „ტურისტები ქვეყნის ეკონომიკას ვერ ააშენებენ“

6 ირაკლი სესიაშვილი: „სააკაშვილი განწირულია“

11 რუსეთსა და უკრაინაში გლოვის დღე გამოაცხადეს

ISSN 1987-9385
9 771987 938006

დღეს „ქართუ ბანკს“ აუქციონზე გაიტანენ

გულიკო ბალაძე

დღეს ხელისუფლება „ბანკ ქართუს“ აუქციონზე გაყიდვას გეგმავს.

ორი დღის წინ საქართველოში ჩამოვიდნენ „ქართუ ჯგუფის“ უცხოელი აქციონერების ადვოკატები კრის ვასილიადესი და მაიკლ პიტაკისი, რომლებმაც გუშინ „თბილისი მერიოტში“ პრესკონფერენცია გამართეს. მათი განცხადებით, კრის ვასილიადესი და მაიკლ პიტაკისი აქციათა 100% წილის მესაკუთრეთა ადვოკატებს წარმოადგენენ „ქართუ ჯგუფში“. „სს „ქართუ ჯგუფს“ სულ 16 აუქციონი ჰყავს. აქედან 14 აქციონერი უცხოური კომპანიაა, ხოლო დარჩენილი ორი აქციონერი ქართული კომპანიებია. მხოლოდ მათი მესაკუთრე იმ 14 კომპანიაში შემავალი 1 კომპანიაა. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მთლიანად წარმოვადგენთ სს „ქართუ ჯგუფის“ მესაკუთრეთა ინტერესებს“, – განაცხადა კრის ვასილიადესმა.

როგორც ადვოკატმა კრის ვასილიადესმა განაცხადა, საქართველოში სს „ქართუ ჯგუფის“ აქციონერებმა – უცხოური კომპანიების დირექტორებმა გამოაგზავნეს. ისინი შეშფოთებული არიან საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებით „ქართუ ბანკის“ აქციების 100%-ის აუქციონზე გაყიდვის გადაწყვეტილების გამო.

– შევიტყვეთ შემაშფოთებელი ამბავი იმის თაობაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება აპირებს 2012 წლის 10 ივლისს აუქციონზე გაყიდოს სს „ქართუ ჯგუფის 100% აქციები. აქციების აუქციონზე გაყიდვის მიზეზი გამხდარა საქართველოს ხელისუფლების მიერ ბიძინა ივანიშვილისთვის გარკვეული თანხის ჯარიმის სახით დაკისრება, რომლის დაფარვის მიზნითაც უნდა ჩატარდეს აუქციონი. ჩვენ კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ბიძინა ივანიშვილი არ არის სს „ქართუ ჯგუფის“ აქციონერი და მას არც არანაირი კავშირი არ გააჩნია სს „ქართუ ჯგუფის“ აქციონერებთან, – განაცხადა კრის ვასილიადესმა.

2012 წლის 30 აპრილამდე სს „ქართუ ჯგუფის“ აქციონერები იყვნენ: „ფინსეკ ლიმიტედი“, „ტარპან მენეჯმენტ ლიმიტედი“, კრისტა ინვესტედ ლიმიტედი“, „სარგანს ლიმიტედი“. ასევე იყო ორი ქართული კომპანია, რომელთა მესაკუთრე ფინსეკ ლიმიტედი იყო.

2012 წლის 30 აპრილს ფინსეკ ლიმიტედმა მთლიანად გაასხვისა თავისი აქციები „ბენფილდ ინვესტმენტს ლიმიტედზე“, სანვორს ჰოლდინგს ლიმიტედზე“ და ჩარვუდ ფაინენს ლიმიტედზე.

2012 წლის 30 აპრილს „ტარპან მენეჯმენტს ლიმიტედმა“ თავისი აქციების ნაწილი გაასხვისა „ბრეკლენდ ჰოლდინგს ლიმიტედზე“, „როპვინდ ინვესტმენტს ლიმიტედზე“, „ალვერდალ ინვესტმენტს ლიმიტედზე“, „ლავენი ჰოლდინგს ლიმიტედზე“, „პადბური ჰოლდინგს ლიმიტედზე“ და დროფილდ ინვესტმენტს ლიმიტედზე“.

2012 წლის 30 აპრილს „კრისტა ინვესტმენტს ლიმიტედმა“ თავისი აქციების ნაწილი გაასხვისა „ფელვეი ჰოლდინგს ლიმიტედზე“.

20012 წლის 30 აპრილს „სარგანს ლიმიტედმა“ თავისი აქციების ნაწილი გაასხვისა „მარსტენ ჰოლდინგ ლიმიტედზე“.

– არც ერთი ზემოთ აღნიშნული კომპანიის მესაკუთრე ბიძინა ივანიშვილი არ არის. თითოეული კომპანიის უკან არის სხვა მესაკუთრე და სხვა აქციონერი, – ხაზგასმით განაცხადა კრის ვასილიადესმა.

ვასილიადესმა, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე ორი განცხადება გააკეთა. კერძოდ, მისი განცხადებით:

– ბიძინა ივანიშვილს არ ეკუთვნის სს „ქართუ ჯგუფის“ არც ერთი აქცია. იგი ასევე არ ფლობს არავითარ წილს სს „ქართუ ჯგუფის“ უცხოურ კომპანიებში და, ამრიგად, სს „ქართუ ჯგუფის“ აქციები არანაირად არ არის დაკავშირებული ბიძინა ივანიშვილთან. ასე რომ, იგი არ არის არც სს „ქართუ ჯგუფის“ ბენეფიციარი მესაკუთრე. ჩვენ გვსურს ადვოკატები მოუწოდებენ საქართველოს ხელისუფლებას, შეწყვიტოს აუქციონზე სს „ქართუ ჯგუფის“ 16 აქციონერის აქციების გაყიდვა, რადგან ის სხვისი ქონებაა. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება არ შეისმენს ჩვენს განცხადებას და იგი იძულებითი აუქციონის გზით მაინც გაასხვისებს სს „ქართუ ჯგუფის“ აქციებს, მაშინ ეს შეფასება, როგორც უცხოური ინვესტიციების ექსპროპრიაცია და უცხოელი ინვესტორები და კომპანიები, რომლებსაც ჩვენ წარმოვადგენთ, დაიწყებენ საერთაშორისო სამართლებრივ დავას საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ, – აცხადებენ უცხოელი ადვოკატები.

კითხვაზე, მათი რეაქცია დაგვიანებული ხომ არ არის? ვასილიადესმა უპასუხა: საკმარისი დრო არის, ხელისუფლებას შეუძლია კიდევ მიიღოს გადაწყვეტილება. „საქართველოში გუშინ ჩამოვედით. ჯერ საკმარისი დროა, რომ ყველა უფლებამოსილმა მხარემ გადაწყვეტილება მიიღოს. სასამართლო პროცესი დაწყებულია და ხელისუფლებას გადაწყვეტილების მიღება შეუძლია პარალელურად.

კითხვაზე, იყო თუ არა აუცილებელი ეროვნული ბანკისთვის ეცნობებინათ წილის გასხვისების თაობაზე, უცხოელი ინვესტორების წარმომადგენელმა ადვოკატმა საქართველოში პაატა კიკნაველიძემ უპასუხა:

– თქვენ, ალბათ, მხედველობაში გაქვთ „კომერციული ბანკების შესახებ კანონის“ კონკრეტული დებულება, რომელიც ეხება კომერციულ ბანკში მნიშვნელოვანი წილის შეძენას. კომერციულ ბანკში მნიშვნელოვანი წილი – ეს არის აქციები, რომელთა ოდენობა აღემატება 10%-ს. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში „ქართუ ბანკის“ აქციების ან შეძენა, ან გასხვისება არ განხორციელებულა. კანონი ეხება კომერციული ბანკის მნიშვნელოვან წილს, ანუ აქციათა 10%-ზე მეტს. რაც შეეხება სააქციო

საზოგადოება „ქართუს“, იგი არ არის კომერციული ბანკი, იგი არ არის კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონით გათვალისწინებული სუბიექტი და, შესაბამისად, მისი აქციების გასხვისებაზე არ ვრცელდება არანაირი შეზღუდვა. გარდა ამისა, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში 2012 წლის 30 აპრილს განხორციელებული გარიგებების შედეგად, სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფის“ არც ერთი აქციონერი არ ფლობს 10%ზე მეტ აქციას სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფში“. შესაბამისად, არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ განხორციელებულა კომერციული ბანკის მნიშვნელოვანი წილის შეძენა. თუნდაც, კანონის ის მოთხოვნა, რომელიც ეხება მხოლოდ კომერციული ბანკების მნიშვნელოვან წილს და არა დამფუძნებლის, ან დამფუძნებლის დამფუძნებელ ორგანიზაციაში წილს, გავავრცელოთ ამ ტიპის ორგანიზაციებზეც, არც ერთი ამ გარიგების დასადებად, მოქმედ აქციონერებს არ სჭირდებოდათ არანაირი თანხმობისა და ნებართვის მიღება. ხელშეკრულებები დადებულია სანოტარო წესით.

„ქართუ ბანკის“ მფლობელობის თაობაზე 30 აპრილამდე არსებული მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია ადვოკატმა არჩილ კბილაშვილმა მოგვაწოდა. მისი განმარტებით:

– 2012 წლის 30 აპრილამდე ასეთი კონსტრუქცია იყო: იყო სააქციო საზოგადოება „ქართუ ბანკი“, რომელსაც აქვს თავისი აქციები – 100%. ეს 100% აქციები ეკუთვნოდა სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფს“, ანუ ერთი მესაკუთრე გავარკვიეთ. ახლა ისმის კითხვა – ამ სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფის“ აქციონერები ვინ იყვნენ? ამ სააქციო საზოგადოებს აქციონერი იყო 6 სუბიექტი. აქედან ორი ქართული ფირმა და ოთხი – უცხოური. ამ ორ ქართულ ფირმაში ამ ოთხთაგან ერთ-ერთ უცხოელს ჰქონდა 100%. ამიტომ შეიძლება მარტივად ვთქვათ, რომ „ქართუ ჯგუფი“ ეკუთვნოდა ოთხ უცხოურ კომპანიას, რეალურად. ახლა ისმის კითხვა, ამ ოთხი უცხოური კომპანიის უკან ვინ იდგა? ამ ოთხი კომპანიის უკან, უკვე საზღვარგარეთ იყო ბიძინა ივანიშვილი. ე.ი. (30 აპრილამდე) სამი შრე იკვეთება. „ბანკ ქართუს“ მესაკუთრეა სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგიფი“. ეს არის პირველი დონე. მეორე დონე – სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფის“ მესაკუთრეა ოთხს პლუს ორი სუბიექტი. მესამე დონეა იმ ოთხი უცხოური კომპანიის უკან უკვე საზღვარგარეთ არის ბიძინა ივანიშვილი. ასეთი განლაგება იყო 30 აპრილამდე. 30 აპრილის შემდეგ, ამ ოთხმა უცხოურმა კომპანიამ (მეორე დონეზე ვინც იყვნენ) გაასხვისა თავისი აქციები პლუს 11 კომპანიაზე, ანუ თუ მეორე დონე ადრე იყო 6 (ოთხს პლუს ორი), დღეისათვის არის 16 იმიტომ, რომ ერთმა მთლიანად გაყიდა თავისი წილი, სამმა კი – ნაწილობრივ, ანუ დაგვრჩა 16. ასეთი მოცემულობა არის დღეს.

– მესამე დონე?

– მესამე დონე, სადაც ოთხ კომპანიაში ბიძინა ივანიშვილი იყო, იქ გასხვისდა უტა ივანიშვილზე, მაგრამ იმ ოთხ კომპანიას ხომ 100% ეკუთვნოდა თავის დროზე, მეორე დონეში, იმ 100%-დან ამ ოთხ კომპანიას დარჩა ერთად დაახლოებით 5-6 %. დანარჩენ 96% მეორე დონეზევე გასხვისდა პლუს 11 კომპანიაზე. ამ ოთხ კომპანიაში ბიძინას (100% წილი) ჩაენაცვლა უტა ივანიშვილი.

– ბიძინას 100%-იანი წილის უტა ივანიშვილზე გადადგომა, რამდენადაც ეროვნული ბანკისთვის ეცნობებინა ამ საქმესთან?

– კარგი იქნებოდა, კანონის ნორმა იმისა, რომ იყოს. კანონის ნორმა ამბობს, რომ ეროვნული ბანკისგან ნებართვა არის საჭირო, როდესაც სხვისდება კომერციული ბანკის აქცია 10%-ის ზემოთ. პირველ დონე – „ბანკ ქართუს“ აქციებს ეკუთვნოდა სააქციო საზოგადოება „ქართუ ჯგუფს“, აქ ცვლილება არ მომხდარა, ანუ პირველ დონეში ცვლილება არ განხორციელებულა. კანონი ამბობს, რომ პირველ დონეში თუ ხდება ცვლილება, ის ინფორმაცია უნდა ეცნობოს ეროვნულ ბანკს. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ინფორმაცია წარსადგენი არ იყო, მაგრამ, რომც, დავუშვათ, მეორე დონეზეც გავავრცელოთ იგივე მოხოვნა, როგორც პირველ დონეზე, მაშინ კანონი ამბობს, რომ 10%-ის ქვემოთ ხდება გასხვისება და შემძენი 10%-ზე ნაკლებს იძენს, არ სჭირდება ასევე ნებართვა. 11 სუბიექტი რომ შეადგენდა, თითოეულის წილი არის 8%-ის ფარგლებში. მესამე დონე, მით უმეტეს, არ იყო ვალდებული, რაიმე ეცნობებინა, მესამე დონე არის საზღვარგარეთ. ბიძინა ივანიშვილს სავარაუდოდ ცენტროპისში აქვს სახლი, ის რომ გაასხვისოს, ამას არ სჭირდება საქართველოს იურისდიქციასთან კავშირი და ნებართვა. მესამე დონე საერთოდ გარეთაა.

– წილის გასხვისების თაობაზე რომ ეცნობებინა, მაშინ ხელისუფლებას რას ეტყოდა?

– ხელისუფლება ამბობს, ჩვენ ვათანაბრებთ ბიძინა ივანიშვილს მთლიანად ამ ბანკთან. სხვადასხვა დონეებს ისინი არ უყურებენ და მთლიანად აღიქვამენ, როგორც პირველ დონის მესაკუთრეს. დავუშვათ, ეს ასეა თუმცა, არასწორია. მათ ვაძლევთ მინაცემებს. ისინი ამბობენ, ამას არ ეცნობენ. ამ სიტყვებს არ ამბობენ, მაგრამ როცა ბანკი აუქციონზე გადის, მიუხედავად დოკუმენტების წარდგენისა, ფაქტობრივად ამ კითხვაზე პასუხს აძლევიან. განცხადება იმის თაობაზე, რომ ეროვნულ ბანკს არ ეცნობა, უფლებამოსილია. ჯერ ერთი, არ უნდა ცნობებდა. მეორეც – დავუშვათ, დღეს ხომ ეცნობა, ამ შემთხვევაში აუქციონი მაინც არ უნდა ჩატარდეს.

– ვთქვათ, კეთილი ნება რომ გამოჩენათ და მაშინ ეცნობებინათ?

– არავითარი კეთილი ნება, ეს პოლიტიკური თამაშია. ისე, რომ გვეცნობებინა, მაშინ იტყოდა ხელისუფლება, ორშაბათს კი არა, სამშაბათს უნდა გეცნობებინათო, ამიტომ დაგვიანებულად ჩათვლიდნენ.

„ქართული ოცნების“ პრესსამსახურის კერის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, „ბანკი ქართუ“ კომერციული ბანკი არის, საინვესტიციო ბანკია, ის ბიძინა ივანიშვილმა ის ქვეყნისა და ხალხისთვის შექმნა. ხელისუფლების სურს, გაანადგუროს.

სააკაშვილი: „კახეთი მსოფლიო ბრენდი უნდა გახდეს“

კახეთი მთელმა მსოფლიომ უნდა გაიცნოს და საერთაშორისო ბრენდი გახდეს. ამის შესახებ გუშინ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოლდოვას რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ვლადიმერ ფილატთან ყვარელში, არაფორმალურ ვითარებაში, საკუთარ კარ-მიდამოში მასპინძლობისას განაცხადა.

მოლდოვას სამთავრობო დელეგაცია პრემიერის ვლადიმერ ფილატის ხელმძღვანელობით თბილისს გუშინ ეწვია.

„მე აქ ბევრი დელეგაცია მივიღე. კახეთი საერთაშორისო ბრენდი უნდა გახდეს. ეს ამ მხარის კეთილდღეობას წინ წაწევს“ – განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით, ის ამ პროცესს ხელს იმით უწყობს, რომ თავის კარ-მიდამოში, ყვარელში უცხოურ დელეგაციებს იღებს.

ამასთან, მან განაცხადა, რომ ევროკავშირის ოფიციალური მონაცემებით, საქართველო მსოფლიოში უკვე ყველაზე ნაკლებად კორუმპირებული და ნაკლებად კრიმინალიზირებული ქვეყანაა.

„ვისაც რა უნდა ის თქვას. ეს უკვე ევროკავშირის ოფიციალური მონაცემებია. ვინმე ამაზე 6-8 წლის წინ იოცნებებდა?“ – აღნიშნა სააკაშვილმა.

როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, მოლოდვა საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორია ევროკავშირში ინტეგრაციის საქმეში.

ნიუსპრესი

საპარლამენტო არჩევნები 1-5 ოქტომბრის ფარგლებში გაიმართება

საპარლამენტო არჩევნები ოქტომბრის პირველივე კვირას – 1-5 ოქტომბრის ფარგლებში გაიმართება. საარჩევნო დღედ კვირის შუა დღე შეირჩა თუმცა კანონის გათვალისწინებით, ეს დღე უქმედ გამოცხადდება.

ამის შესახებ „პირველისათვის“ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გახდა ცნობილი. ინფორმირებული წყაროს ცნობით, საარჩევნო გრაფიკი იმგვარად არის შედგენილი, რომ არჩევნების თარიღი 5 ოქტომბერს არ გადასცდეს.

კონსტიტუციის თანახმად, არჩევნები პრეზიდენტის ბრძანებულებით არჩევნებამდე არაუგვიანეს 60 დღით ადრე ინიშნება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ის 1-5 ოქტომბრის ფარგლებში ჩატარდება, უკიდურესი დღე, როცა მიხეილ სააკაშვილმა არჩევნები უნდა დანიშნოს, 6 აგვისტოა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც მმართველი პარტიის გენერალურმა მდივანმა მიხეილ მაჭავარიანმა რამდენიმე დღის წინ „პირველთან“ საუბრისას განაცხადა, საპარლამენტო არჩევნების თარიღი საზოგადოებისთვის მის ოფიციალურად გამოცხადებამდე გახდება ცნობილი.

პოლიტიკურ კულუარებშიც ელიან, რომ ეს თარიღი უახლოეს რამდენიმე დღეში დასახელდება, ხოლო არჩევნები ოფიციალურად თარიღის დასახელებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ დაინიშნება.

პირველი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ლადო პაპავა: „ახალაიების კლანი ძლიერდება“

შორენა კოწოწაშვილი

ლადო პაპავა ფიქრობს, რომ ვანო მერაბიშვილის მიერ წარმოდგენილი ეითომ საპროგრამო დოკუმენტი დაუსაბუთებელია. არის თუ არა არჩევნების მოგება მერაბიშვილის ინტერესებში და მისი გაპრემიერებით რა გათვალა საკაშვილმა? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პროფესორ

ლადო პაპავასთან.

– პატონო ლადო, რით ახსნიდით პრეზიდენტის მხრიდან ვანო მერაბიშვილის პრემიერ-მინისტრის პოსტზე მაინცდამაინც ამ ეტაპზე გადაყვანას?

– რომ გითხრათ, რომ მოლოდინი იყო იმის, რომ გილაური ახლა აჯობებს შეეცვალა, ნამდვილად ამის მოლოდინი არ იყო არც საზოგადოებაში და არც პოლიტიკოსებში. მაგრამ საკაშვილი სწორედ გამორჩეულია არასტანდარტული, მოულოდნელი ნაბიჯებით, რაც მას არცთუ იშვიათად აძლევდა უპირატესობას მასთან დაპირისპირებული პარტიების ლიდერებთან შეჯართებაში. ამიტომ მან კიდევ ერთი მოულოდნელი ნაბიჯი გადადგა, თანაც, ძალიან საინტერესო. ახლა საჭიროა გაანალიზდეს, რაზეა ეს გათვლილი. ასეთი პუბლიკაციაც გაჩნდა ერთ-ერთ უცხოურ გამოცემაში – „საკაშვილმა თავის მედვედევი იპოვა“. აქვს თუ არა ამ ვერსიას არსებობის უფლება? რა თქმა უნდა, აქვს. თუმცა, მე ეს ეჭვის თვალით ვუყურებ მას, იმიტომ, რომ ხელისუფლებამ ისე უნდა მოიგოს არჩევნები, რომ საკაშვილმა არა მხოლოდ მოახერხოს პრემიერ-მინისტრად გახდომა, არამედ შემდეგ პრემიერ-მინისტრობაც შეძლოს. ახლა, როგორც პრეზიდენტი, ის წინაშდეში ერთხელ არის ვალდებული, პარლამენტში მივიდეს. მაგრამ როგორი გაზრდილი უფლებამოსილებითაც არ უნდა იყოს მომავალი პრემიერი, ის უშუალოდ პარლამენტის წინაშე იქნება ანგარიშვალდებული. მას ხშირად მოუწევს პარლამენტში მისვლა. თუნდაც ასეთი შემთხვევა რომ წარმოვიდგინოთ, 40-45% იყოს პარლამენტში ოპოზიციური ძალები. წარმოგიდგენია, იქ ერთი ჯონდი ბაღათურიას ნაცვლად, რვა-ათი „ბაღათურია“ რომ დახვდება... ერთს ვერ გაუძლო საკაშვილმა და გაიქცა დარბაზიდან, ხოლო რამდენიმე „ბაღათურიას“ ხომ საერთოდ ვერ გაუძლებს. ამიტომ საკაშვილს პარლამენტში სჭირდება დიდი უმრავლესობა, რომ არა მარტო გარანტირებულად გახდეს პრემიერ-მინისტრი, არამედ კომფორტულადაც იგრძნოს თავი. წინაალმდეგ შემთხვევაში საკაშვილ პრემიერ-მინისტრობას უბრალოდ ვერ შეძლებს. რა თქმა უნდა, არის ასეთი ვერსიაც, რომ პრემიერმა პარლამენტში თავის ნაცვლად ვიცე-პრემიერი გააგზავნოს, მაგრამ ეს საკაშვილისთვის ყოველთვის არაკომფორტული იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში მერაბიშვილს დაეკისრა ფუნქცია, რომ არჩევნები მოიგოს. ხოლო თუ ვერ მოიგო, ჯერ სწორედ მერაბიშვილზე გადატყდება.

– პოლიტიკოსების ნაწილის აზრით, მერაბიშვილს პოლიტიკური ამბიციები გაეზარდა და საკაშვილისთვის სახიფათოა მისი გაპრემიერება.

– ჯერ ერთი, საკაშვილმა თავად აპირა მერაბიშვილი, როგორც წარმატებული მინისტრი; მეორე – მერაბიშვილმა არც დამალა ამბიციები და პარლამენტში თქვა, რომ პოლიცია უფრო პოპულარული, ვიდრე ნაციონალური მოძრაობაო. ეს საკმაოდ ამბიციური განცხადება იყო. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მერაბიშვილ შეაქო ბიძინა ივანიშვილმა, როგორც კი პოლიტიკაში მოვიდა. ეს რევერანსიც მთლად დადებითად ვერ იქნებოდა აღქმული საკაშვილის მიერ.

– ივანიშვილის ეს სიტყვები ამ წინაარჩევნოდ არც ბოლომდე ჩამკვდარი თემაა?

– მოგვიანებით ივანიშვილმა მერაბიშვილი კი გააკრიტიკა, მაგრამ ეს კრიტიკა შეიძლება ბევრს არ დაამახსოვრდა, მაგრამ ივანიშვილის მხრიდან მერაბიშვილის შექება ბევრს ახსოვს, იმიტომ, რომ ეს ყველასთვის მოულოდნელი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნებში ძალიან ბევრი სისულელე იქნება სათქმელი. არ უნდა საკაკაშვილს, რომ თვითონ ერეკპარაკოს ეს სისულელეები. თან ერთი ეელი კარგი ორატორია, ის მაინც ვერ ახერხებდა იმას, რომ ხანდახან სასაცილო რამ არ ეთქვა. მერაბიშვილი კარგი ორატორი ნამდვილად არ არის, უბრალოდ, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ის დუმდა ქართული მედიისთვის. რაც ალაპარაკდა, ორისამი გამოსვლა ჰქონდა და უკვე რამდენიმე „მარგალიტი“ გვაჩუქა. გათვლა მარტივია: სასაცილოს თუ იტყვის, ხალხმა იცინოს არა საკაკაშვილზე, არამედ მერაბიშვილზე.

– გასაგებია, თუმცა ეს მთლიანად სახელისუფლო გუნდზე აისახება უარყოფითად.

– მათ ხომ თავის გუნდი თვითონვე შეავიწროვეს. ესენი არიან, რაც არიან. ნებისმიერი გადაადგილების დროს „კარუსელია“ გამოყენებული. მითხარით, რისი სპეციალისტია დიმიტრი შაშკინი. რა იცის მან – ციხეები? განათლება და მეცნიერება, თუ თავდაცვა? ან რისი სპეციალისტია ბაჩო ახალაია? ციხეების, ჯარის თუ პოლიციის?

– როგორც ოპოზიციაში ამბობენ, ის „შავი საქმეების“ და ძალის დემონსტრირების სპეციალისტია...

– ახალაიას რაც შეეხება, მისი დანიშვნა შინაგან საქმეთა მინისტრად სულაც არ არის შემთხვევითი, იმიტომ, რომ სწორედ ის გარკვეული უნდობლობა, რომელიც გაჩნდა მერაბიშვილის მიმართ, როცა ის ივანიშვილმა შეაქო, სწორედ ამის გამო ჩაანაცვლეს ის ახალაიათი, რომელიც საკადრო წმენდის ბრწყინვალე სპეციალისტია. ჩვენ ყველა ვხედავთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო წმენდა მიმდინარეობს. ისე, ახალაიების კლანი რომ ძლიერდება, გასაგებია. დეპარტამენტის უფროსობიდან ბაჩო ახალაიას ძმა თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა, ერთგვარი როქი გაკეთდა. აშკარაა, რომ პრეზიდენტი ახალაიებს უფრო ენდობა.

– ეს საკადრო წმენდა მერაბიშვილს არჩევნების მოგებაში ხელს შეუშლის?

– არ ვარ დარწმუნებული, რომ მერაბიშვილისათვის გეგმა არჩევნებში გამარჯვებაა. ნუ დაგვავიწყდება, რომ თუ ივანიშვილმა მერაბიშვილი შეაქო, ე.ი. ამ შექებას რაღაც საფუძველი ჰქონდა. მე არ ვიცი, რა გეგმა აქვს მერაბიშვილს სათავისოდ. ერთ-ერთმა უცხოურმა გამოცემამ კი დაწერა, მერაბიშვილი საკაკაშვილის მედვედევიაო, მაგრამ არის კი ის მართლაც მედვედევი?! ნამდვილად არ მინდა გამოვიდეს, რომ მერაბიშვილი პოზიტიური ფიგურაა, იმიტომ, რომ მის სინდისზე არაერთი საქმეა, დაწყებული გირგვლიანისა და სხვა ახალგაზრდების მკვლელობიდან, გაგრძელებული 7 ნოემბრით და დასრულებული 26 მაისით. ამას ვერავინ დაივიწყებს.

– გასაგებია, მაგრამ არც ახალაიები არიან დადებითი იმიჯის და ეკლესიების ნგრევა სწორედ მათ სახლს უკავშირდება.

– გასაგებია. ნამდვილად არ ვიცი, მაინც რა არის მერაბიშვილის ინტერესებში, მაგრამ იმ ამბიციის კაცს, როგორიც ის არის, რა თქმა უნდა, სერიოზულად გაანაწყენებს ის, რასაც ახლა შინაგან საქმეთა სამინისტროს უკეთებენ, სამინისტროს, რომელსაც ის საკმაოდ აძლიერებდა და ყველაფერს აკეთებდა, რომ ერთგული სტრუქტურა ყოფილიყო. არ მგონია, რომ მერაბიშვილი ამით ბედნიერი იყოს.

– როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, მერაბიშვილი „გაღლეტილი“ მინისტრია.

– ამით საკაკაშვილმა მერაბიშვილს პრაქტიკულად შეურაცხყოფა მიაყენა, იმიტომ, რომ „გაღლეტილი“ „ღარიბ“ არ ნიშნავს. ეს პიროვნული თვისებების საკმაოდ კნინობითი შეფასებაა. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება საკაკაშვილმა ამდენი ქართული არც იცოდეს. არც ესაა გამორიცხული, ისევე როგორც არ იციან, მთავრობაში და პარლამენტში. სამაგიეროდ, მერაბიშვილს აქვს საკმაოდ დიდი არჩევანი იმის, თუ რა გააკეთოს. მაგრამ მერაბიშვილი ვერ იქნება ისეთი ძლიერი პრემიერ-მინისტრი, როგორიც მას თვითონ გაეხარდებოდა და რაც იქნებოდა შესაძლებელი მხოლოდ ერთ შემთხვევაში, თუ შინაგან საქმეთა მინისტრად მერაბიშვილის კაცი დაინიშნებოდა. ეს კი საკაკაშვილს არ აწყობდა. რაში სჭირდება საკაკაშვილს მერაბიშვილის გაძლიერება? მას ხომ მხოლოდ საკუთარი თავის გაძლიერება სჭირდება.

– ასე შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ვანო მერაბიშვილს ხელისუფლების შიგნით უკვე ბრძოლა გამოუცხადეს?

– ბრძოლა მის წინააღმდეგ მაშინ დაიწყო, როცა მისი საკადრო პოლიტიკა შინაგან საქმეთა სამინისტროში უარყოფილ იქნა. მერაბიშვილს უკვე აქვს პრობლემები და ეს სახეზეა.

– რაც შეეხება თავად მერაბიშვილს და მის მიერ წარმოდგენილ პროგრამას, რომელიც ისე წარმოჩნდა, თითქოს ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირებების ალტერნატივაა. ითქვა, რომ მერაბიშვილი ივანიშვილის საპირწონედ დანიშნეს.

– რაც შეეხება საპირწონეს, თვითონ საკაკაშვილი არის კი ივანიშვილის საპირწონე?! საკაკაშვილი პოლიტიკაში ბევრად გამოცდილია. ივანიშვილის სახით გვაქვს კარგი ტრანსფორმაცია. ის, როგორც პოლიტიკოსი, იზრდება. მისი ყოველი გამოსვლა წინას სჯობია. მართალია, საკაკაშვილს აქვს დიდი უპირატესობა პოლიტიკური გამოცდილების თვალსაზრისით, მაგრამ მისი მინუსი ის არის, რომ მან ხალხს თავი შეაძულა. ივანიშვილს კი ამ მხრივ უპირატესობა აქვს, რადგან მართალია, მას ხალხი სახეზე არ იცნობდა, მაგრამ მასზე ლეგენდები დადიოდა, გამომდინარე იქიდან, თუ რა კეთილი საქმეები გაუკეთებია. ამიტომ ივანიშვილის გმირად ქცევა, არ ხდებოდა უშუალოდ პოლიტიკაში მოსვლით. ეს ხდებოდა წლების მანძილზე იმ კეთილი საქმეებით, რასაც აკეთებდა. საკაკაშვილის მხრიდან იყო დაპირება, ტყუილი, ჩარეცხვა, ცემა, მოკვლა, დაჭერა, არჩევნების გაყალბება, ომი და ა.შ. თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ არის ნაწილი ხალხისა, რომლისთვისაც „მიშა მაგარია“ და „ღმერთია“. ეს ატროფირებული აზროვნების ხალხი, ყოველთვის იქნება საზოგადოებაში. ახლა რაც შეეხება იმას, არის თუ არა მერაბიშვილი ივანიშვილის საპირწონე. საკაკაშვილს უნდა, რომ გახადოს ის საპირწონე. სქემა არის ასეთი: შენ ხომ შეაქე, რომ მერაბიშვილი ყველაზე კონსტრუქციულია, აი, გიპირისპირებ ყველაზე კონსტრუქციულს და მოდი, და ამას შეეჯიბრეო. პოლიტტექნოლოგიური თვალსაზრისით, საკაკაშვილის ეს გადაწყვეტილება არგუმენტირებულია.

– რაც შეეხება დაპირისპირებას პროგრამულ დონეზე?

– სამწუხაროდ, ჯერ არც „ქართული ოცნებას“ არ დაუდია პროგრამა. ისმის ჯერ მხოლოდ გარკვეული დაპირებები. მთავრობამ უკვე დადო დოკუმენტი, რომელიც სულაც არ არის პროგრამა, ისევე როგორც არც ერთი წინა დოკუმენტი არ იყო პროგრამა. ამჯერადაც სახეზეა მხოლოდ მოწოდებები და დაპირებები, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე.

– მერაბიშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, გთვლების გარეშეა, როგორც ამბობთ, მხოლოდ თანხების ფრიალია?

– თუ ასეთივე სუსტ დოკუმენტს დადებს „ქართული ოცნებაც“, დამერწმუნეთ, რომ ვიტყვი, რომ ისიც უვარგისი დოკუმენტია. ვნახოთ, ჯერ იმათ არ დაუდიათ, ამათ კი დადეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სათაურშია შეცდომა დაშვებული. რა არის „მეტი სარგებელი ხალხს“? ქართულად უნდა ყოფილიყო „მეტად სასარგებლო ხალხისათვის“. ახალი სამთავრობო დოკუმენტი დუმს მთავრობის წინა დოკუმენტებზე. წინა პროგრამა რომ ჰქონდათ, „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“ განა დამთავრდა? ან სად არის მთავრობის „10-პუნქტიანი გეგმა“, რომელიც 2011 წლის შემოდგომაზე გაპიარდა? ან სად არის „5-პუნქტიანი გეგმა“, რომლის სამი პუნქტიც მიხეილ საკაკაშვილმა 2012 წლის თებერვალში პარლამენტში გააჟღერა?! არ არის ეს მთავრობა საკაკაშვილის მთავრობა თუ საკაკაშვილის დაპირებებზე ეს მთავრობა პასუხისმგებლობას არ იზიარებს?

– ანუ მერაბიშვილმა საკაკაშვილის დაპირებების შესრულებაზე პასუხისმგებლობა მოიხსნა?

– თუ ეს ასეა, მით უარესი საკაკაშვილისთვის. გამოდის, რომ მთავრობა მას არ უჯერებს. რა ეს მთავრობა მისი მთავრობა არ არის? რეალურად მერაბიშვილის პროგრამაც არაფრისმთქმელია. გავა დრო და ისიც არავის ეხსომება. რაც ახლა თქვეს, ეტყობა ეს მხოლოდ ამ ეტაპისთვის არის საჭირო.

რას გააკეთებს მერაბიშვილი ორ თვეში?!

ა.ა.ა.ი ასათიანი ახ გამოხცხავს, ჰომ სა.ა.ა.შვიეს ეჭვები გაუჩნდა მეჰაბიშვიეთან და.ა.ავშიჰებით და ის ჰოეიცსას მოაშოჰა. ხშიჰად აქებდა ივანიშვიეი ვანოს და შეიძეება ამან და.ა.ეჭვა. ადჰე თუ მეჰაბიშვიეს, სიტყვაზე, ებაჰა 20 ათასი ჯაკი იაჰაღით ხეეში, დღეს აბაჰია ოკი ჯაკი ჯაღმით ხეეში და ჩვენს ქვეყანაში ძაღაუფეება იზომება ძაღისმიეჰი მეთოდებით, ვიდჰე ჯაღმისტჰით და ეს თქვენკ იკით, - ა.ცხადებს ასათიანი.

ნონა ცაბაძე

ა.ა.ა.ი ასათიანი:

– გარდა ეჭვებისა, ხელისუფლებას სხვა გზა არ ჰქონდა, ამ ფონზე რაღაც ცვლილებები უნდა განახორციელებინა. შესაძლოა, ესეც იყო ერთ-ერთი ფაქტორი.

– თქვენი აზრით, რამდენად ეფექტური იქნება ეს ცვლილებები?

– ორ თვეში რა ეფექტი უნდა მოახდინოს მერაბიშვილმა, არ ვიცი. პოლიტიკური პრეტენზიები რომ არ იყო, ვანომ მინისტრად იმუშავა, თავისი საქმე გააკეთა. რა გამოუვა ახლა ამ ორ თვეში და რა შედეგებს ჰპირდება ხალხს, ვერ გეტყვით. ივანიშვილის ფონზე, ეტყობა, რაღაც ნაბიჯი იყო გადასადგმელი და უფრო დამაჯერებლად ჩაითვალა მერაბიშვილის დანიშვნა, ვიდრე სხვისი. შესაძლოა ივანიშვილის განცხადებებმაც განაპირობა ეს ყოველივე.

– ივანიშვილი არც მალავს, რომ მას ვანო მერაბიშვილთან კარგი ურთიერთობები ჰქონდა...

– ივანიშვილს კარგი ურთიერთობა ჰქონდა მერაბიშვილთანაც და საკაკაშვილთანაც, ბოლო პერიოდია, რაც მათი ურთიერთობები შეიცვალა. ამ ეტაპზე მათ აუცილებლად სჭირდებოდათ ცვლილებები. ისინი იმეორებენ ზუსტად იგივეს, რასაც ივანიშვილი ამბობს. ეტყობა, ამაზე საუბარი მერაბიშვილის პირით უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, იქიდან გამომდინარე, რომ თავის სამინისტროს თავი დაადგა. აქ რამდენად წარმატებით გამოუვა მოღვაწეობა, ეს კიდევ სხვა საკითხია. თუკი ასე შევხედავთ, რომ 20 ათასი იარაღიანი კაცის ნაცვლად, დღეს მას ჰყავს 20 კაცი კალმისტრით. რეალურად ჩვენს ქვეყანაში ძალაუფლება იზომება ძალისმიერი მეთოდებით, ვიდრე კალმისტრით.

– ვეღარ გააკონტროლებს მერაბიშვილი ძალოვან უწყებებს? წესით, მას ხომ ყველა მინისტრი ემორჩილება...

– ასე არ არის, მინისტრები საკაკაშვილს ექვემდებარებიან კანონითაც და დაუწერელი კანონითაც. საკაკაშვილი არ გაუშვებს ხელიდან ამ ბერკეტებს.

– ახალ ძალოვან მინისტრებზე რას ფიქრობთ?

– მე არ მგონია ეგრეგებიანი პოზიცია იქნება...

– თუნდაც მაგიტომ. ხანდახან წამგებიან ნაბიჯებს მაინც დგამენ. ხელისუფლებამ რამდენჯერმე უკვე გადადგა წამგებიანი ნაბიჯი. იგივე მერეთში და აი, ეს დაყადაღებების სერია რომ არის, ეს არის სულელური. მოქალაქეობის ჩამორთმევიდან დაწყებული, სულ მცდარი ნაბიჯები იყო ხელისუფლების მხრიდან გადადგმული.

– თქვენი აზრით, რა სტრატეგიას აირჩევს ხელისუფლება საარჩევნოდ?

– ეს აირჩია ეტყობა: ჯანდაცვა, უმუშევრობასთან ბრძოლა და სოფელი. ანუ ზუსტად იგივე, რაც ივანიშვილმა და საკმაოდ საინტერესო მოსასმენია ამაზე კამათი. პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლება ამას ამბობს რვა წლის მერე და ხალხში ეს ბადებს კითხვას – მანამდე სად იყავი?! მეორე კითხვაა, საიდან ეს ყველაფერი ორ თვეში და ყველას ესმის ისიც, რომ ეს საარჩევნო პროგრამაა და რომ ამირჩევთ, მერე იქნება. ჟარგონს გამოვიყენებ და „პოსლეზეა“ ეს ყველაფერი. ივანიშვილს რაც შეეხება, ხალხს სჯერა მისი, რომ ივანიშვილი, სადაც აქამდე ხელისუფლებისთვის არ იბრძოდა, მაგრამ ქვეყნისთვის მილიარდ ნახევარი ჰქონდა დახარჯული. არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ამ ხელისუფლებას აქვს თუ არა ფული, არ ვიცითო და იმას თუ დააკლდება, ბოლო-ბოლო თავისას წააშველებს ქვეყანასო. აი, ასეთ არგუმენტებს მოისმენთ ხალხში.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლებს არჩევნების გაყალბებას საკაკაშვილი?

– მცდელობა ალბათ იქნება, მაგრამ რამდენად გამოუვათ, ეს მეორე საკითხია. საერთაშორისო მხარდაჭერაც საგრძნობლად შესუსტებულია. ისინი არავის მხარეზე არ გადასულან და როგორც ჩანს, ნეიტრალურს თამაშობს საერთაშორისო საზოგადოება. სხვათა შორის, ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

ალეკო შალამბერიძე: „მალე გამოჩნდება, ვინ არის ოპოზიცია და ვინ - ხელისუფლების სატელიტი“

თეა მარხვაიძე

ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ ალეკო შალამბერიძეს თბილისის საქალაქო სასამართლომ მსუყე ჯარიმა დააკისრა. მას 40 ათასი ლარის გადახდა მოუწევს და მხოლოდ იმიტომ, რომ თავის პარტიას „თავისუფალი საქართველო“ 8 ათასი ლარი შესწირა. მის გარდა კიდევ 16 ადამიანი დაჯარიმდა. მათ შორის, ერთი ნაცმოძის მხარდამჭერია.

დაჯარიმებული შალამბერიძე ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, არჩევნების ნორმალურად ჩატარება მხოლოდ ერთად დგომით არის შესაძლებელი. რატომ და როგორ უნდა მოხდეს ოპოზიციის გაერთიანება, რა მიმართვას ავრცელებს „თავისუფალი საქართველო“, სად გამოჩნდება პოლიტიკოსების პოლიტიკური ორიენტაცია, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ალეკო შალამბერიძე ესაუბრება.

ალეკო შალამბერიძე:

– პარასკევ საღამოს მოგვიტანეს კონტროლის პალატის ოქმი. ღამის ათის ნახევარზე ტელეფონით დარეკეს, რომ შაბათს, დღის 4 საათზე, სასამართლო პროცესი გაიმართებოდა. რამდენიმე საათში სასამართლოსთვის მომზადება ძალიან ძნელი იყო. ჩვენმა ადვოკატებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ სასამართლო პროცესი გადაეტანათ. სასამართლო 7 ივლისის ნაცვლად, კვირას, დილის 10 საათზე დაიწყო. ეს პროცესი უკანონოდ წარიმართა.

– უკანონოდ რატომ?

– იმიტომ, რომ ჩვენი მტკიცებულებები არც კი განუხილავთ. მე მივიტანე ათასგვარი საბუთები, საიდანაც მტკიცდებოდა, რა გზით მქონდა მე შემოსავალი. სასამართლომ არც დანარჩენების მტკიცებულებები განიხილა. 17 კაცი ასე დაგვაჯარიმეს.

– თქვენ პარტიას 8 ათასი ლარი შესწირეთ და 40 ათასი რატომ უნდა გადაიხადოთ?

– კანონში ასეა ჩაწერილი. ეს თანხა ხუთმაგდება.

– რატომ ხუთმაგდება, რაკი 5 ნაციონალების ციფრია?

– არც უმაგისობაა. ყველაფერში ხომ 5 უნდა ფიგურირებდეს. 2 დღის წინაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, 8 ივლისს სასამართლომ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება. ის განაჩენი გიორგი მიქაუტაძეს არ გამოუტანია.

– აბა, ვინ გამოიტანა?

– მიხეილ სააკაშვილმა. სასამართლოს მიმდინარეობისას მოსამართლეს ვიღაცამ დაურეკა. ის გავიდა, შემოვიდა და 17 კაცს ჯარიმა დაგვაკისრა.

– დაჯარიმებულთა შორის ერთი ნაციონალების მხარდამჭერია. ის როგორ მოხვდა ამ გაუგებრობაში?

– არავითარი გაუგებრობა, მისი დაჯარიმება სპექტაკლის ნაწილი იყო. ეს კაცი სპეციალურად შემოაგდეს. მერე იტყვიან, რომ აი, ჩვენ ნაციონალებსაც ვაჯარიმებთო.

– ჯარიმა 7 დღის ვადაში უნდა გადაიხადოთ. რას აპირებთ?

– ჯარიმის გადახდას ნამდვილად არ ვაპირებ. ამ განაჩენს აუცილებლად გავასაჩივრებთ. ასევე ფიქრობენ სხვა დაჯარიმებულები. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ. მიმაჩნია, რომ ამ ბრძოლაში მთელი ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს. ჩვენ ერთად უნდა ვიბრძოლოთ უკანონო კანონების შესაცვლელად.

– კონკრეტულად რომელი კანონის შესაცვლელად მოუწოდებთ ოპოზიციას გაერთიანებისკენ?

– პირველ რიგში, უნდა შევცვალოთ პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონი. ეს კანონი არანაირ საშუალებას არ გაძლევს, პარტიისთვის რაიმე ფინანსები რომ მოიზიდო. პარტიას თანხები აუცილებლად სჭირდება. ამიტომ, ეს კანონი არის შესაცვლელი. ასევე უნდა გავერთიანდეთ საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად.

– საარჩევნო გარემოზე ბევრი ჩვენის. თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გარემოს გაუმჯობესებისთვის არავის სცხელა. დღეს ოპოზიციის დიდი ნაწილი იმას არკვევს, რატომ გადაიყვანეს მერაბიშვილი პრემიერად.

– სამწუხაროდ, ოპოზიცია დღეს სულ სხვა ტალღაზე გადაერთო. ყოჩაღ, შევარდნაძეკ!

– შევარდნაძე რალა შუაშია?

– შუაში? შუაში კი არა, თავშია. მან გამოზარდა სააკაშვილი, მან ასწავლა პოლიტიკური ხრიკები. ესეც მაგარი მოსწავლე გამოდგა. დღემდე ოპოზიციის დაბნევას კარგად ახერხებს. კარგად გამოსდის, რომ ოპოზიციას სხვა საკითხებზე გადაატანინოს ყურადღება. მერე ირკვევა, რომ ის საკითხი მნიშვნელოვანი სულაც არ არის. სააკაშვილი ეშმაკობს, ჩვენ კი პირი გვაქვს ღია და დოყლაპიობას ვამჟღავნებთ. იმის მაგივრად, რომ გავერთიანდეთ, ვდგავართ და ახალაია-მერაბიშვილზე ვსაუბრობთ. დრო კი მიდის და ის ჩვენს სასარგებლოდ ნამდვილად არ მუშაობს. ახლავე უნდა დავიწყოთ ამაზე ფიქრი, თორემ ხვალ შეიძლება გვიანი იყოს. პრინციპში, უკვე დავაგვიანეთ, მაგრამ ჯერ ისევ შეიძლება გამოსწორება.

– ოპოზიციის გაერთიანებას ხალხიც ითხოვს, მაგრამ რიგ პარტიებს არ უნდათ სხვებთან ბლოკის შექმნა.

– მერე ვინ თქვა, რომ ბლოკის შექმნა გვინდა ვინმესთან. ბლოკიც მაგათთვის იყოს, აგურიც და არმატურა-სინკარებიც. მე სხვა რამეს ვითხოვ. მინდა, რომ ოპოზიცია ერთიანი იყოს უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლაში. კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ ყველა პარტიას თანაბრად დააზარალებს.

– ამ თემაზე ბევრჯერ ყოფილა პარტიებს შორის კონსულტაციები. ყველა ამბობს, რომ ერთიანად უნდა გამოხვიდეთ ამ კანონების წინააღმდეგ. მაგრამ გაერთიანება ვერ ხერხდება. ამის მიზეზი რა არის?

– ყველა პარტიას თავისი მიზეზი ექნება. პარტია „თავისუფალი საქართველო“ ამ თანამშრომლობისთვის მზად არის. იანვრიდან მოყოლებული ვამბობთ, რომ უკანონო კანონების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლაა საჭირო. სხვა თუ არაფერი, იმისთვის უნდა ვიბრძოლოთ, რომ არჩევნებში მივიღოთ მონაწილეობა. ამათი მიღებული კანონით ესეც კი სათუო ხდება. ამიტომ მოვუწოდებდით პარტიებს გაერთიანებისკენ, თორემ კიდევ გიმეორებთ, ბლოკი და აგური არაფერში გვჭირდება. ჩვენ აქციებზეც კი უარს ვამბობდით.

– აბა, პროტესტი როგორ უნდა გამოგეხატათ?

– განცხადების გაკეთება და ხელის მოწერაც არ იქნებოდა ცუდი. პარტიებს ესეც შევთავაზეთ.

– ეს ფორმა გამოიღებს რაიმე შედეგს?

– თუ ყველა ერთად ვიქნებით, გამოიღებს. საერთაშორისო თანამეგობრობა დაინახავს, რომ ხელისუფლების მიერ მიღებულ კანონს ყველა პარტია ეწინააღმდეგება. სამწუხაროდ, პარტიებმა ამაზეც უარი თქვეს.

– რატომ თქვეს უარი და რაზე მიუთითებს ეს?

– დღეს ამის გარკვევას არ ვაპირებ. ახლა გარჩევის დრო არ გვაქვს. ერთმანეთთან პრეტენზიები კი გვაქვს, მაგრამ მთავარი მტერი არ უნდა დაგვავიწყდეს. ოპოზიციის მთავარი მტერი დღეს სააკაშვილი და მისი ნაციონალური მოძრაობაა. როგორც უკვე ვთქვი, ჯერ კიდევ შეიძლება რაღაცის გაკეთება. ამიტომ დავმოით რაღაცები და დავდგეთ ერთად. ამას თუ შევძლებთ, ეს იქნება პოლიტიკური სიბრძნე, რომელიც ქვეყანას წაადგება პირველ რიგში. მე არ ვიცი, ვინ ფიქრობს და ვინ ოცნებობს. ყველას თავის გზაზე გაუმარჯოს. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ არსებულ ვითარებას პრაგმატულად უნდა შევხედოთ. ჩვენმა პარტიამ გუშინ კონსულტაციების ახალი ეტაპი დაიწყო.

– კონსულტაციებს ადრეც ხომ ატარებდით?

– კი. იანვარში, თებერვალსა და მარტში.

– მაშინ თუ არ გამოიღი კონსულტაციებმა შედეგი, ახლა რატომ გამოიღებს?

– თუ პრაგმატულად აზროვნებენ, ერთიან ბრძოლას უნდა დათანხმდნენ. აქამდე შეიძლება არ ეგონათ, რომ ხელისუფლება ყველაფერზე იყო წამსვლელი. ახლა კი ამაში ეჭვი არ შეეპარებათ. ბოლო დღეების განმავლობაში ბევრი პარტია დაჯარიმდა. ეს კი დასკვნის გაკეთებისთვის კარგია.

– საერთაშორისო თანამეგობრობა რატომ არ რეაგირებს ამ ყველაფერზე?

– იმიტომ, რომ ჩვენ არ ვითხოვთ. ჩვენ თუ არ გამოვხატეთ პროტესტი, ისინი ხმას არ ამოიღებენ. თუ სერ[illegible]ზულ აქციებს დავიწყებთ, საერთაშ[illegible]რისო თანამეგობრობის რეაქციაც [illegible] დააყოვნებს. გუშინ მე საგანგებო ბრ[illegible]ფინგი გავმართე, სადაც პოლიტიკ[illegible] პარტიებს მივმართე. მინდა მათ თქვ[illegible] გაზეთის საშუალებითაც მივმართ[illegible]

მიმდინარე წლის 8 ივლისს თბ[illegible]ლისის საქალაქო სასამართლომ [illegible] ჯარიმა პარტია „თავისუფალი საქ[illegible] თველოს“ შემომწირველები. ჯარიმ[illegible] ოდენობამ სულ 284.845 ლარი შეად[illegible]ნა. „თავისუფალი საქართველოს“ წ[illegible]რებთან ერთად, იმავე დღეს დაჯარ[illegible] და კოალიცია „ქართული ოცნების“ [illegible]წევრი. საქალაქო სასამართლოს „[illegible]ვისუფალი საქართველოს“ და „ქ[illegible]თული ოცნების“ 16 წარმომადგენ[illegible] საქმე სახელმწიფო აუდიტის სამსახ[illegible]მა გადაუგზავნა. ნიშანდობლივია, რ[illegible] ბოკუჩავა–მოგელაძის უწყება დაკ[illegible]ბულია მხოლოდ რეალური ოპოზიც[illegible]ური პარტიების დევნით.

შექმნილი ვითარება ცხადყო[illegible] რომ ხელისუფლების რეალურ მიზ[illegible] წარმოადგენს ოპოზიციური პარტ[illegible]ბისთვის საქმიანობის აკრძალვა, რ[illegible]გან არსებულ პირობებში შეუძ[illegible]ლი ხდება ოპოზიციური პარტიების [illegible] ფინანსება და, შესაბამისად, მათ მ[illegible] საარჩევნო კამპანიის წარმოება. პა[illegible]ტია „თავისუფალმა საქართველ[illegible] პარტიების დაფინანსების ახალ წეს[illegible]თან დაკავშირებით უკვე მიმართა [illegible] კონსტიტუციო სასამართლოს. ჩ[illegible]რეთვე ვუგზავნით მიმართვას თ[illegible]ფალი და სამართლიანი არჩევნ[illegible]თვის უწყებათაშორის კომისიას, [illegible] ქართველოში აკრედიტებულ დ[illegible]მატიურ კორპუსს და სახალხო [illegible]ცველს, სადაც აღნიშნულია, რომ [illegible]სებულ პირობებში თავისუფალი [illegible] ჩვენების ჩატარება 100%-ით გამო[illegible]ხულია.

„თავისუფალი საქართველო“ [illegible]მართავს ოპოზიციურ პარტიებს, [illegible]იდან ხელისუფლების ზეწოლით [illegible] თველოში რეალური ოპოზიციის [illegible]სებობა საფრთხის ქვეშ დგას, დ[illegible]ბით გვერდზე გადავდოთ პარტ[illegible] ინტერესები და თავისუფალი არ[illegible]ბის მისაღწევად პროცესები წარ[illegible] თოდ ერთობლივად. მივიჩნევთ, [illegible] ოპოზიციამ უნდა გამოიყენოს ყ[illegible] საერთაშორისო და ადგილობრივი [illegible] წლის მექანიზმი, რათა ხელისუფ[illegible]ბა ვაიძულოთ, შეწყვიტოს ანტიდემ[illegible] რატიული ქმედებები და განსხვავ[illegible]ლი შეხედულების სუბიექტებს მ[illegible] სრულფასოვანი საარჩევნო კამპა[illegible] წარმოების შესაძლებლობა. პარტ[illegible] იჩნევს, რომ ეს პროცესი გახდ[illegible] თგვარი ლუსტრაციის მექანიზმ[illegible] საზოგადოებას ნათლად დაანახ[illegible] რომელი ძალებია საქართველოში [illegible] ალურად ოპოზიციური და რომ[illegible] პარტიები წარმოადგენენ ხელისუფ[illegible]ბის სატელიტებს.

გოგი თოფაძე: „ჭურისტები ქვეყნის ეკონომიკას ვერ ააშენებენ“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ გოგი თოფაძესთან

– ბატონო გოგი, მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა განაცხადა, ერთ მილლიარდს ჩავდებ სოფლის აღორძინებისთვისო, ჩვენი ხელისუფლებისთვისაც პრიორიტეტი გახდა სოფელი. ახალი პრემიერის გამოსვლები სწორედ ამაზე საუბრით იწყება... რა მოხდა, რა შეიცვალა?

– ძალიან სასიხარულოა თუ ახალი პრემიერისთვის პრიორიტეტი გახდა სოფელი. სამწუხარო ის არის, რომ აი, ამ წლების მანძილზე, როგორ მიზანმიმართულად ანგრევდნენ ქართულ სოფლებს. ვაი ექსპერტებისგან ხშირად მოგვისმენია, რომ აზრი არა აქვს სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში.. პირველ რიგში ამ ვაიექსპერტებში ბენდუქიძეს ვგულისხმობ. ეს ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ გაემართლებინათ ჩვენი ხელისუფლების სტრატეგია უკანასკნელი 16-18 წლის მანძილზე. მე კარგად მახსოვს 1996 წლიდან ჩვენ რამდენჯერ გვიკამათია მათ მრჩეველებთან, უცხოელებთან, რომლებმაც ჩვენი მორჩილი ხელისუფლება, წინაც და ახლანდელიც, მიიყვანეს იქამდე, რომ ქართული სოფელი გავანადგურეთ. თუ საქართველოდან მილიონ-ნახევარი მოსახლეობაა წასული, აქედან ალბათ 80% არის სოფლიდან. დავაცარიელეთ სოფლები და დღეს მათი მხრიდან იმდენად აბსურდულია იმაზე საუბარი, რომ გვჭირდება სოფელი, რომ სოფლის აყვავება სურთ, ამას არავინ დაუჯერებთ. ის, რაც სოფლებს დამართეს, ამ საქმეში ვინმეს გამართლება ძალიან ძნელი იქნება. ასევე ძალიან რთული იქნება ამდენი ხალხის უკან, სოფლისკენ მიბრუნება. თუმცა სოფლის აყვავება და აღორძინება, ეს იქნება ერთადერთი გზა ამ ხალხის უკან მოსაბრუნებლად. სოფელი აუცილებლად უნდა აღორძინდეს. კარგად ახსოვს ყველას, როგორ ანადგურებდნენ სარწყავ სისტემას რეგიონებში, მილიონომით თანხები იყო ამაში ჩაყრილი, ესენი კი მიწიდან თხრიდნენ სარწყავ სისტემას, ანადგურებდნენ და ჯართად ჰყიდდნენ. ჯართის მორების გატანა, აი, ეს იყო მთელი ბიზნესი რეგიონებში ბიძინა ივანიშვილმა დაინახა, რომ საქართველო იყო და იქნება აგრარული ქვეყანა. არ შეიძლება ამის შეწყვეტა, მან მთელი პროგრამა გამოაქვეყნა თუ რის განხორციელებასაც აპირებს და დავინახეთ, როგორ უცებ შეეცვალა ხელისუფლებასაც პოზიცია.

– როგორ ფიქრობთ, რეალურად აპირებს ხელისუფლება რამე შეცვალოს ამ კუთხით თუ უბრალოდ ივანიშვილს ეჯიბრებიან წინასაარჩევნოდ?

– მე მეეჭვება უცხოელმა მრჩეველებმა მისცეს უფლება ჩვენს ხელისუფლებას, რომ ძველი სტრატეგია შეცვალონ, იმდენად მონური ურთიერთობა აქვთ ამ მრჩეველებთან, მაგრამ დაპირებები და ხალხის მოტყუება წინასაარჩევნოდ, კარგად აქვთ ათვისებული. ხელისუფლების დაპირებებს რომ ვისმენთ უკვე ამდენი წელია და არჩევნების მეორე დღესვე ეს დაპირებები რომ ავიწყდებათ, ეს უკვე კარგად იცის ჩვენმა მოსახლეობამ. ის, რომ ბიძინა ივანიშვილი არ იტყუება, ესეც კარგად დაინახეს. ამათ აღარაფერი დაეჯერებათ, ბიძინას კი ყველა დაუჯერებს. ახლა გამოქვეყნდება დეტალურად ყველა ის გეგმა, რასაც ბიძინა სოფლის აღორძინებისთვის აპირებს, ხელისუფლებას მსგავსი არაფერი გააჩნია. ამათ მხოლოდ სოფლის მოსპობა და განადგურება იციან. არა მგონია, ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ მოტყუვდეს ამ დაპირებით. ეს კეთდება მხოლო[illegible] იმიტომ, რომ ხალხს უთხრან, ჩვენც იგივე ვა[illegible] თებთ, რასაც ივანიშვილი გპირდებათო. სულ[illegible] რომ აღარაფერი გააკეთოს ივანიშვილმა, ის რ[illegible] ამ საკითხზე აალაპარაკა ხელისუფლება და ა[illegible] თი დაპირებები მიაცემინა, ეს უკვე გაკეთებულ[illegible] საქმეა. ახლა ყველამ დაინახა, ყველამ აღიარ[illegible] რომ საქართველო სოფლის გარეშე შეუძლებ[illegible] ლია. ეს იყო სოფლის გენოციდი, რასაც აპირ[illegible] აკეთებდნენ.

– ასევე მინდა გკითხოთ სამთავრობო კ[illegible] რუსელის შესახებ, რომელიც სააკაშვილმა გ[illegible] ხორციელა, თქვენი აზრით, რა გათვლა იყო [illegible] მერაბიშვილის გადმოყვანა პრემიერ-მინისტრ[illegible] თანამდებობაზე?

– რასაკვირველია, ეს პოლიტიკური [illegible] ვლა იყო, თუმცა დეტალებზე ვერაფერს მოგახ[illegible] ნებთ. ვანო მერაბიშვილი საკმაოდ გონიერი პ[illegible] ლიტიკოსია. მან საქმითაც დაგვანახვა, რომ [illegible] თადერთი, რისი რეფორმაც განხორციელდა [illegible] ქართველოში, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი მ[illegible] სით და შეცდომით, მაგრამ რეალურად რეფორ[illegible] იმ დარგში განხორციელდა, რომელსაც მერაბ[illegible] ვილი ხელმძღვანელობდა. კარგია, რომ მან ს[illegible] ბარი დაიწყო სოფლის მეურნეობით და იმედ[illegible] ის გაუფრთხილდება თავის ავტორიტეტს და [illegible] ღაც ნაბიჯს მაინც გადადგამს ამ კუთხით, [illegible] მანამდე დარჩა, რასაკვირველია. რა ცვლილ[illegible] ბიც შიგნით მოხდა, მე ამის ანალიზს ნამდვილ[illegible] ვერ გავაკეთებ, მე მაინტერესებს ახალი პ[illegible] ერ-მინისტრის პოზიცია, თუ რას ფიქრობს [illegible] სოფლის მეურნეობაზე და მასთან მიბმულ მრ[illegible] ველობის განვითარებასთან დაკავშირებ[illegible]

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სკანდალი საპატრიარქოს გარშემო

მეუფე იობი: „სინოდის გადაწყვეტილება აიდი ბარათებთან დაკავშირებით შეცვალეს“

თეა მარხვაიძე

5 ივლისს საპატრიარქოში სინოდის სხდომა გაიმართა. სინოდმა რამდენიმე საკითხზე იმსჯელა. სხდომის დასრულების შემდეგ განცხადებაც გავრცელდა. საიდანაც გაირკვა, რომ მეუფე იობს გაფრთხილება მისცეს. მეუფემ შენიშვნა იმიტომ მიიღო. რომ ის 1 ივლისს, მცხეთაში „ქართული ოცნების“ აქციას დასწრო.

გავრცელებული ინფორმაციით, ეს სხდომა სწორედ იმიტომ მოიწვიეს, რომ მეუფე იობისთვის შენიშვნა მიეცათ.

8 ივლისს, საკვირაო ქადაგებისას მეუფე იობმა სკანდალური განცხადება გააკეთა. მან აიდი ბარათებზე ისაუბრა. სინოდის სხდომაზე ამ ბარათებზეც იყო საუბარი. სასულიერო პირები ამ ბარათების წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდნენ.

რუსის საკათედრო ტაძარში, საკვირაო ქადაგებისას მეუფე იობმა განაცხადა, რომ სინოდის გადაწყვეტილება აიდი ბარათებთან დაკავშირებით შეიცვალა.

– პატრიარქმა თქვა, რომ აიდი ბარათი არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი, მაგრამ რადგან არსებობს ხალხში ამ [illegible] სხვადასხვაობა მოეთხოვოს მთავრობას, რომ გასცეს ალტერნატიული ბარათებიო, ანუ ჩიპების გარეშე. საღამოს კი ტექსტი შეცვალეს და თქვეს, რომ ეს არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი, ამიტომ მისი აღება შესაძლებელიაო. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებას ეკლესიაზე ძალიან დიდი გავლენა აქვს. ხალხი არის დიდ გაუგებრობაში. მე მოგიწოდებთ, რომ არავინ არ შემოხვევაში არ აიღოთ ეგ ბარათები. ვინც მას აიღებს სულიწმინდის მადლი განეშორება. ხელისუფლება ითვალისწინებს სექტანტების გადაწყვეტილებებს და ჩვენსას არ ითვალისწინებს,– – განაცხადა მეუფე იობმა ქადაგებისას.

სააგენტო „მედიანიუსის“ ინფორმაციით, მეუფე იობის მიერ გაკეთებულ განცხადებას გუშინ მართლმადიდებლური კრებულის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ.

მართლმადიდებელთა კრებულის განცხადებით, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა სინოდს არ ჰქონდა უფლება დადებითად შეეფასებინა აიდი ბარათებთან დაკავშირებული საკითხი.

როგორც გუშინ მართლმადიდებლური კრებულის ხელმძღვანელმა ბაზა ნინაბაშვილმა მეუფე იობის ქადაგებაზე დაყრდნობით განაცხადა, გადაწყვეტილება სინოდის კრების შემდეგ შეიცვალა და განჩინებაში სხვაგვარად ჩაიწერა.

მისივე თქმით, ,,მართლმადიდებელთა კრებული“ მიიჩნევს, რომ სინოდის მიერ დაყენებული საკითხი და მიღებული გადაწყვეტილება საეჭვოს ხდის, თუ რამდენად შეესატყვისება ის მთელ რიგ საღვთისმეტყველო და საეკლესიო სწავლებას.

– სინოდის გადაწყვეტილება სიტყვების მანიპულაციით ცალსახა შეფასებაა აღნიშნულ საკითხზე, როგორც ანტიქრისტეს ბეჭდის არსებობა-არარსებობის შესახებ, რითაც მეორე მხრივ, ფარავს მორწმუნეთა მთავარ მოთხოვნას და არაფერს ამბობს ამგვარი მოწმობების მეშვეობით ღვთისგან ბოძებული ნების შელახვასა და ხელყოფაზე, რომელიც ნამდვილად ეწინააღმდეგება საღვთო და ქრისტიანულ სწავლებას, – აცხადებს ,,მართლმადიდებელთა კრებულის“ ხელმძღვანელი.



მისივე თქმით, ევროპის მართლმადიდებლური ქვეყნების უმრავლესობამ თავიანთ ქვეყნებში აიდი ბარათები – ტოტალური კონტროლის საშუალება აკრძალა, ზოგან კი ალტერნატიული სახით დარჩა.

როგორც ნინაბაშვილმა აღნიშნა, ,,საპატრიარქო რომ სახელმწიფო ზეგალენის ქვეშაა, ეს ნათელია“.

– ეკლესია არ უნდა იყოს იუსტიციის ხელმძღვანელებთან გარიგებაში, თუნდაც ფინანსურად. ბოლო დროს ფაქტების მიხედვით ჩანს, რომ იუსტიციის სამინისტრო აფინანსებს მრავალი ეკლესიური ნაგებობის რესტავრაციას, რითაც პირმოთნეობაში აგდებს ჩვენს ეკლესიას, – აცხადებენ „მართლმადიდებელთა კრებულში“.

გაერთიანება მიიჩნევს, რომ სინოდის მიერ ალტერნატიული პირადობის დამადასტურებელი მოწმობების ს მოთხოვნა ადასტურებს იმას, რომ სიმართლე იციან, მაგრამ სამწუხაროდ ვერ ეწინააღმდეგებიან მას.

„ახალი თაობა“ კიდევ ერთხელ გთავაზობთ წმინდა სინოდის განჩინებას. რომელიც ოფიციალურად გამოქვეყნდა.

– 2012 წლის 5 ივლისს საქართველოს საპატრიარქოში შედგა წმინდა სინოდის მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II.

იმსჯელეს შემდეგ საკითხებზე:

1. მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ მოკლედ მიმოიხილა დღევანდელი საერთო ვითარება, ის პრობლემები, რაც მცირე ერებს ემუქრებათ გლობალიზაციის პირობებში; ხაზი გაუსვა სკოლებში მომავალი თაობის სწორად აღზრდის მნიშვნელობასა და ამ პროცესში ეკლესიისა და ოჯახის ჩართვის აუცილებლობას, ახალგაზრდების დასაქმების საკითხს და მათთვის გარკვეული პროფესიული უნარ-ჩვევების სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში დაუფლების საჭიროებას;

2. წმინდა სინოდზე აღინიშნა, რომ ეკლესია ყოველთვის იყო ქვეყნის გამაერთიანებელი ძალა და მისი ეს ფუნქცია დღეს, – არჩევნების წინაპერიოდში, – განსაკუთრებით სჭირდება საქართველოს.

ამიტომაც კატეგორიულად მიუღებელია ღვთისმსახურთა მონაწილეობა რომელიმე პარტიის პოლიტიკურ აქციაში. ეკლესია არის ნეიტრალური, საყოველთაო და მისი წევრია ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულების ადამიანი.

3. წმინდა სინოდმა იმსჯელა ბაგრატის ტაძრის მშენებლობასთან დაკავშირებითაც და განაჩინა: ეკლესია მომხრეა ბაგრატის ტაძრის პირვანდელი სახით აღდგენისა, მაგრამ, ვინაიდან დასავლეთ მკლავის რესტავრაციასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა, აუცილებელია, აქ სამუშაოები გაგრძელდეს საქართველოს საპატრიარქოს, კულტურის სამინისტროსა და იუნესკოს წარმომადგენლებთან შეთანხმებული პროექტით.

4. განხილული იყო საკითხი ახალი ტიპის პირადობის მოწმობებთან დაკავშირებით. წმინდა სინოდი აცხადებს: სადღეისოდ წარმოდგენილი აიდი ბარათის ვერსია, საღვთისმეტყველო და საეკლესიო სწავლების მიხედვით, არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი და აქედან გამომდინარე, ამ ბარათით სარგებლობა შესაძლებელია, მაგრამ, რადგანაც ეს საკითხი იწვევს საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას, ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, თუ არის შესაძლებელი, დაშვებულ იქნას ალტერნატიული პირადობის დამადასტურებელი საშუალებები.

5. სხდომაზე ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოს მელქისედეკის (ხაჩიძე) წარდგინებით, წმინდანად შეირაცხა საინგილოში მოღვაწე, რწმენისთვის თავდადებული მღვდელი, მიხეილ-მიქაელ ყულოშვილი (1842-1918 წ.წ.). მისი ხსენების დღედ დადგინდა 5 ივლისი.

6. წმინდა სინოდმა მოისმინა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძე) მოხსენება საქართველოს ეკლესიის ისტორიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით და განაჩინა: ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით, XX ს-ში, – კომუნისტების მმართველობის ხანაში, მიზანმიმართულად შეიცვალა და გაყალბდა შეხედულება საქართველოს ეკლესიის საზღვრების შესახებ, მკვიდრდებოდა რა აზრი, თითქოს დასავლეთ საქართველო IV-X საუკუნეებში, ანუ 600 წლის მანძილზე, არ იყო ქართული ეკლესიის იურისდიქციაში, ამასთან, თითქოს, ჩრდილო, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში ასევე არ შედიოდა ჩვენი ზოგიერთი ისტორიული რეგიონი, დაევალოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის ქართულ უნივერსიტეტს, გადადგას რეალური, დროული და ქმედითი ნაბიჯები ათეისტურ პერიოდში შემუშავებული იდეოლოგიის ნაცვლად საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორიის წარმოჩენისა და პოპულარიზაციისათვის.

ხელი შეეწყოს მეუფე ანანიას (ჯაფარიძე) მიერ წარმოდგენილი მასალების დაბეჭდვას და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობილი იმ ჭეშმარიტი აზრის განმტკიცებას, რომ „წმინდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა,“ ხოლო წმინდა ნინომ „განანათლა ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა.“ (დიდი სჯულის კანონი, 1974, გვ.545-546) და რომ ამას მოწმობენ უცხოური წყაროებიც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ აზრს სრულად იზიარებს ბატონი ივანე ჯავახიშვილი. იგი წერს: „ანდრია მოციქულიც და წმიდა ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილების ცალკე მქადაგებლების გამოძებნის სურვილიც არ ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ.“ (ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ.47.)

7. წმინდა სინოდზე ითქვა, რომ დღეს აფხაზებიც და ოსებიც უკვე ხშირად გამოთქვამენ აზრს, რომ საქართველოსგან გამოყოფამ საფრთხე შეუქმნა მათ არსებობას. დადგა დრო აფხაზებმაც და ოსებმაც ნათლად გააცნობიერონ, რომ სწორედ ქართველებთან კავშირშია მათი თვითმყოფადობისა და გადარჩენის გარანტია, რისი დადასტურებაცაა ჩვენთან ამ ერების მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრება.

დაადგინეს: საქართველოს ეკლესიამ შესაძლებლობისამებრ გააკეთოს ყველაფერი, რათა ხელი შეუწყოს ქართველებსა და აფხაზებს და ქართველებსა და ოსებს შორის ძველი ურთიერთობის აღდგენას.“ – ნათქვამია დადგენილებაში.

გოგი თოფაძე: „ტურისტები ქვეყნის ეკონომიკას ვერ ააშენებენ“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

ალბათ, გამოქვეყნდება მისი პროგრამა ამის თაობაზე. როდესაც დღეს ლაპარაკობენ ეს ვაი ექსპერტები (ბენდუქიძეებს ვეძახით ჩვენ მათ), რომ 7-8%-ია შიდა პროდუქციის ბრუნვა სოფლის მეურნეობაში, ეს არის მტკნარი სიცრუე.

საქართველოში მარტო 350-ზე მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხანა იყო, რომელიც გაანადგურეს, მიჰყიდეს ვიღაც თაღლითებს. მოსპეს ჩაის ფაბრიკები, საკონსერვო ქარხნები. სოფლის მეურნეობის წილი და მისი პროდუქტების გადამუშავების წილი, 70%-ს აღემატება საქართველოში და ვერც ერთი ტურიზმი და ამ ნახშირწყლების გატარება ვერ მოგვცემს იმ ეფექტს, რასაც მოგვცემს სოფლის მეურნეობა და მასთან მიბმული წარმოების აღორძინება. მე არა მგონია, დიდხანს გაგრძელდეს ამ ხელისუფლების მოღვაწეობა, არ ვიცი, რა უნდა მოასწროს ამ ორიოდე თვეში, თუმცა იმის გამოცხადება, რომ სოფელი არის მისი პრიორიტეტი, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

– ივანიშვილისთვის კონკურენციის გაწევას ცდილობენ?

– ერთი ეს და მეორე ის, რომ ახალგაზრდა ხელისუფლება გვყავს და კარგად იციან, რომ ამ ყველაფრისთვის პასუხი მოეთხოვებათ. არ შეიძლება სოფლის მეურნეობაზე 7 და 8%-ით ვისაუბროთ. ეს არის სოციალური პრობლემა. თითქმის ნახევარი საქართველო სოფლად იყო დასაქმებული, ხდებოდა პროდუქტის მოყვანა, გადამუშავება და ასე შემდეგ. ხვალ აუცილებლად დადგება საკითხი რატომ მოუწყვეთ გენოციდი ქართულ სოფლებს? ამაზე პასუხს აგებინებენ მათ. დღეს ცდილობენ გამოასწორონ თავიანთი შეცდომა, მაგრამ ვიმეორებ, თუ ესენი დარჩნენ, ამის უფლებას ნამდვილად არ მისცემენ უცხოელი მრჩევლები. ხომ ნახეთ, საითკენ წაგვიყვანეს, ჩვენი ქვეყნის მისია ყოფილა ტურიზმის განვითარება, ნახშირწყალბადების გატარება და მომსახურების სფერო. არის ამის დოკუმენტები, სადაც ამის გაკეთებას გვირჩევენ. რჩევა რბილი ნათქვამია, გვაიძულებენ, რომ ეს გავაკეთოთ.

– საუბრისას ბრძანეთ – თუ ეს ხელისუფლება დარჩებაო და როგორ ფიქრობთ, ქართველი ამომრჩეველი მისცემს მათ დარჩენის უფლებას?

– არა მგონია, ქართველ ამომრჩეველს კიდევ სჯეროდეს ამ ხელისუფლების დაპირებების. მეორე დღესვე ავიწყდებათ თავიანთი დანაპირები. არა მარტო სოფელი, რა დღეშია ინტელიგენცია, მეცნიერება, სპორტი, არც ერთი დარგი, რაც მე მოგახსენეთ ეკონომიკის განვითარების გარეშე ვერ იარსებებს. რა გვაქვს, რით შეიძლება ვიტრაბახოთ. ეკონომიკა თუ არ ამოვწიეთ, ვერც ერთ დარგს ვერ ეშველება. რაც არ უნდა სავაჭრო ფირმები შევქმნათ, ტურისტები ჩამოვიყვანოთ და ნავთობი გავატაროთ, ეს არ მოიტანს იმ შედეგს და იმ საშუალებას, რომ ღირსეულად ვაცხოვროთ 21-ე საუკუნეში ჩვენი მოსახლეობა.

თიბისი ბანკმა 2012 წლის საუკეთესო ბანკის სტატუსი მოიპოვა

მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ჟურნალმა „ევრომანი“ (Euromoney) თიბისი ბანკი საქართველოში 2012 წლის საუკეთესო ბანკად დაასახელა.

თიბისი ბანკი „Awards for Excellence“ სერიაში შეფასდა და საქართველოს მასშტაბით კონკურენტ ბანკებს შორის უმაღლესი შეფასება მოიპოვა.

ჯილდოს მიზანია იმ ბანკების აღიარება, რომლებიც გამოირჩევიან ბაზარზე მიღწეული შედეგებით, ნოვატორობით და ლიდერობით. „ევრომანიმ“ ხაზი გაუსვა თიბისი ბანკის 2011 წლის მიღწევებს, ფილიალების ეფექტურობის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს კონკურენტებს შორის და მთლიანად თიბისი ჯგუფის წარმატებებს მიკროსაფინანსო სექტორში. ჟურნალმა ასევე აღნიშნა ბანკის Multichannel საბანკო პლატფორმა, რომელიც საუკეთესოა რეგიონის მასშტაბით.

„ჩვენთვის ძალიან საამაყოა, რომ ასეთი პრესტიჟული ჯილდო მივიღეთ და მით უფრო სასიამოვნოა, რომ „ევრომანიმ“ უკვე მეორედ დაგვაჯილდოვა,“ - ამბობს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე.

ჟურნალი „ევრომანი“ (Euromoney) 1998 წლიდან იკვლევს ბანკებს მსოფლიო მასშტაბით, 100-მდე ქვეყანაში. დაჯილდოება ხდება წელიწადში ერთხელ, 20-მდე სხვადასხვა ნომინაციის მიხედვით. „ევრომანის“ ჯილდო საბანკო სექტორისთვის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ ითვლება.

2012 წელს ეს უკვე მესამე ჯილდოა თიბისი ბანკისთვის. წლის დასაწყისში ბანკმა მიიღო საერთაშორისო საფინანსო სექტორში მოღვაწე კიდევ ორი ავტორიტეტული გამომცემლობის, Global Finance-ისა და EMEA Finance-ის ჯილდოები. მათ შორის, Global FInance-ისა და Euromoney-ს ნომინაციებში თიბისი ბანკი უკვე მეორე წელია იმარჯვებს.

შაშკინმა მოადგილეები დაასახელა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა სამინისტროში განხორციელებული საკადრო ცვლილებები თანამშრომლებს გააცნო. მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თანამშრომლებს ახალი მოადგილეები წარუდგინა. მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა აკაკი სეფერთელაძე, რომელსაც მანამდე სხვადასხვა დროს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის პოსტები ეკავა.

მინისტრის მოადგილედ დაინიშნა დავით ახალაია, რომელიც მანამდე შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

დიმიტრი შაშკინმა მინისტრის მოადგილედ ასევე წარადგინა მაია სიფრაშვილი, რომელიც 2009 წელს მინისტრის მრჩეველი გახლდათ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროში, 2010 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი და ამავდროულად პროგრამა „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ხელმძღვანელი იყო. პრეზიდენტისგან მიღებული აქვს ღირსებისა და ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენები.

მინისტრის მოადგილედ ასევე ინიშნება დავით ნარდაია, რომელიც არის თავდაცვის სამინისტროს დავით აღმაშენებლის ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი.

მოადგილეებთან ერთად დიმიტრი შაშკინმა თანამშრომლებს ახალი დეპარტამენტის ხელმძღვანელებიც გააცნო: ადმინისტრაციის უფროსი – გენრიეტა მუმლაძე, რომელიც იგივე პოზიციას იკავებდა განათლებისა და მეცნიერების და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებში; შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი – ირაკლი ანდრიაშვილი; საზოგადოებრივ საქმეთა დეპარტამენტის უფროსი – ეკა ჭუმბურიძე; ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი – როინ გიუნაშვილი; თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი – ქეთევან ასისტი შვილი; სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი – ნანა როსტომაია; გაერთიანებული შტაბის ადმინისტრაციის უფროსი იოსებ თოფურიძე; სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსი-თეიმურაზ იობიძე.

სამინისტროში ასევე იქმნება ახალი დეპარტამენტი – საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი, რომელსაც უხელმძღვანელებს გიორგი გულუა.

მედიანიუსი

განჩინება

საქართველოს სახელით

ადგილობრივ გაზეთში საჯარო შეტყობინების (ცნობის) გამოქვეყნების თაობაზე

საქმე №2/7994-12 20 ივნისი, 2012 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ანჟელი ხუროძე

განმცხადებელი – შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი

მოთხოვნის არსი – ქონების უპატრონოდ ცნობა

სასამართლომ განიხილა ადგილობრივ გაზეთში საჯარო შეტყობინების (ცნობის) გამოქვეყნების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

განცხადების მიხედვით, დაახლოებით 2010 წლიდან ს.გ.პ „სარფი"-ს კონტროლის ზონაში დაგროვდა უპატრონოდ მიტოვებული სხვადასხვა დასახელებისა და რაოდენობის საქონელი. ასეთი საქონლის აღმოჩენის დროს საბაჟო გამშვები პუნქტის უფლებამოსილი პირის მიერ ფორმდება სესაბამისი აქტი, სადაც ფიქსირდება საქონლის ის მახასიათებლები, რომელთა დადგენას შესაძლებელია საქონლის ვიზუალური დათვალიერებით (რაოდენობა, სახეობა და ა.შ), რის შემდეგ საქონელი ილუქება და თავსდება დროებით შენახვის სათავსში.

იმის გამო, რომ საქონელი მიტოვებულია და ვერ ხერხდება მათი პატრონების დადგენა, ასევე ვერ ხორციელდება მათი განკარგვა (სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა ან სახელმწიფო ზედამხედველობის ქვეშ განადგურება) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 221-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენებით. ამასთან საქონელი ინახება ს.გ.პ „სარფის" დროებით შენახვის სათავსში.

უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია 1) შავი ჩანთა (პირადი მოხმარების ნივთები), ზომის ერტეული-კგრაოდენობა – 7.4; 2) ზურგჩანთა ცარიელი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა – 1ც.; 3) შავი ცელოფნის პარკი (მოთავსებულია პამპერსი), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა – 2ც.; 4) წითელი წელოფნის პარკი (მოთავსებულია წუსტი-1ც, ფეხსაცმელი-1ც); 5) თუთუნის ქაღალდი, შეკვრა, რაოდენობა – 2; 6) პერანგი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა – 1; 7) ცელოფნის თეთრი პარკი, მოთავსებულია დოქი – 1ც, სასალფეთქე – 1ც; 8) პირსახოცი, შეკვრა, რაოდენობა – 1, ლუქსის #G166186 ; 9) შავი ჩანთა ნითელი ზოლებით (მოთავსებულია პირადი ნივთები), ზომის ერთეული – კგ, რაოდენობა – 3; 10) ტუალეტის ქაღალდი, შეკვრა, რაოდენობა – 1; 11) ცელოფნის ნაცრისფერი პარკი, მოთავსებულია პირადი ნივთები, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა – 2; 12) ელვა-შესაკრავი, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა – 6; 13) ძაფი ფარდის , ზომის ერტეული-კგ, რაოდენობა – 1.8; 14) ფარდის აქსესუარები, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა, ლუქსის #G187999; 15) ტანსაცმლის საშრობი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 16) საბანი. ზომის ერთეული-ც, რაოდენობა 2; 17) მაგიდის გადასაფარებელი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა 1; 18) ჭურჭლის სახეხი, ზომის ერთეული-შეკვრა, რაოდენობა-1; 19) იატაგსაგები, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 20) თეთრეული, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-2; 21) ხალათი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 22) სარეცხი ფხვნილი, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-9; 23) სპორტული შარვალი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-3, ლუქსის #G195080; 24) ტანსაცმლის საშრობი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1, ლუქსის #G195081; 25) რვეულები, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-5; 26) თეთრი პარკი ნითელი წარწერით: მაისური ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-3, მინის ჭურჭელი– ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-3.5; 27) პატარა შავი პარკი (ბავშვის სპორტული ზედა), ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 28) თეთრი პარკი (პირადი ტანსაცმელი), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-2; 29) ნაცრისფერი პარკი(პირადი ნივთები), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-2.5; 30) შავი პარკი (ბალიში, პირსახოცი, ვერნელი), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-6, ლუქსის #G202706 31) შავი ჩანთა (პირადი ნივთები), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-12, ლუქსის #G213696; 32) სავი ჩანთა(ახალი ტანსაცმელი), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-14; 33) შავი ჩანთა(პირადი ნივთები), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-16; 34) თეთრი ცელოფნის პარკი (პირადი ნივთები), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-1, ლუქსის #G213697; 37) ჭრელი ადეალა, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 38) გადასაფარებელი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 39) ხალიჩა, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 40) ჩალისფერი ხელჩანთა(პირადი ნივთები), ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 41) ჭრელი ხელჩანთა (პერსილი, ზეთი); 42) ურიკის საბურავი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-16, ლუქსის #G201847; 43) დენის ჩამრთველი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-20, ლუქსის #G201848/49; 44) დენის წრედის დამცველი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-15; 45) სამეწარმეო ბრა მავთულით, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1;

46) იზორილებული მავთული (500 მეტრი), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-40; 47) ელექტრული მართვის დაფა, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-2; 48) ამწის მართვის პლუტი ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-20; 49) ჩანთა, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-2; 50) ტანსაცმელი მეორადი და საოჯახო ნივთები, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-22.3; 51) ჩანთა მეორადი, ზომის ერთეულიც, რაოდენობა-3, ლუქსისი #G201850; 52) სიგარეტი-მარლბორო,ზომის ერთეული-ბლოკი, რაოდენობა-1, ლუქსის #G226639.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 339-ე მუხლიხ თანახმად, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების მიღების შემდეგ, სასამართლო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას, რომელიც უნდა შეიცავს:

ა) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ქონების უპატრონოდ გამოცხადების შესახებ;

ბ) განმცხადებლის ვინაობას;

გ) იმ ქონების აღწერას, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს;

დ) მოთხოვნას იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება პრეტენზია ჰქონდეთ ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სასამართლომ წარმოებაში მიიღო შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის განცხადება ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე, სასამართლომ ადგილობრივ გაზეთში, სახელდობრ, გაზეთ „ახალ თაობაში" უნდა გამოაქვეყნოს ცნობა (საჯარო შეტყობინება), სსსკ-ის 339-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

თუ სსსკ-ის 339-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში სასამართლოში შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით განუხილველად ტოვებს განცხადებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ამ ქონებაზე.

თუ დანიშნული ვადის გასვლამდე არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გამოკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან.

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 337-339-ე, 284-285-ე და 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. გამოქვეყნდეს საჯარო შეტყობინება (ცნობა), შემდეგი სახით:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე ანჟელი ხუროძე) წარმოებაშია №2/7994-12 სამოქალაქო საქმე, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის განცხადებისა გამო, ქონების უპატრონოდ ცნობის თაობაზე.

უპატრონოდ საცნობი მოძრავი ნივთებია 1) შავი ჩანთა (პირადი მოხმარების ნივთები), ზომის ერტეული-კგრაოდენობა – 7.4; 2) ზურგჩანთა ცარიელი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა – 1ც.; 3) შავი ცელოფნის პარკი (მოთავსებულია პამპერსი), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა – 2ც.; 4) წითელი წელოფნის პარკი (მოთავსებულია ჩუსტი-1ც, ფეხსაცმელი-1ც); 5) თუთუნის ქაღალდი, შეკვრა, რაოდენობა – 2; 6) პერანგი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა – 1; 7) ცელოფნის თეთრი პარკი, მოთავსებულია დოქი – 1ც, სასალფეთქე – 1ც; 8) პირსახოცი, შეკვრა, რაოდენობა – 1, ლუქსის #G166186 ; 9) შავი ჩანთა ნითელი ზოლებით (მოთავსებულია პირადი ნივთები), ზომის ერთეული – კგ, რაოდენობა – 3; 10) ტუალეტის ქაღალდი, შეკვრა, რაოდენობა – 1; 11) ცელოფნის ნაცრისფერი პარკი, მოთავსებულია პირადი ნივთები, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა – 2; 12) ელვა-შესაკრავი, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა – 6; 13) ძაფი ფარდის , ზომის ერტეული-კგ, რაოდენობა – 1.8; 14) ფარდის აქსესუარები, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა, ლუქსის #G187999; 15) ტანსაცმლის საშრობი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 16) საბანი. ზომის ერთეული-ც, რაოდენობა 2; 17) მაგიდის გადასაფარებელი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა 1; 18) ჭურჭლის სახეხი, ზომის ერთეული-შეკვრა, რაოდენობა-1; 19) იატაგსაგები, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 20) თეთრეული, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-2; 21) ხალათი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 22) სარეცხი ფხვნილი, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-9; 23) სპორტული შარვალი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-3, ლუქსის #G195080; 24) ტანსაცმლის საშრობი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1, ლუქსის №- 195081; 25) რვეულები, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-5; 26) თეთრი პარკი ნითელი წარწერით: მაისური ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-3, მინის ჭურჭელი – ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-3.5; 27) პატარა შავი პარკი (ბავშვის სპორტული ზედა), ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 28) თეთრი პარკი (პირადი ტანსაცმელი), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-2; 29) ნაცრისფერი პარკი(პირადი ნივთები), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-2.5; 30) შავი პარკი (ბალიში, პირსახოცი, ვერნელი), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-6, ლუქსის #G202706 31) შავი ჩანთა (პირადი ნივთები), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-12, ლუქსის #G213696; 32) სავი ჩანთა(ახალი ტანსაცმელი), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-14; 33) შავი ჩანთა(პირადი ნივთები), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-16; 34) თეთრი ცელოფნის პარკი (პირადი ნივთები), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-1, ლუქსის #G213697; 37) ჭრელი ადეალა, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 38) გადასაფარებელი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 39) ხალიჩა, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 40) ჩალისფერი ხელჩანთა(პირადი ნივთები), ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1; 41) ჭრელი ხელჩანთა (პერსილი, ზეთი); 42) ურიკის საბურავი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-16, ლუქსის #G201847; 43) დენის ჩამრთველი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-20, ლუქსის #G201848/49; 44) დენის წრედის დამცველი, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-15; 45) სამეწარმეო ბრა მავთულით, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-1;

46) იზორილებული მავთული (500 მეტრი), ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-40; 47) ელექტრული მართვის დაფა, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-2; 48) ამწის მართვის პლუტი ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-20; 49) ჩანთა, ზომის ერთეული-ც, რაოდენობა-2; 50) ტანსაცმელი მეორადი და საოჯახო ნივთები, ზომის ერთეული-კგ, რაოდენობა-22.3; 51) ჩანთა მეორადი, ზომის ერთეულიც, რაოდენობა-3, ლუქსისი #G201850; 52) სიგარეტი-მარლბორო,ზომის ერთეული-ბლოკი, რაოდენობა-1, ლუქსის #G226639.

იმ პირებმა, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია უპატრონოდ გამოსაცხადებელ ქონებაზე, უნდა განაცხადონ თავიანთი უფლებების შესახებ, პუბლიკაციის დღიდან 3 (სამი) თვის განმავლობაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6.

თუ დანიშნული ვადის გასვლამდე არ შემოვა განცხადება ქონებაზე უფლების შესახებ, სასამართლო განიხილავს საქმეს და გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნობა მის მიერ გამოკითხულ იმ პირთა ჩვენებებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე, შესაბამისი ორგანოებიდან გამოთხოვილ ცნობებს.

2. საჯარო შეტყობინება (ცნობა) გამოქვეყნდეს გაზეთ „ახალ თაობაში".

3. განჩინება არ საჩივრდება.

მოსამართლე ანჟელი ხუროძე

ირაკლი სესიაშვილი: „სააკაშვილი განწირულია"

„ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი სესიაშვილი „ზონდერ ბრიგადებს" მოუწოდებს, უარი თქვან უკანონო ბრძანებების შესრულებაზე, რადგან ეს სახელმწიფოს ინტერესებს დააზარალებს.

ნათია ხურცილავა

ინტერვიუ ირაკლი სესიაშვილთან:

– ბატონო ირაკლი, რას ელოდებით გორში მორიგი აქციის დროს, რადგან სხვა რეგიონებთან შედარებით იქ უფრო დაძაბული მდგომარეობაა, „ქართულ ოცნებას" და ივანიშვილის ფაქტორს გორში, როგორც ცნობილია, რთულად აღიქვამენ...

– დღეს, ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს ივანიშვილისა და „ქართული ოცნების" აღქმა სხვანაირად, ვინც თავისუფლად აზროვნებს, რომელსაც აქვს დამოუკიდებლად საკუთარი აზრის გამოხატვის სურვილი და შესაძლებლობა. საქართველოში აბსოლუტურად ყველა სიტუაციას ადეკვატურად აანალიზებს. უკიდურეს სოფლებში ჩავდივარ, სადაც ადამიანებს არავითარი ინფორმაცია არ აქვთ, გარდა სახელისუფლო ტელეარხებისა, მიუხედავად ამისა, მათი ინფორმირებულობის დონე ქვეყანაში შექმნილ სიტუაციაზე საკმაოდ მაღალია. შეიძლება ბუნდოვანი კითხვები ჰქონდეთ, რაც გამოწვეულია დეზინფორმაციით, რასაც სახელისუფლო არხები ქადაგებენ, მაგრამ საერთო ჯამში ინფორმირებულები არიან, არა საინფორმაციო წყაროებით, არამედ საკუთარი ანალიზის შედეგად სწორად აღიქვამენ რეალობას. ის, რომ დღე და ღამე პროპაგანდას უყურებენ და ხედავენ, როგორ „ვითარდება" ქვეყანა, როგორ ყვავის ირგვლივ ყველაფერი, მაგრამ მათ არაფერი არ ეხებათ ლოგიკური კითხვები უჩნდებათ და სავსებით სამართლიანად. ძალიან კარგად ხედავენ, რომ არც ჯანდაცვის პრობლემებია მოგვარებული, არც განათლების, არც სოციალური საკითხებია გადაჭრილი. ხედავენ, როგორც შევარდნაძის დროს გამგებლები, მინისტრები სხვა თანამდებობის პირები უკაცრავად, „გრიალებდნენ" და სახელმწიფო რესურსს მოიხმარდნენ, იგივე სიტუაციაა დღესაც. სოფელში ტრაქტორს, რომელიც გლეხებისთვის უნდა იყოს წესით განკუთვნილი, იმ ტრაქტორს გამგებლისა და გამგებლის ნათესავები ხმარობენ. ტრაქტორიც პოლიტიკური ნიშნით გამოიყენება ვინც მათ მხარეს არის მას აძლევენ. მოსახლეობა პოლიტიკური ნიშნით ჰყავთ აღრიცხული, იციან, ვინ არის ოპოზიციურად განწყობილი. საერთო რესურსი, რომელიც ყველა მოსახლეს თანაბრად ეკუთვნის ამ ადამიანებისთვის არ არსებობს. ამდენად გორშიც, ისევე, როგორც ყველგან იგივე სიტუაციაა. ვინც დამოუკიდებლად აზროვნებს და ამ ყველაფერს ღიად აფიქსირებს მათ მიმართ ასეთი განწყობაა. ვიცი, უმეშროების ძალები მობილიზებულია გორში და გორის სოფლებში, მათ ხელისუფლება ვიწროპოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებს, პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ.

– სწორედ ამიტომ ვსვამ ამ კითხვას, ჩვენ გვახსოვს მერეს ინციდენტი...

– მესმის, რომ პროვოკაციული ფონი არსებობს. მესმის, რომ სხვადასხვა რეგიონში პროვოკაციული ფონი განსხვავებულია. შეიძლება ზუგდიდში უფრო მომატებული იყოს ეს ფონი, როგორც გორში, მაგრამ ე.წ. ზონდერების ადამიანებიც არიან და მათაც აქვთ გააზრებული, რომ ხელისუფლება აუცილებლად შეიცვლება. მთლად ისეთი სულელები არ არიან, როგორც ხელისუფლებას ჰგონია. ისინიც ფიქრობენ საკუთარ თავზე და მომავალზე. მეტიც, მათ შორის ქვეყნის მომავალზეც. კარგად ესმით, რომ ნებისმიერი მსგავსი არაკანონიერი მიდგომები, აგრესია შეიძლება მათ სერიოზულად შემოუბრუნდეთ. ამიტომ მათი მხრიდანაც არის სიფრთხილე. სადაც პირდაპირი მითითებაა, რომ შეხვედრები ჩაშალონ და ამით მოსახლეობაზე ზემოქმედება მოახდინონ, რომ დაშინდნენ და არ გამოვიდნენ ამას ლოკალური ხასიათი აქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დიდ შეხვედრებზე კი იმუშავებენ ეს ჯგუფები, რომ ხალხი არ წავიდეს, მაგრამ ჩვენო მოსახლეობა არსებული მდგომარეობით იმდენად შეწუხებულია, იმდენად ყელში აქვს ამოსული სააკაშვილის ბობოქრობა ქვეყანაში, რომ ასე მარტივად მათი დაშინება რთულია, ეს არ გამოუვათ. იმიტომ, რომ შეუძლებელია. შეიძლება ადამიანების გარკვეული კატეგორია თავს იკავებდეს აქციებში მონაწილეობისგან, მაგრამ მერწმუნეთ, მათში მოტივაცია გაცილებით მაღალია, ვიდრე შინის გამო უკან დაიხიონ. ღრმად ვარ დარწმუნებული, გორი საკადრის პასუხს გასცემს ყველა მოძალადეს, რომელიც ხელისუფლების მფარველობას არის შეკედლებული.

– ხელისუფლების წარმომადგენელს რომ ვკითხოთ, გვეტყვიან, რომ „ზონდერი" არ არსებობს, რომ ოპოზიციის მიერ არის მოგონილი, მაგრამ რეალობა, ფაქტი სხვაზე მეტყველებს, რა ელოდებათ ამ ადამიანებს, მაგალითად, ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ?

– ჩვენი პოლიტიკური ძალისთვის ქვეყანაში მტერი არ არსებობს. ყველა ჩვენი თანამოქალაქეა და ჩვენი სურვილია, რომ ყველა მოქალაქე დავიცვათ. ამას გავაკეთებთ კიდეც. ბატონი ბიძინა ივანიშვილი ხშირად იმეორებს, რომ ჩვენ დასაკარგი ქართველი არ გვყავს. ყველას მოუწოდებს, რომ დანაშაულს ნუ ჩაიდენენ. ნუ ჩაიდენენ უკანონობას, ნუ ჩაიძირებიან იმ გემთან ერთად, რომელიც ჩაძირვისთვის არის განწირული. ამ გემში პოლიტიკური მაფიის წევრები არიან სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, ახალაიები. თითოეულ მოქალაქეს კიდევ ერთხელ ვეუბნებით, რომ დაფიქრდნენ, სანამ უკანონობას ჩაიდენენ, სანამ კანონს დარღვევენ. მესმის, რომ ისინი სიტუაციის მძევლები არიან. უფრო სწორად კი მსხვერპლნი. მესმის, რომ მათ აიძულებენ, მონაწილეობა მიიღონ ამ პროვოკაციებში, მაგრამ მათაც უნდა გაიაზრონ, რომ პროვოკაციები ქვეყანას აზიანებს. ეს პროვოკაციები მათ თანამოქალაქეებს დაემუქრებიან, ეშინიან. ბოღალი თვითშეგნება რომ არ გვქონოდა 90–იან წლებში, ეს ქვეყანა დიდი ხნის წინ დაიშალა. მაღალი თვითშეგნება მოეთხოვება ამ ქვეყნის ყველა მოქალაქეს. დღეს ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებას არ ებრძვის, იბრძვის ქვეყნის გადასარჩენად. ჩვენ ჩვენი ქვეყანა გვიყვარს. ამიტომ ამ ადამიანებმაც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იფიქრონ. ნამდვილად არ ვაპირებთ ლოიალურნი ვიყოთ იმ ადანიანების მიმართ, ვინც უკანონობას ჩაიდენს და ვინც ამ პოლიტიკურ პროცესში ფინანსურ თუ სხვა ძალას გამოიყენებს რიგითი მოქალაქეების წინააღმდეგ, უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ამ ადამიანებს პასუხი მოეთხოვებათ. მოეთხოვებათ არა იმიტომ, რომ ჩვენ პოლიტიკურ ძალას ეხება, არამედ მოეთხოვებათ იმიტომ, რომ უკანონობა ჩაიდინეს, ქვეყანას და ადამიანებს ზიანი მიაყენეს.

– ზედა ეშელონები ახსენეთ, სამთავრობო ცვლილების შემდეგ, როგორ ფიქრობთ, მერაბიშვილმა იგივე ძალაუფლება შეინარჩუნა, რაც შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ჰქონდა?

– სიმართლე გითხრათ, არ მაინტერესებს ხელისუფლების შიგნით რა ცვლილებები ხორციელდება. რადგან რეალურად სააკაშვილმა საარჩევნო ხელისუფლება დანიშნა, რომლითაც სააკაშვილს არჩევნებში სურს გამარჯვებას მიაღწიოს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგად იცის, რომ განწირულია. სამთავრობო ცვლილების მიზანი საპარლამენტო არჩევნების გაყალბებაა. ამიტომ ვამბობ, რომ ეს არის არჩევნების გასაყალბებელი ხელისუფლება. ბაჩო ახალიას საკადრო ცვლილებები, რომელიც მან შინაგან საქმეთა სამინისტროში განახორციელა, ამას ემსახურება. ასევე მოხდა ვანო მერაბიშვილის მითის დამსხვრევა. მერაბიშვილი ძალიან მალე გაეცნობა საზოგადოებას, ვგულისხმობ, რეალურად დაანახვებს საკუთარ თავს, რომ ისიც ისეთივე მატყუარაა, როგორც ყველა დანარჩენი. იმიტომ, რომ უკვე „ნაციონალურმა მოძრაობამ" ჩვეული სტილით დაიწყო ცრუ დაპირებებისა და სიცრუის გავრცელება. ხელისუფლებამ „ქართული ოცნების" პროგრამა მოიპარა. რაც მთავარია უნიჭოდ იპარავენ.

– „მეტი სარგებელი ხალხს" ივანიშვილის პროგრამის ანალოგია?

– მათ მიერ წარმოჩენილი პროგრამის უკან არაფერი არ დგას ჩვენი პროგრამისგან განსხვავებით. 2015 წლისთვის ხელისუფლება 40-მილიარდიან ბიუჯეტს გვპირდება. აქამდე სად იყვნენ. ასეთი მოლოდინი რომ ქონოდა სააკაშვილს ბიუჯეტის გაზრდის, ხომ წარმოგიდგენიათ, რა პიარს ააგებდა, აქამდე ათასჯერ მაინც გაიმეორებდა მთელი წლის განმავლობაში. უცებ აღმოჩნდა, რომ თურმე 40-მილიარდიანი სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა გვქონდეს. როდესაც ივანიშვილის პროგრამის გარკვეული საკითხები გაჟღერდა, თავისთავად ცხადი გახდა, რომ ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს, მაგრამ ჩვენ თითოეული თეთრი გვაქვს გათვლილი და გაანგარიშებული. სააკაშვილმა ეს ყველაფერი გადაანარავლა ისე, რომ მოსახლეობა კარგად მოატყუოს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არარეალურია, კოლოსალური თანხებია. როგორ უნდა შეძლოს ქვეყანამ 40 მილიარდის მობილიზება სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში? კაცმა, რომელმაც ქვეყანაში ბიძნესი გაანადგურა, ეკონომიკა დაანგრია, რომელმაც მთელი ბიზნესი გადაიფორმა. დღეს კლანური ბიზნესი მართავს ქვეყნის ეკონომიკას თუ არის ასეთი. ეს თანხები ოფშორულ ზონებში გადაქაჩეს. ეს ფული უკან, ქვეყანაში არ დაბრუნდება. რიგით ბიზნესმენს, რომელსაც სურვილი აქვს, რომ საკუთარი ცოდნით, შრომით ბიზნესი ააწყოს, პროდუქცია შექმნას, ამ ადმიანებს ხელისუფლება არ გააჭაჭანებს სიახლოვეს. თუ ადამიანები ხელისუფლებაზე არ იქნებიან დამოკიდებული, მათ შეიძლება თავისუფალი პოლიტიკური აზროვნება ჰქონდეთ. ეს ძალიან აშინებს ამ ხელისუფლებას. სააკაშვილი არც გლეხს და არც გაჭირვებულს, სოციალურად დაუცველს არ დაეხმარება, რადგან ხელისუფლებამ კარგად იცის, რომ წელში გამართული ჩვენი მოქალაქეები თავისუფალ არჩევანს გააკეთებენ და მათ ძალიან კარგად იციან, რომ ეს არჩევანი მათ სასარგებლოდ არ იქნება. ჩვენზე კარგად იციან მათ, თუ რა დანაშაულები აქვთ ჩადენილი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რა სიყალბე აქვთ ჩადენილი.

საქართველო ციხეების ქვეყანაა!

პატიმრების სიცოცხლე დაუცველია

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ ადვოკატ ვლადიმერ ტაბაღუასთან

– ბატონო ვლადიმერ, როგორ შეხვდით ხელისუფლების გადაწყვეტილებას, მთავრობის ცვლილების ფონზე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კალმახელიძე კი დატოვეს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში, ფაქტობრივად საგანგაშო მდგომარეობაა, ადამიანებს აწამებენ, გაიზარდა პატიმართა დაავადების შემთხვევები და სიკვდილიანობა?

– ამ დღეებში მიღებულ გადაწყვეტილებას, მთავრობაში ცვლილებების თაობაზე, შეიძლება ეწოდოს არა ცვლილებები იმ მიმართულებით, რომ ქვეყანაში არსებული რეჟიმი შეიცვალოს, არამედ ეს არის ალბათ წინასაარჩევნო სვლა. ეს არის ცვლილება წინასაარჩევნო კამპანიის გასაძლიერებლად, რომ საზოგადოებას ისევ ცრუ ინფორმაცია მიაწოდონ იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ მოახდინა მთავრობის ცვლილება, რომელიც თითქოს ორიენტირებულია ხალხის კეთილდღეობასა და სარგებლიანობაზე, ამ ლოზუნგით გააჩაღონ წინასაარჩევნო კამპანია და ხალხი ისევ დატოვონ მოტყუებული, როგორც ეს ხდებოდა ყოველთვის. სხვა რამეს ამას ვერ დაარქმევ კაცი, იმიტომ, რომ ძირითადად მოხდა იმ კადრების გადაადგილება და გადაადგილების შედეგად შემოყვანილი იქნა ორი მინისტრი. ამ გადაადგილების შედეგად მხოლოდ სუბელიანი გაუშვეს, რა თქმა უნდა, სწორად, მაგრამ უფრო უპრიანი იქნებოდა, იმ სფეროსთვის მიექციათ ყურადღება, რომელიც საზოგადოებას აღელვებს. საზოგადოებას აღელვებს და მთელი მოსახლეობის გულისწყრომას იწვევს ის ვითარება, რომ სახელმწიფოში საპატიმრო ადგილები ქცეულია ადამიანთა წამების ლაბორატორიად. ამ დროს მინისტრი ხათუნა კალმახელიძე დატოვეს თანამდებობაზე. მით უმეტეს, ათასობით ფაქტი არსებობს (რომელზეც ინფორმაცია არა მხოლოდ ადვოკატებისა და სხვა კერძო პირების მიერ მიეწოდებათ), რომ ნამდვილად სასჯელაღსრულების სისტემაში მიმდინარეობს პატიმრების წამება, ტანჯვა, მათი წელში გატეხვა. ეს დაფიქსირებული აქვს სახალხო დამცველს და წარდგენილი აქვს პარლამენტში მაშინ, როცა ანგარიში წარადგინა. ასევე ფაქტები პროკურატურისთვის ცნობილია, მაგრამ შედეგი ამან არ გამოიღო და ვერც გამოიღებს იმიტომ, რომ რეაგირება არ ხდება. ხელისუფლებას და მთავრობას, მათ შორის, პროკურატურას და მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს ჯიუტად არ სურთ, ამ ქვეყანაში არსებული უბედურება გამოვლინდეს და ცნობილი გახდეს ფართო საზოგადოებისთვის, რომ კონკრეტულ პირებს ეს დანაშაული ჩადენილი აქვთ. ფაქტები ცნობილია, მაგრამ კონკრეტული პირები რომ იქნან ცნობილი დამნაშავედ, ეს უნდა გააკეთოს პროკურატურამ, რასაც პროკურატურა არ აკეთებს. ამიტომ ყველაფერი რჩება უცვლელად და მომხდარი გადაადგილებით და ორი ახალი მინისტრის შემოყვანით, არაფერი შეიცვლება. მომხდარი ცვლილება გათვლილია წინასაარჩევნო კამპანიის გაძლიერებისა და ისევ ხალხის მოტუებისთვის.

– კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რეალურად, ციხეებში რა ხდება.

– ციხეებში ახლა გამეფებულ ვითარებას თუ შევადარებთ ავადსახსენებელი საბჭოთა კავშირის დროს არსებულ პირობებს და რეჟიმს, დღეს არის ჯოჯოხეთი, ვინაიდან მხოლოდ და მხოლოდ სასჯელაღსრულების სისტემის მატერიალური ბაზა შეიცვალა. ავენდა ახალი ციხეები, აღჭურვილი იქნა სათანადო სათვალთვალო და ტექნიკური საშუალებებით, მაგრამ ამ აღჭურვილ ახალ შენობებში იმ ტექნიკური საშუალებით და ფასადური სილამაზით, რომელიც გამოიყურება ვიზუალურად, ამ გისოსების მიღმა, რა უყურება ტრიალებს, ეს არის საშინელება. საშინელებაა იმიტომ, რომ პატიმრების მიმართ გრძელდება კანონის დარღვევით ბუმოქმედება, მათი სიცოცხლის ხელყოფა, მათი აბუჩად აგდება, ცემა. წამება. პატიმრები დაუცველი არიან ძალადობრივი ხელყოფისაგან. პატიმრების სიცოცხლე ასევე დაუცველია, რადგან დროულად არ ხდება პრევენცია ავადმყოფთა გამოვლინებისთვის. განსაკუთრებით ტუბერკულოზით დაავადებული პირებისა, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენენ გარშემოყოფთათვის. არის შემთხვევები, როდესაც პატიმარი დაავადებულია ტუბერკულოზით. პატიმრისა და მისი მშობლისთვის ცნობილია, რომ მას ნამდვილად სუნთქვა უჭირს, ღია პროცესი აქვს, სისხლს აღებინებს, თვითონ, ამ უფლების თანამშრომლები, ექიმები, სამედიცინო დეპარტამენტი, როცა მშობლები და პატიმრები მიმართავენ თხოვნით, პასუხობენ, ერთი და იგივე შაბლონური პასუხით, რომ ჩაუტარდა კონსულტაცია, იმყოფება მეთვალყურეობის ქვეშ და საჭიროების შემთხვევაში მას აღმოუჩენენ დახმარებას (თვის განმავლობაში მათ ეხვეწებიან, გადაიყვანეთ, გადაიყვანეთო, ბოლოს და ბოლოს ჩაერევა პრესა, რადიო, ტელევიზია, ადვოკატები და 7-9 თვის დაგვიანებით გადაჰყავთ პატიმარი სამკურნალო დაწესებულებაში, როცა უკვე დაავადებულია იმ დონეზე, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია და ნუთი-ნუთზე სიკვდილს ელოდება. არის შემთხვევები, როდესაც პატიმარს სცემენ სასტიკად, დაზიანებული აქვს ნერვული სისტემა, არ შეუძლია გადაადგილება. იმის მაგივრად, რომ უმკურნალონ, ცდილობენ, ასეთი პატიმარი გადამალონ, ფაქტი დამალონ. ასეთი დასახიჩრებული პატიმრებით სავსეა დღევანდელი ციხეები. რაც შეეხება სამედიცინო მკურნალობას, აქაც საშინელი მდგომარეობაა. ხათუნა კალმახელიძე ტრაბახობს, ლიცენზირებული აფთიაქები გავხსენითო. რად გვინდა ლიცენზირებული აფთიაქი, თუ ის ხელმისაწვდომი არ იქნება პატიმრისათვის, პატიმარს არ უმკურნალებენ და ამ აფთიაქში არ იქნება საჭირო მედიკამენტები, რომელიც პატიმარს სჭირდება ყოველდღიურად.

– აქ შეიძლება ვიღაცას დაებადოს კითხვა, იქნებ არ იცის კალმახელიძემ იმ ვითარების თაობაზე, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაშია?

–კალმახელიძემ ყველაფერი იცის. ვთქვათ, კალმახელიძე თავისი უწყებიდან არ ღებულობს ინფორმაციას. ვთქვათ, დაწესებულების დირექტორი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტი უმალავს ამ ინფორმაციას. კალმახელიძემ ძალიან კარგად იცის, რა ხდება სასჯელაღსრულების სისტემაში ადვოკატებისაგან, პრესისაგან, სახალხო დამცველისაგან. მეტი სხვა რა წყარო არსებობს ამ ქვეყანაზე, თუ მინისტრი არ არის დაყრუებული, ან თუ თავს ძალით არ იყრუებს და არ იბრმავებს, რომ რეაგირებას არ ახდენს. ნუთუ დავიჯერო, რომ სახალხო დამცველი, პრესა, ტელევიზია, ყველა ტყუის და მხოლოდ ხათუნა კალმახელიძე არის მართალი, დანარჩენი კი – მტყუანი და ავრცელებენ ცრუ ინფორმაციას, როგორც მინისტრს სჩვევია, რომ თითქოსდა ეს არის დახურული დაწესებულება. ამით სარგებლობენ თურმე ადვოკატები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ავრცელებენ ისეთ ინფორმაციას, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება. ამ დროს მინისტრის ასეთი უმოქმედობა დანაშაულის ტოლფასია და მას, დღეს თუ ხვალ, კანონის პასუხისგება მოუწევს.



– წამებებისა და იმ უბედურების ფონზე, რაც ტრიალებს ციხეებში, სააკაშვილმა აღიარა, რომ ქვეყანაში იმაზე მეტი პატიმარია, რამდენიც უნდა იყოს რეალურად.

– კარგია, რომ სააკაშვილი ამას აღიარებს, რომ იმაზე მეტი პატიმარია, რაც უნდა იყოს ჩვენი მოსახლეობის ოდენობასთან შეფარდებით. როგორც ამას თვლიან მსოფლიოს მასშტაბით, პატიმართა რაოდენობით პირველ ადგილზე ვიმყოფებით. აღიარება ერთია, მაგრამ მეორეა მიდგომა – არასწორი სადამსჯელო პოლიტიკა, რომელიც სუფევს საქართველოში 2003 წლიდან დღემდე. განსაკუთრებით ეს არის, მგონი 2006 წლიდან, როდესაც სააკაშვილმა „ნულოვანი ტოლერანტობა“ გამოაცხადა ჩვენმა პრეზიდენტმა. ამის შემდეგ დაიწყო ადამიანების მასობრივი დაპატიმრება და ციხეში გაშვება. მასობრივ დაპატიმრებაში ბევრი უდანაშაულო ადამიანია, ბევრი – პოლიტიკური ნიშნით, ზოგი კერძო დაინტერესების გამო ციხეში მოხვედრილი. როდესაც ქვეყანაში არის ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისი, სიდუხჭირე, ამ დროს კანონის ძალიან გამკაცრება, გაუხეშება და ადამიანების ციხეში დამწყვდევა მიუღებელია. ცივილიზებულ ქვეყნებში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მოქნილი იარაღი ეს არის ქვეყნის მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რომ ადამიანებს ელემენტარული პირობები ჰქონდეთ ყოფით ცხოვრებაში და შიმშილისაგან არ იხოცებოდნენ. მეორე იარაღია – განათლება. თუ ადამიანი მატერიალურად ელემენტარული პირობებით უზრუნველყოფილია და განათლებულია, მაშინ სახელმწიფოში დანაშაული ნაკლებად იქნება ჩადენილი. მესამე – სადამსჯელო პოლიტიკა იმდენად არის გამკაცრებული, რომ პატიმრების მიმართ არავითარი შეღავათები არ ვრცელდება. თუ ვრცელდება, მიზერული დონისაა. ეს არის შეწყალება და ვადაზე ადრე გათავისუფლება. რამდენი პატიმრის შეწყალებას ახდენენ ესენი წლის განმავლობაში, ავადსახსენებელი საბჭოთა კავშირის დროს იმდენ პატიმარს 3 თვის განმავლობაში ათავისუფლებდა სასჯელაღსრულების დაწესებულება. ასევე, რამდენ პატიმარსაც ხათუნა კალმახელიძის კომისია „ვადაზე ადრე გათავისუფლების“ შეღავათით ათავისუფლებს ერთი წლის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის დროს ამ ოდენობის პატიმრები თავისუფლდებოდნენ 1 თვის განმავლობაში მთელი სასჯელაღსრულების სისტემიდან. უფრო მეტიც, 3-4-ჯერ მეტი პატიმარიც გათავისუფლებულა 1 თვის განმავლობაში. ამიტომ, ამ ინსტიტუციის გამოუყენებლობა, შეწყალების მცირედ გამოყენება, ამნისტიის გამოუყენებლობა ნაკლებად მძიმე დანაშაულზე, რომ მოხდეს ციხეების განტვირთვა, ყველაფერი ეს ხელს უწყობს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების დაკონსერვებას და მათი ოდენობის ზრდას. ადამიანები საპატიმროში ადგილებში შედიან, იქიდან კი არ გამოდიან, ანუ საპატიმროების გაჭედვა არ ხდება. მთელი საქართველოს მასშტაბით ყოველდღიურად საშუალოდ 100 ადამიანს იჭერენ. 100-დან 70% მიდის ციხეში. ციხიდან თავისუფლდება 3-5%. ამიტომ იზრდება ასე უსაშველოდ პატიმართა რიცხვი ჩვენს ციხეებში. სანამ ეს სადამსჯელო პოლიტიკა არ შეიცვლება, კიდევ უარესი მდგომარეობა შეიქმნება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, კიდევ უფრო გაიზრდება პატიმართა რაოდენობა, გაჩნდება ადგილების პრობლემა – მათ არ ექნებათ საწოლები და დაძინების 2-3 ცვლიან სისტემაზე გადავლენ, სახელმწიფოს დამატებით მოუხდება ციხეებისა და პოლიციის შენობების აშენება. საქართველოში იქნება პოლიციური რეჟიმი, ხოლო ჩვენი ქვეყანა გახდება ციხეების სახელმწიფო.

– ამ ვითარების შექმნაში დამნაშავეა მხოლოდ სააკაშვილი, რომელსაც პოლიტიკური ნება არ გააჩნია საიმისოდ, რომ ამ სფეროში ვითარება მოწესრიგდეს, თუ სააკაშვილთან ერთად მთელი ის მანქანა, რომელსაც სასამართლო, პროკურატურა პოლიცია და მასში მომუშავე ადამიანები წარმოადგენენ და მონაწილეობენ სააკაშვილის დანაშაულებრივი პოლიტიკის გატარებაში?

– სააკაშვილი, რა თქმა უნდა ამ მანქანის წინამძღოლია. საერთოდ, სახელმწიფო მანქანაზე დაყრდნობით შექმნილია რეჟიმი, რომელშიც თავმოყრილია პროკურატურა, სასამართლო, პოლიცია, ანუ ე.წ. სამართალდამცავი ორგანოები,. რომლებიც ქცეული არიან ერთიან სადამსჯელო ორგანოდ. მათი მიზანია, მხოლოდ და მხოლოდ ემსახურონ ხელისუფლებას, რომელიც დღეს ხალზე ბატონობს. არავითარი სამართლიანი გამოძიება არ მიმდინარეობს, არავითარი სამართლიანი სასამართლო არ არის. დღეს ნებისმიერი ადამიანი შეიძლება არჩადენილი დანაშაულის გამო დაიჭირონ და გაასამართლონ. თუ სასამართლოში ჩვენ მივალთ ყველა მტკიცებულებით, რომ კაცს დანაშაული არ აქვს ჩადენილი, მისი გამართლება შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ კანონზე ბატონობს უკანონობა. რაც მთავარია, არსებობს ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან.

– თქვენ ხშირად გაქვთ შემთხვევები, როცა თქვენს კლიენტებს აწამებენ. კონკრეტული მაგალითები შეგიძლიათ დასახელოთ?

– კონკრეტული მაგალითები ძალიან ბევრია, რომელიც მე აღნუსხული მაქვს, მაგრამ თვალშისაცემია იმ პატიმართა მდგომარეობა, რომლებიც აწამეს და ჩემი დაცვის ქვეშ დღესაც იმყოფებიან. ესენი არიან: გიორგი თათარაშვილი, ვლადიმერ ლეჟავა, ლევან კუტალაძე, ტარიელ საყვარელიძე, რომელთაც არ მკურნალობენ სამკურნალო დაწესებულებაში. ეს ადამიანები არიან მაგალითი იმისა, პატიმრებს როგორ აწამებენ. ვლადიმერ ლეჟავა ეს არის ძალადობის მსხვერპლი. მას სასტიკად სცემეს და დაინვალიდებულია, გადაადგილება არ შეუძლია. ლევან კუტალაძე ასევე არის ძალადობის მსხვერპლი, რომელსაც პოლიციამ დაკავებისას სცემა, საშარდე მილი დაუზიანა და 5 თვის განმავლობაში ოპერაცია არ გაუკეთეს, სანამ ტელევიზიით და პრესით არ გახმოვანდა. რომ არ უკეთებდნენ ოპერაციას, კაცმა პირი ამოიკერა. გაუკეთეს ოპერაცია და პირი რატომ ამოიკერაო, ოპერაციის შემდეგ დასაჯეს – დახურულ ციხეში გადაიყვანეს. სასჯელს იხდიდა რუსთავის მე-16 კოლონიაში და და დაბრუნეს რუსთავის მე-6 საპყრობილეში იმის გამო, რომ პირი ამოიკერა და ეს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა. 9 თვის განმავლობაში დედამისი ეხვეწებოდა ხათუნა კალმახელიძეს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, სამედიცინო დეპარტამენტს, ავადაა, ფსიქიკური გადახრები აქვს და სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეთო, მაგრამ საშველი არ დააყენეს. ბოლოს, როცა პრესის მეშვეობით გახმაურდა, რომ ის მოკვდებოდა და ამაში დამნაშავე ისინი იქნებოდნენ, გადაიყვანეს და პატიმარს აღმოაჩნდა ტუბერკულოზი და ფსიქიკური გადახრები და, მგონი, დღესაც სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფება.

– აშკარაა, ამ ხელისუფლებაში ყველა ცვლილება და გაბერილი დაპირებები არჩევნებს უკავშირდება. თქვენ როგორ ფიქრობთ, რაიმე იმედს გიჩენთ ხელისუფლების შიგნით მომხდარი საკადრო გადაადგილებები?

– ხელისუფლების შიგნით მომხდარი ცვლილებები ისევ და ისევ რეჟიმის შენარჩუნებას და მის გაძლიერებას ემსახურება. ადამიანების გამოთაყვანება ამ საარჩევნო პროპაგანდით, რომ დღეს თითქოს უკვე „ანგელოზები გახდნენ ნაციონალები, მთავრობა და თითქოს მოსახლეობას ისეთ პირობებს შეუქმნიან, რომ კომუნიზმში შეიყვანენ, როგორც ამას ჰპირდებოდა 10 წლის განმავლობაში.

– პატიმართა ოჯახები ამომრჩეველთა ძალიან დიდი ბაზას წარმოადგენს, რომელსაც ხელისუფლება ყველა არჩევნების დროს იყენებს. თუ იცით, ამჟამად რა განწყობაა მათში? მომავალ არჩევნებში კიდევ დაუჭერენ მხარს მათი მწამებლების ხელისუფლებაში მოსვლას?

– დიქტატორული რეჟიმი შიშსა და ძალადობაზეა აგებული. ადამიანები დათრგუნული არიან, ხმის ამოღების ყველას ეშინია. ეშინიათ, რადგან შვილები ჰყავთ და ამ ხელისუფლებას შეუძლია უკანონოდ დააპატიმროს – ან იარაღს ჩაუდებენ, ან ნარკოტიკებს, ან კიდევ შესაძლებელია, მისი ოჯახის წევრი სადმე საჯარო სამსახურში მუშაობდეს და გააგდონ და გაანადგურონ. ამიტომ დღეს ყველანი შიშისა და ტერორის ქვეშ იმყოფებიან. ამ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, პატიმრებიც იმყოფებიან, რომლებიც არიან დათრგუნული. პატიმრების გამოყენება შეუძლიათ, მაგრამ პატიმრები დღეს ისე არიან გამწარებული, რომ თავისი სიცოცხლის ფასადაც კი არ მისცემენ ხმას ამ ხელისუფლებას. ალბათ გახსოვთ, ამ დღეებში გახმაურებული ამბავი, რომელიც მოხდა ქსნის მე-15 დაწესებულებაში, სადაც 4 პატიმარი თანამშრომლებმა გააუპატიურეს. ეს დაფიქსირებულია პრესის მეშვეობით, სახალხო დამცველმა პროკურატურას გაუგზავნა წერილი და რას აკეთებს, გაუგებარია, მაგრამ აქ მთავარია ერთი მომენტი – სამმა პატიმარმა ოფიციალურად განაცხადა და დაუწერა კიდეც განმარტება სახალხო დამცველს, რომ მზად ვართ, ჩვენება მივცეთ, საქვეყნოდ გამოვიდეთ, რომ ამ ფაქტს ნამდვილად ადგილი ჰქონდა. ასეთია პატიმრების განწყობა. იქაც უნდა იყვნენ მეთვალყურეები და გაძლიერებული კონტროლის ქვეშ უნდა ჩატარდეს არჩევნები. თუ არჩევნები კონტროლის ქვეშ არ იქნება, მაშინ პატიმრებს მასობრივად მოახახინებენ იმას, რაც ხელისუფლებას უნდა.

– პატიმართა ოჯახის წევრების მოქმედებაზე არის საუბარი, რომლებიც თვითონ პატიმრობაში არ იმყოფებიან, მაგრამ გავლენა მათზეც ვრცელდება.

– ოჯახის წევრებსაც ატერორებენ?

– თუკი ხმას არ მისცემენ ნაციონალებს და ეს ხელისუფლება ველარ დარჩება, რისი უნდა ეშინოდეთ, როცა ესენი, ფაქტობრივად, აღარ იქნებიან?

– მე იმ პატიმრების მშობლებსაც ვემსახურები. საპატიმროებში შესვლა-გამოსვლის პროცესში ბევრ მათგანს ვხვდები, ბევრი მიცნობს, ბაზარი იქნება თუ ქუჩა, ყველა მეკითხება, ყველას აინტერესებს ცვლილება. ამიტომ დარწმუნებული ვარ, მოხდება ცვლილება. დღეს არენაზე გამოჩენილი პოლიტიკური ძალა, წონადი ძალაა. ჩვენ დავინახეთ აქციებზე ხალხის განწყობა. მიუხედავად იმისა, სახელმწიფო ყველა რესურსს იყენებს და აშინებენ მოქალაქეებს, ადამიანებმა დაძლიეს შიშის სინდრომი და ყველა მიდის. მთავრობა უნდა გრძნობდეს, რომ მოსახლეობაში არის განწყობა მათ საწინააღმდეგოდ, მათივე ნამოქმედარის გამო, რაც დაგროვილია და ამის მოთმენა მეტი აღარ შეიძლება. ყველა სისტემაში, ყველა სფეროში, დაწყებული ციხეებიდან, დამთავრებული განათლებით, კულტურით და სოფლის მეურნეობით.

ჯაბა ჯიშკარიანი ახალ „კმარას“ ქმნის?

ნათია ხურცილავა

არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე „კმარას“ ტიპის მოძრაობა შეიძლება შეიქმნას, რომელსაც სათავეში უკვე კარგად გამოწრთობილი ჯაბა ჯიშკარიანი ჩაუდგება. ჯაბა ჯიშკარიანს საპროტესტო აქციების, მიტინგებისა და მანიფესტაციების გამართვის რამდენიმე წლიანი გამოცდილება აქვს.

ჯაბა ჯიშკარიანის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ხალხის ფულს ხარჯავს დამსჯელი პოლიციური ბატალიონის სპეციდანიშნულების დანაყოფების აღჭურვაში, რათა შემდგომ ისინი საკუთარ შეურაცხყოფილ ხალხს გაუსწორდნენ. –ჩვენ, ისევე როგორც უამრავი ახალგაზრდა, მზად ვართ, მივილოთ ეს გამოწვევა. დავდგეთ ჩვენი სამშობლოს და ღირსების დასაცავად. დანაშაულებრივმა ხელისუფლებამ საკადრო ცვლილებებით საქართველოს მოსახლეობას პირდაპირ მიანიშნა, რომ მის ხელთ არსებული ყველანაირი ხერხით ეცდება გააყალბოს და დაუპირისპირდეს საქართველოს მოსახლეობას, რაც ნიშნავს საკუთარი ხალხისთვის ფაქტიურად ომის გამოცხადებას, – განაცხადა ჯაბა ჯიშკარიანმა. მისივე თქმით, პრეზიდენტი სააკაშვილი სანდრო გირგვლიანის მკვლელობის შემდეგ ერიდებოდა ახალაიების კრიმინალური კლანის წინ წამოწევას, ხოლო დღეს ძალოვანი უწყებების მთლიანი ნაწილი სწორედ მათ ჩააბარა.

ჯიშკარიანის განცხადებით, სრულიად საქართველოს ახალგაზრდობა უნდა იყოს მზად, ჩაერთოს არსებულ პროცესებში, რათა თავისი არჩევანი და თავისუფალი მომავალი დაიცვას.

– ჩვენ სრულიად გაცნობიერებული გვაქვს ის, თუ როგორ ემზადება ხელისუფლება არჩევნის გასაყალბებლად. სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, არ შევეგუებით, – განაცხადა ჯიშკარიანმა და დასძინა, რომ საზოგადოებრივი და ახალგაზრდობის აქტივობა დაამთავრებს ხელისუფლების ისტერიას და სწორედ ისინი გააგრძელებენ საქართველოს მომავალ ისტორიას.

– ჩვენ ვხსნით დროებით ოფისს, სადაც ნებისმიერ ახალგაზრდას შეეძლება მოვიდეს და მიიღოს მონაწილეობა, გაწევრიანდეს. ჩვენ, ქართველი ახალგაზრდები ერთიანი ძალისხმევით უნდა დავდგეთ, იქ, სადაც წლების მანძილზე ვიდექით, ჩვენი სამშობლოსა და ღირსების დასაცავად. – ამბობს ჯიშკარიანი.

ჯაბა ჯიშკარიანმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აქციებზე მოქალაქეების დასაცავი მობილური ჯგუფები შეიქმნება, რომლებიც ზონდერების მხრიდან გამოვლენილ ძალადობას აღკვეთენ.

– მოვუწოდებ საქართველოს ახალგაზრდებს, რომ ჩაერთონ ამ პროცესში, რათა დაიცვან თავიანთი არჩევანი და თავიანთი თავისუფალი მომავალი. ამ მიზნით განახლებული ძალებით ვაპირებთ მობილური ჯგუფების შექმნას, რომლებიც ჩვენი მოქალაქეების უფლებებს სიცოცხლის ფასად დაიცავენ. მთავრობაში ცოტა ხნის წინ განხორციელებული ცვლილებებიდანაც ჩანს, თუ როგორ აპირებს ხელისუფლება არჩევნების ჩატარებას. – განაცხადა ჯაბა ჯიშკარიანმა.

ჟურნალისტებმა პოდიუმზე გადაინაცვლეს

ეკა ირემაშვილი

სხვადასხვა ტელევიზიებში მოღვაწე ჟურნალისტებმა ერთი დღით თავისი პროფესია დაივიწყეს და მოდელებად იქცნენ. დიზაინერმა დადუმ, იგივე ეკატერინე თადუმაძემ მათ ტრადიციული საჩუქარი მოუმზადა და 6 ივლისს ჟურნალისტები მორიგ ჩვენებაში „მასმოდა 2012“ ჩართო.

– ჟურნალისტები პოდიუმზე გასასვლელად თავიდანვე აქტიურად ემზადებოდნენ. უჩვეულო ამპლუაში მედიის წარმომადგენლები მაყურებლის წინაშე უკვე მეშვიდედ წარდგნენ. ტრადიციად ქცეული ჩვენება წელს სწორედ მეშვიდედ ჩატარდა. ექვსი ტელეკომპანიის 50-მდე წარმომადგენელმა ჩემ მიერ შექმნილი კოსტიუმები მოირგო და „რედისონში“ შეკრებილ საზოგადოებას წარუდგინა. პირადად მე ძალიან კმაყოფილი ვარ და ალბათ იგივეს გრძნობენ ჟურნალისტებიც, – განაცხადა დიზაინერმა დადუმ.

ჟურნალისტებმა პირველი რეპეტიცია დიზაინერთან ერთად „ემბავუდის“ ქარხანაში გაიარეს. მათ დადუსთან ბოლო დეტალებიც დააზუსტეს და სპეციალურად მათთვის აგებული პოდიუმიც დაიპყრეს.

– ტრადიცია არც წელს დაირღვა და მორიგ „მასმოდასაც“ ისევ სასტუმრო „რედისონმა“ უმასპინძლა. ჩვენება 6 ივლისს დავგეგმეთ. კოსტიუმები თითოეულ ჟურნალისტზე იყო მორგებული, თან ძალიან საინტერესო და უჩვეულო, იმიტომ, რომ თითოეულმა კოსტიუმმა გამოხატა ინდივიდუალური სტილი. ჩვენ ვიმუშავეთ იმაზეც, რომ როცა ჟურნალისტები პოდიუმზე გამოვიდოდნენ, ეს სტილი მაყურებლისთვის ეჩვენებინათ, დაეჭირათ ხასიათი და ის გამოეტანათ ბოლომდე. პირადად მე, ყოველ წელს ვცდილობ, თითოეული ჟურნალისტი იყოს განსხვავებული პოდიუმზე, რადგან ეს არის დღე, როცა ჟურნალისტს შეუძლია თავი ქალად იგრძნოს, ულამაზეს კაბაში, არა სპორტულ ფორმაში – კედებსა და ჯინსებში, არამედ დავარცხნილი, მაკიაჟით გალამაზებული და მოწესრიგებული იყოს. ეს არ არის დღე, როცა ჟურნალისტი საკუთარ თავს არ ეკუთვნის და რესპოდენტთან ან პირდაპირ ჩართვაზე აგვიანდება. სწორედ ამიტომაც, თითოეული მათგანი მასმოდაზე ყველაზე ლამაზად და მომხიბვლელად გამოიყურებოდა. იმ ფაქტს, რომ ჩემს გარდა, ჩვენი ულამაზესი ჟურნალისტები შეკრებილ საზოგადოებასაც მოეწონა, მათი ოვაციები და აპლოდისმენტები ადასტურებდნენ, – განაცხადა დიზაინერმა.

„მას მოდა 2012“-ის დასრულების შემდეგ, სასტუმრო „რედისონში“ სპეციალური გათამაშება მოეწყო, სადაც ჟურნალისტებს სამახსოვრო საჩუქრები და სიურპრიზები გადაეცათ.

– ყოველწლიური ტრადიცია, რასაც „მას მოდა“ ჰქვია, არც წელს დაირღვა და მასში მონაწილე ჟურნალისტებს ჩვენმა მეგობარმა კომპანიებმა სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს. წელიწადში ერთხელ ყველა არხის ჟურნალისტი ერთმანეთის კონკურენტი კი არ არის, არამედ მეგობარი და გულშემატკივარია და ყოველგვარი აგრესი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ნინო სუხიშვილი: მოცეკვავეებს დავეხმარები

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სუხიშვილის მემკვიდრეებმა პირადად გააცნეს ყველა ის სამომავლო გეგმა, რაც მათი მამის სახელობის ფონდთან არის დაკავშირებული.

საქველმოქმედო ფონდი ნინო და ილიკო სუხიშვილებმა მამის გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ დააფუძნეს. ღონისძიების ორგანიზატორთა მიერ დაიგეგმა სპეციალური აუქციონიც, სადაც ნინო რამიშვილის და ილიკო და თენგიზ სუხიშვილების პირადი ნივთები აუქციონის წესით გაიყიდა.

თენგიზ სუხიშვილი მამის, ილიკო სუხიშვილის გარდაცვალების შემდეგ, წლების განმავლობაში სათავეში ედგა მშობლების მიერ დაარსებულ ანსამბლს და ქართული ნაციონალური ბალეტის დირექტორი გახლდათ. იგი ათეული წლების განმავლობაში საქართველოს ქართული ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის წამყვანი სოლისტი იყო, ასევე მუშაობდა ანსამბლის ქორეოგრაფად, სამხატვრო ხელმძღვანელად დედასთან, დიდ ნინო რამიშვილთან ერთად. მის მიერ შესრულებული სოლო პარტიებიდან ცეკვებში განსაკუთრებით აღსანიშნავია „სიმდი“, „ქაჯეთის აღება“, „ხონგა“, „ხევსურული“, შეჯიბრი“, ასევე დადგმები და ქორეოგრაფიული კომპოზიციები.

– ქართული ეროვნული ბალეტი, საზოგადოებაში უფრო მეტად ცნობილი, როგორც სუხიშვილები ან სუხიშვილი, ქორეოგრაფიული ანსამბლი დაარსდა 1945 წელს ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის ხელმძღვანელობით. ეს იყო პირველი პროფესიონალური სახელმწიფო საცეკვაო დასი. სწორედ მათი დამსახურებაა ქართული ნაციონალური საცეკვაო ხელოვნების განვითარება და მისი მსოფლიო ასპარეზზე წარმოჩენა. ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი განუყოფელ წყვილად იქცნენ როგორც სცენაზე, ისე ცხოვრებაში. მიზანმიმართული ქმედებების შედეგად, მათი ოცნება რეალობად იქცა. ანსამბლის მიერ ქართულ ცეკვაში განხორციელებული რეფორმა ახლოა ე.წ. „მოდერნ-ბალეტის“ პრინციპებთან, თუმცა მისი არსით და პოეტიკით ეს ღრმად ეროვნული და ჭეშმარიტად ქართული ქორეოგრაფიაა. პირველი კონცერტი გაიმართა 1945 წლის 11 ივნისს. 1948 წელს ანსამბლი პირველად გასცდა საბჭოთა კავშირის საზღვრებს. 1970 წელს ანსამბლს მიენიჭა „აკადემიურის“ სტატუსი. ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო ანსამბლს განხორციელებული აქვს 200-ზე მეტი ტურნე. მსოფლიოს ხუთი კონტინენტის 88 ქვეყანაში გამართული აქვს 19.200-ზე მეტი წარმოდგენა. ანსამბლის ქორეოგრაფიულ ხელოვნებას 60 მილიონზე მეტი მაყურებელი ეზიარა. 1967 წელს ანსამბლმა კონცერტი ლა-სკალაში გამართა და პირველი და დღემდე ერთადერთი ფოლკლორული დასი გახდა, რომელიც ამ თეატრის სცენაზე გამოვიდა. ამ დღეს ლა სკალას ფარდა 14-ჯერ აიწია. „ქართული ნაციონალური ბალეტი“ წლების მანძილზე მსოფლიო მასშტაბით წარმოდგენილი იყო ცნობილი იმპრესარიოებისა და სააგენტოების მიერ. ანსამბლის შოუ ისეთ ცნობილ სცენებზე ყოფილა წარმოდგენილი, როგორებიცაა „ალბერტ ჰოლი“, „კოლიზეუმი“, „მეტროპოლიტენ ოპერა“, „მედისონ სკვერი“ და სხვა ცნობილი დარბაზები. 1985 წლიდან ანსამბლის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი იყო თენგიზ სუხიშვილი. ქორეოგრაფი და მოცეკვავე 69 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია ილიკო სუხიშვილი-უმცროსი. დირექტორი კი – ნინო სუხიშვილი. სწორედ მათი ინიციატივით შეიქმნა საქველმოქმედო ფონდი, რომელიც თენგიზ სუხიშვილის სახელს ატარებს, – განაცხადა პროექტის კურატორმა ნათია კავლელიშვილმა.

ქართული ნაციონალური ბალეტის, როგორც მას ყველაზე ხშირად უწოდებენ, სუხიშვილების ორსაათიანი პროგრამა, ესაა ქართული სულის თავგადასავალი თანამედროვე ცეკვლებებით.

– შემოქმედებითი ძიების პროცესი ყოველდღიურად მიმდინარეობს. თითოეული ცეკვა განიცდის ევოლუციას ილუსტრაციულობიდან უნიკალურობამდე. საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მიერ დადგმული ცეკვები ტრადიციად იქცა. ბევრმა შვთა ანსამბლები, ცეკვის წრეები, ცალკეული ჯგუფები მუშაობენ და დგანან უკვე კლასიკად ქცეულ სუხიშვილიულ ქორეოგრაფიას, – აღნიშნავს პროექტის კურატორი.

რაც შეეხება, თენგიზ სუხიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდს, მას უამრავი სამომავლო გეგმა აქვს, რომელიც სწორედ ფონდის პრეზენტაციაზე გახდა ცნობილი.

– ჩვენი ფონდი ორიენტირებული იქნება ძირითადად მოცეკვავეებზე და მათთვის დახმარებასა და პროფესიულ საქმიანობაში წარმატებისთვის ხელშეწყობაზე. ჩვენ სპეციალურად ამ დღისთვის ჩავატარეთ აუქციონი და მასზე გამოვიტანეთ დიდი ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის საყვარელი ნივთები, ასევე თენგიზ სუხიშვილის პირადი ნივთები. ესეც სიმბოლურია იმიტომ, რომ ამ საქველმოქმედო ფონდში, რომელიც ძველი და ახალი თაობის მოცეკვავეებს დაეხმარება, პირველი შენატანი სიკეთისა და ქველმოქმედებისთვის სწორედ ნინომ და ილიკომ და თენგიზ სუხიშვილმა გააკეთეს. ფონდის წარდგენაზე გამართული აუქციონიდან შემოსული თანხა კი პირველადი შენატანია საქველმოქმედო ფონდში და ის ფონდის მიზნებს მოხმარდება. ჩვენი მიზნები კი სულ მალე ყველასთვის გახდება ცნობილი, – განაცხადა ფონდის პრეზენტაციაზე ნინო სუხიშვილმა.

რუსთაველის თეატრმა სეზონი დახურა

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა თეატრალური სეზონი პრემიერით დახურა. რეჟისორმა იოსებ ბაკურაძემ თეატრის მოყვარულ საზოგადოებას ორი დღის განმავლობაში წარუდგინა სპექტაკლი „გაუმარჯოს ბუშონს“, რომელიც თეატრის მცირე სცენაზე გათამაშდა.

იოსებ ბაკურაძის სპექტაკლი რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელობას საგაზაფხულო პრემიერების სიაში ჰქონდა ჩასმული, თუმცა პრემიერა დაგვიანებით იქნა წარმოდგენილი და ისიც მხოლოდ ორი დღით. როგორც რუსთაველის თეატრის პრესსამსახურში განმარტეს:

– პრემიერა მხოლოდ ორი დღით იყო წარმოდგენილი. ეს აღმოჩნდა ჩვენს თეატრში ბოლო სპექტაკლები, ამის შემდეგ კი თეატრალური სეზონი ჩვენთან დახურულია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მსახიობებს შეუძლიათ დაისვენონ, თვის ბოლომდე თეატრში ჩვეულებრივ სამუშაო გარემოა, აგვისტოში კი ყველანი ერთად დავისვენებთ.

რაც შეეხება იოსებ ბაკურაძის მიერ დადგმულ სპექტაკლს, უან დელის და ჟერალდ სიბლეირასის კომედია ერთ მოქმედებად მალხაზ ასლამაზიშვილმა და ალექსანდრე ბრაილოვსკიმ თარგმნეს. მხატვრობა ავთო მოდებაძეს ეკუთვნის, მუსიკალური გაფორმება – ალექსანდრე ნიკოლაძეს და ია საკანდელიძეს, ქორეოგრაფია – კახა ბაკურაძეს, რეჟისორის თანაშემწე კი რუსუდან ბარბაქაძეა. სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები – ზუკა პაპუაშვილი, ქეთი სვანიძე, გაგი სვანიძე და ნიკა ქაცარიძე.

პიესის მოქმედება საფრანგეთის ერთ პროვინციულ სოფელ ბუშონში მიმდინარეობს. ამ სოფლის პატივცემული მერი სიამაყით აცხადებს: „გაიხსენეთ, რას ნიშნავს ბუშონი – საცობს. ასე რომ, ჩვენი ვალია, ყველა ნახვრეტს მოვერგოთ!“ თუმცა, ჩვენს თვალწინ, დამოუკიდებლობის მაძიებელი ბუშონი სეპარატისტული რეგიონების სიმბოლოდ იქცევა და სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ევროკავშირს, ორგანიზაციას, რომლის სუბსიდიებითაც ცხოვრობს.

იოსებ ბაკურაძის სპექტაკლის გარდა, თეატრის ხელმძღვანელობამ სხვა პრემიერებიც დაგეგმა. უკვე დაწყებულია მუშაობა სხვა სპექტაკლებზეც – რეჟისორი გიორგი თავაძე წარმოადგენს ტომ სტოპარდის „გამოფენის შემდეგ“, ვალერიან გორგოშაძე მუშაობს სპექტაკლზე, რომელიც პაინრიხ ფონ კლაისტის „პრინცი ჰომბურგი“ მიხედვით განხორციელდება. სპექტაკლები საგაზაფხულო სეზონში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, თუმცა რეჟისორთა გადაწყვეტილებით, რეპეტიციები შემოდგომაზეც გაგრძელდება და პრემიერებიც სწორედ ახალ თეატრალურ სეზონზე იქნება წარმოდგენილი.

რუსთაველის თეატრმა მორიგი თეატრალური სეზონი ივნისის ბოლოს გოჩა კაპანაძის მიერ აღდგენილი მისივე სპექტაკლით – „მარიამ სტიუარტი“ დახურა. მთელი წლის განმავლობაში კი თეატრმა თავის ერთგულ მაყურებელს არაერთი პრემიერა შესთავაზა. ყველაზე მეტი მოლოდინი საზოგადოებას მაინც მიუზიკლის „ოლივერ“ მიმართ ჰქონდა, რომელიც რეჟისორს დავით საყვარელიძემ დადგა. მანვე მაყურებლის თხოვნით აღადგინა სპექტაკლი „სულიერი არსებები“, რომელიც ლაშა ბუღაძის პიესის მიხედვით დაიდგა.

როგორც რუსთაველის თეატრში განმარტავენ, ეს მხოლოდ ნაწილია იმ სიახლეებისა, რომელსაც თეატრი თავის ერთგულ მაყურებელს მომავალ თეატრალურ სეზონებში ჰპირდება.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარაყდეთ ყველგან და ყოველთვის.

საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ქალბატონებო! აგლაძის №67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გარჩევა, საბან-ლეიბების განახლება-აღდგენის მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი, შემოგთავაზებთ ქსოვილების არჩევანს. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მრ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.

● კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.

ნაკრებმა შეკრება დაიწყო

საქართველოს ეროვნულმა საკალათბურთო ნაკრებმა ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მზადება უკვე დაიწყო. ჯერჯერობით გუნდი მხოლოდ ფიზმომზადებით შემოიფარგლება და ყველა კალათბურთელი შეკრებაზე არ არის. გუნდში ნაკრებმა ღია ვარჯიში გამართა. გამოძახებულთაგან არ ყოფილან ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, ვიქტორ სანიკიძე, ნატურალიზებული კორი ფიშერი, ოთარ ფხაკაძე, რეზო როგავა, მერაბ ბოქოლიშვილი და დუდა სანაძე.

ბოლო ოთხეული 20-წლამდე ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის ემზადებიან, სანიკიძე საპატიო მიზეზის გამო არ იყო (ასე გვითხრეს მწვრთნელებმა), ფაჩულიას მცირე ტრავმა აქვს და გუნდს ავსტრიაში შეუერთდება, ისევე როგორც კორი ფიშერი და გუნდის მთავარი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი, ხოლო შენგელიას დღეს ნბა-ს საზაფხულო ლიგა ეწყება.

გუნდს გუშინ შეუერთდა გიორგი შერმადინი, თუმცა მხოლოდ ინდივიდუალურად ივარჯიშა. როგორც თავად კალათბურთელმა გვითხრა, ექიმებმა უკვე სრულფასოვანი ვარჯიშის უფლება მისცეს, დატვირთვებს ნელ-ნელა მოუმატებს და შესარჩევ ეტაპს ოპტიმალურ ფორმაში უნდა შეხვდეს.

მცირე კომენტარი ვთხოვეთ ანატოლი ბოისასაც:

– ავთო ბერიძის ხელმძღვანელობით ფიზიკურად ვვარჯიშობთ, რათა ავსტრიულ შეკრებაზე ამ მხრივ მომზადებული ჩავიდეთ. იქ უკვე მთავარმა მწვრთნელმა მთელი ყურადღება ტაქტიკურ მონახაზს უნდა დაუთმოს და სხვა მხრივ დრო და ენერგია არ უნდა დაეკარგოთ. ჯგუფი საკმაოდ ძლიერია და იოლი გასეირნება არც რუმინეთთან გველის, რომელიც დანარჩენ გუნდებზე სუსტია. განსაკუთრებით გამოყოფდი ლატვიელებს, რომლებიც საინტერესო კალათბურთს თამაშობენ და გუნდიც ასეთივე ჰყავთ. ბოსნიელები ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებს გაუტოლებენ და ეს გუნდები ყოველთვის ევროპორჩევიან კალათბურთის თამაშით – განსაკუთრებით სათამაშო დისციპლინით. ჰოლანდიელებს შარშანდელი მატჩი მოუგეთ, თუმცა ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ.

ბოისას ნაკრებს მიღმა დარჩენილ 3 კალათბურთელზე, მის ძმა ვოვასზე, ნიკოლოზ ცქიტიშვილზე და ლაშა გამყრელიძეზეც დავეკითხეთ.

– ცხადია, მათი არყოფნა გუნდს ერკვეულწილად დაეტყობა. ერთია, მე ბევის მაგივრად ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ჩემი ძმის სახელით შემიძლია ვისაუბრო. ის რაც ჩემ ძმას გაუკეთეს, ლაზური ფორმა არ იყო. ნაკრებში ადგილი გარანტირებული არავის აქვს და ადრე თუ გვიან, მისი დატოვება მოუვლს. თუმცა, ვოვას, რომელსაც ამჟამად აქვს ნაკრებში, სადაც 14 წლის მანძილზე თამაშობდა, პრესკონ-ფერენციის წინა დღეს არ ეკუთვნოდა იმის გაგება, რომ იქ ვეღარ ითამაშებს. გაცილებით სხვა კუთხით და ფორმით შეიძლებოდა ამის მოგვარება.

საქართველოს ნაკრების მოსამზადებელი ეტაპი დაწყებულია, თუმცა სრული სია ასეთია:

2-16 ივლისი: ფიზიკური მომზადების ვარჯიშები თბილისში;

17-28 ივლისი: შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია);

29-31 ივლისი: საერთაშორისო ტურნირი ტალინში (ესტონეთი). მონაწილეობენ: საქართველო, ესტონეთი, ჩეხეთი და აშშ-ს ერთ-ერთი საუნივერსიტეტო გუნდი;

1-5 აგვისტო: შეკრება შტაინბრუნში (ავსტრია);

4 აგვისტო: საკონტროლო მატჩი ავსტრია-საქართველო ავსტრიაში (ქალაქი დადგინდება მოგვიანებით);

7-9 აგვისტო: საერთაშორისო ტურნირი თბილისში. მონაწილეობენ: საქართველო, უკრაინა, ესტონეთი, ბელარუსი;

13 აგვისტო: საკონტროლო მატჩი გერმანია-საქართველო (ლაიფციგში, გერმანია);

18 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-რუმინეთი თბილისში;

21 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ბოსნია-საქართველო (სარაევოში);

24 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ლატვია (თბილისში);

21 აგვისტო: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჰოლანდია-საქართველო (ალმერეში);

2 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი რუმინეთი-საქართველო (სიბიუში);

5 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ბოსნია (თბილისში);

8 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ლატვია-საქართველო (რიგაში);

11 სექტემბერი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საქართველო-ჰოლანდია (თბილისში).

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ საქართველოს ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობას:

გამთამაშებლები: კორი ფიშერი, გიორგი ცინცაძე, ოთარ ფხაკაძე, რეზო როგავა;

მსროლელები: მანუჩარ მარკოიშვილი, ბესო ლეჟავა, მერაბ ბოქოლიშვილი, დუდა სანაძე;

მსუბუქი ფორვარდები: ვიქტორ სანიკიძე, ანატოლი ბოისა, ლევან ფაცაცია;

მძიმე ფორვარდები: თორნიკე შენგელია, აკაკი დვალიშვილი, ნიკა მეტრეველი, ბექა ბექაური;

ცენტრები: ზაზა ფაჩულია, გიორგი შერმადინი, რიჩარდ მათიაშვილი.

ლევან ყენია – ბროლის ტალანტი

21 წლის ქართველი ნახევარმცველის, ლევან ყენიას სანკტ-პეტერბურგის „ზენიტში“ ჩარიცხვის პრეზენტაცია, წესით, გუშინ უნდა შემდგარიყო. თუმცა, ალბათ, ეს პროცესი გვიან მოხდებოდა და სადღეისოდ ვერაფერს გეტყვით. თუმცა, რუსულ მედიაში არ წყდება საუბარი ქართველი ფეხბურთელის „ზენიტში“ გადასვლასთან დაკავშირებით და 3 მოზრდილი წერილიც გამოქვეყნდა. აქედან, ყველაზე საინტერესო სათაური „სპორტდიალოგს“ ჰქონდა – ლევან ყენია – ოქრო თუ ბრონზი „ზენიტისთვის“? წერილები ასევე გამოქვეყნდა სპორტს.რუ-ზე და სპორტდეილი.რუ-ზე. ჩვენც ამ უკანასკნელს გთავაზობთ.

„ზენიტი“ და ყენია: ვინ ვის წაადგება?

„შალკეს“ საიტმა ოფიციალურად პირველმა გამოაცხადა ლევან ყენიას „ზენიტში“ გადასვლის შესახებ. მანამდე კი ინტერნეტში გავრცელდა ფეხბურთელის ფოტოსურათები, რომელზეც ყენია „ზენიტის“ პორტუგალიურ შეკრებაზე ახალ თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშობს.

თავად „ზენიტი“ ბოლო წუთამდე დუმილს ამჯობინებდა, თითქოს ერიდებოდა თავისი პირველი საზაფხულო შენაძენის შესახებ გაცხადება. ლევანი პარიზში გადავიდა, ფორლანი – ბრაზილიაში, პეტერბურგში კი – ლევან ყენია, რომელზეც ბევრი პირველად სწორედ ახლა გაიგებს (თუმცა, ქართულ მედიაში, მათ შორის „ახალ თაობაშიც“ ამ თემაზე საუბარი იყო).

სინამდვილეში კი სასირცხვილო არაფერია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ფეხბურთელის ისტორია საკმაოდ ნაღვლიანია.

ასეა თუ ისე, ტრანსფერზე პრინციპული შეთანხმება მიღწეულია. ახლა ისღა დაგვრჩენია, დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ამავდროულად, გავიგოთ, ვინ მოდის „ზენიტში“.

მოხეხებული მენეჯერი

2006 წელს საქართველოს ნაკრები ჩაიბარა კლაუს ტოპმიოლერმა, რომელმაც „ლევერკუზენთან“ ერთად 2001-02 წლების ჩემპიონთა ლიგის ფინალში გააღწია. თუმცა, ტოპმიოლერთან ერთად, გუნდმა ბუნდესლიგის მოგების წარუმატებელი მცდელობების გამო არცთუ საამაყო მეტსახელი „ნევერკუზენი“ დაიმსახურა. სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რის გამოც ტოპმიოლერი სამშობლოში დღემდე არამოთხოვნადი სპეციალისტია...

ყველაზე მთავარი კი, რაც ჰერ ტომპიოლერმა საქართველოს ნაკრებში გატარებული ორი წლის განმავლობაში გააკეთა, მსოფლიოსთვის ლევან ყენიას, ლევან მჭედლიძისა და გიორგი მაკარიძის გაცნობა იყო. ყოველ შემთხვევაში, ამის გაკეთებას შეეცადა.

საქართველოს ნაკრებთან ერთად რაიმეს მოგება საკმაოდ ძნელია და ამიტომ ტოპმიოლერმა, როგორც მოხერხებულმა მენეჯერმა, ყველაფერი გააკეთა, რათა მინიმუმიდან მაქსიმუმი გამოეწურა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი იყო ევრო 2008-ის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების გამარჯვება შოტლანდიასთან (2:0). ამ მატჩში მჭედლიძემ გოლი შეაგდო, ყენიამ კი, რომელიც მაშინ 17 წლის იყო, გერმანელი სპეციალისტის გული ერთხელ და სამუდამოდ დაიპყრო.

– არასდროს მინახავს ასეთი ტექნიკის მქონე ახალგაზრდა მოთამაშე! შოტლანდიასთან მატჩში ის საუკეთესო იყო მოედანზე. ყენიას არაჩვეულებრივი მომავალი აქვს! – აღფრთოვანებას ვერ მალავდა კლაუსი, რომელიც პარალელურად ევროპულ კლუბებს აწვდიდა შესიჯს.

გერმანიაში კი იცოდნენ ტოპმიოლერის კავშირების შესახებ ერთ-ერთ საფეხბურთო სააგენტოსთან. ამასთან, 2006 წელს მწვრთნელის სახელს მოიხსენიებდნენ „რობერტ ჰოიცერის საქმესთან“. შეგახსენებთ, ჰოიცერი ის მსაჯია, ხორვატულ ბუქმეკერულ მაფიას მატჩების შედეგებზე გავლენის მოხდენაში რომ ეხმარებოდა.

სამი ოპერაცია

ლევან ყენია, ეჭვგარეშეა, იმსახურებდა ყურადღებას და თან, 14 წლიდან, როდესაც ორკვირიან სტაჟირებაზე ის თვით „ბარსელონამ“ მიიწვია.

უკვე 16 წლისა ლევანი თბილისის „ლოკომოტივის“ თამაშებზე გულშემატკივრებს იზიდავდა. სტადიონზე ხალხი სნორედ მისი თამაშის სანახავად დადიოდა და ეს მაშინ, როცა საქართველოში დრიბლინგის ოსტატები და „ტეხნარები“ არასდროს უკვირდათ.

ყენია ცაციათი არა მხოლოდ მიკროვიბრაციამდე იმორჩილებდა ბურთს, მოედანზე გონებითაც უნაკლოდ მუშაობდა. თამაშის რიტმისა და პარტნიორების არაჩვეულებრივი შეგრძნება, ასევე, პასების სიზუსტისა და სისწრაფის უბადლო გათვლა, რითაც ხასიათდებოდა ლევანი, კლაუს ტომპიოლერს ხელებს სიამოვნებით აფშვნეტინებდა – ბუნდესლიგაში პლეიმეკერებზე მოთხოვნა ყოველთვის მაღალია.

2008 წელს განხორციელებულ ტრანსფერში გარეული ხალხის ბედად, კარგი დირიჟორის ნაკლებობას ყველაზე მწვავედ განიცდიდა „შალკე“ – კლუბი, რომელიც თავს არაერთი ფეხბურთელის შეძენის უფლებას აძლევდა, მაგრამ რატომღაც მუდმივად ტყუვდებოდა არჩევანში...

ის, რომ ტრანსფერი პერსპექტივაზე იყო გათვლილი (რამდენიმე ვერსიით, გარიგება 500.000 ევროთი განისაზღვრა), ეჭვს იმიტომაც არ ბადებდა, რომ ჰოლანდიელი ფრედი რიუტენი თავიდანვე აშკარას ხდიდა თავისი მუშაობის პრინციპს – მისთვის მთავარი შედეგი იყო.

და ყენიასაც, რომლის თამაში 99 პროცენტით ნიჭით იყო განპირობებული და მხოლოდ 1 პროცენტი – მომზადებით, არ უნდა ჰქონოდა თავიდანვე ძირითადში მოხვედრის იმედი. მან თამაში ჯერ „შალკეს“ ასაკობრივ გუნდში დაიწყო და პერსპექტივაც თავისით გამოიკვეთა...

მაგრამ ლევან ყენიას კარიერაში მთავარი როლი კავკასიური წარმომავლობის ყველა ნიჭიერი ფეხბურთელისთვის დამახასიათებელმა პრობლემამ ითამაშა. როგორც ჩანს, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის ქუჩებსა და ეზოებს არ შეუძლია ისეთი ჯანმრთელობის ბოძება, როგორიც კოპაკაბანას პლაჟებს.

სხვა პლანეტიდან მოსულ ბიჭს „ბუნდესლიგის ქვაბში“ ისე ხარშავდნენ, არცკი ინტერესდებოდნენ, რისგან იყო პროდუქტი დამზადებული – როგორ ზრუნავენ საქართველოში მოზარდი ფეხბურთელების კვებაზე, ვარჯიშზე, კონდიციების აღდგენაზე...

ლევან მჭედლიძემ, გაუშვა რა ხელიდან „პალერმოში“ დამკვიდრების შანსი, სერია ბ-ში „ემპოლიში“ ითამაშა. გიორგი მაკარიძე საფრანგეთში, „ლე შანში“ გამდიდს. ლევან ყენიას კი ყველაზე ნაკლებად გაუმართლა. „შალკეში“ გატარებული სამი წლის განმავლობაში კოჭზე სამი ოპერაცია გადაიტანა. ბოლო ტრავმა, რომელიც 2009 წლის ოქტომბერში მიიღო, ის მოედნის მიღმა მთელი ორწლინახევრით დატოვა. ყველაზე დიდხანს ლევანმა გუნდის მაისურით 2010 წელს ითამაშა: 490 წუთი ჩემპიონატში, 105 – თასზე.

2011 წელს მან მხოლოდ სტატისტიკოსთა ყურადღება მიიპყრო, როდესაც სათასო მატჩში „აუგსბურგთან“ განაცხადში მოხვდა. მაშინაც მხოლოდ სათადარიგოთა სკამზე ჯდომით შემოიფარგლა.

ნაჯახით!

„შალკეში“ ყენიამ რამდენიმე მწვრთნელი გამოიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ მთავარი გუნდისთვის სრულად დახარჯვა ვერცერთის ხელში შეძლო, პრაქტიკულად, ყველა თავკაცი მის მიმართ დადებითად იყო განწყობილი.

ლევანს წყენა მხოლოდ ფელიქს მაგათიზე დარჩა, ვისი ვარჯიშებითაც გერმანელი მშობლები იმ ბავშვებს აშინებენ, რომლებსაც სწავლა ეზარებათ.

2011 წელს „შალკემ“ თურქულ ბელექში შეკრება გამართა. ექიმები ლევანს სრული დატვირთვით ვარჯიშს არ ურჩევდნენ, თუმცა მაგათმა ყურად არ იღო მათი შეგონება. შედეგად, ქართველ ფეხბურთელს კოჭი კვლავ ასტკივდა და ისევ გაუთავებელი მკურნალობა...

ძნელი სათქმელია, რატომ მოიქცა ასე მაგათი. შესაძლოა, ამით მას ტრავმით გატანჯული ახალგაზრდა ფეხბურთელის ერთბაშად „გამოცოცხლება“ სურდა. ყენია არც თავად მალავდა, რომ ნირწამხდარს კარიერის დასრულებაზე ფიქრები აეშლებოდა ხოლმე... მას ხელის წაკვრა სჭირდებოდა, მაგრამ დესპოტმა მაგათმა ვერ მოზომა – ნაჯახით ხელოვნების შედევრები არ იქმნება.

„შალკეს“ ამჟამინდელი მწვრთნელი ჰუბ სტივენსი უფრო ლმობიერია ვარჯიშზე, თუმცა საკმაოდ მკაცრი თავის განაჩენში:

– ძალიან გამიჭირდა ყენიასთვის იმის თქმა, რომ ფეხბურთის პროფესიონალურად თამაშისთვის მხოლოდ სურვილი არ კმარა.

ხელები გაასავსავა მეორე გუნდის დამრიგებელმა მანფრედ დუბსკიმაც:

– ჩემს გუნში სიამოვნებით ვიყოლიებდი ლევანს. ის ბრწყინვალე ფეხბურთელია, მაგრამ გერმანიაში იმ უცხოელების მეორე გუნდებში თამაში აკრძალულია, რომლებსაც კლუბთან პროფესიული კონტრაქტი არ აქვთ.

აშკარა იყო, „შალკე“ ყენიასთან ახალ შეთანხმებას არ დადებდა მხოლოდ იმისთვის, რომ მას სიამოვნება „შალკე 2-ის“ მწვრთნელისთვის მიენიჭებინა.

გელზენკირხენიდან წასვლისას ყენიამ თქვა, რომ ოდესმე ისურვებდა „შალკეს“ არაჩვეულებრივ სტადიონზე დაბრუნებას.

სასწაულები ხდება? რა თქმა უნდა. გარეთ ბეილიც „ტოტენჰემიდან“, სანამ ყველაფრის დამანგრეველი რაკეტა გახდებოდა, ორ-ნახევარი წელი მუხლის ტკივილით იტანჯებოდა. ყენიას ყოფილმა თანაგუნდელმა, კრისტიან პანდერმაც, მხოლოდ „შალკედან“ „ჰანოვერში“ გადაბარგების შემდეგ შეძლო ყველასთვის დაემტკიცებინა, რომ მის მარცხენა ფეხს კვლავ ბევრი შეუძლია. არადა, მანამდე, სხვათა შორის, პანდერი და ყენია ტრავმებს ერთსა და იმავე ექიმთან მკურნალობდნენ.

„ზენიტს“ მოსარიდებელი მართლაც არაფერი აქვს. საერთოდ კი, უნებისყოფობის გამოვლინებაა – საქმის დაწყებისთანავე ცხვირის ჩამოშვება. რადგან დაიწყე, სჯობს კარგად მოკიდო ხელი და მოახდინო სასწაული.

ვებგვერდი სპორტბოქს.რუ კი, უფრო დაინტერესდა ქართველი ფეხბურთელით და მკითხველს მასზე 10 გამორჩეული მომენტი შესთავაზა.

1.ყენიას შეუძლია მოედანზე სხვადასხვა პოზიციაზე ითამაშოს. ტექნიკა და სათამაშო აზროვნება ჰავბეკს საშუალებას აძლევს იმოქმედოს, როგორც თავდამსხმელმა მოედნის მარცხნივ და ცენტრში.

2.სატრანსფერო თანხა ბოლო დროს დაბლა დაეცა. „შალკემ“ თბი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

სფფ უეფასგან სუპერთასის ჩატარების საორგანიზაციო გეგმას უახლოეს მომავალში მიიღებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო ოფიციალური წერილი უეფას გენერალური მდივნის, ჯანი ინფანტინოსაგან, რომელიც საქართველოში, თბილისში უეფას 2015 წლის სუპერთასის გამართვას შეეხება.

უეფას პრეზიდენტის, მიშელ პლატინისა და აღმასრულებელი კომიტეტის სახელით ჯანი ინფანტინომ კიდევ ერთხელ, გულითადად მიულოცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ესოდენ მნიშვნელოვანი და პრესტიჟული გათამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვება.

წერილში აღნიშნულია, რომ უეფას გადაწყვეტილებით 2015 წლის სუპერთასი თბილისში, მიხეილ მესხის სტადიონზე გაიმართება, საორგანიზაციო საკითხებს სფფ გაუძღვება და ჩვენი საქმიანობა სრულად იქნება კოორდინირებული უეფასთან.

როგორც, უეფას გენერალური მდივანი აღნიშნავს, სფფ უახლოეს მომავალში მიიღებს ევროპული ფეხბურთის შტაბბინიდან შემდგომი საქმიანობის გეგმასა და მატჩის საორგანიზაციოდ საჭირო ყველა მიმართულების (სტადიონი, ქალაქის ინფრასტრუქტურა, აეროპორტი) მომზადების გეგმას.

შედეგები

ფეხბურთი

მვეედეთი. აისვენსჯა

ბიკი–ჰეკენი 3:1
ბეფეე–გაისი 0:0
ნორჩიოპინგი–კალმარი 2:1
ელფსბორგი–მიალბი 0:0

ნოხვეგია. ტიპეელიგა

ლილესტონდი–ვიკინგი 1:1
ანდერლეხტი–ვალერენგა 0:2
ტრომსეკი–სტრომგოდსეტი 1:2
ფრელანდი–ჰაუგესუნდი 2:1
ბესენბორგი–მიოლდე 1:0

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ინტა–კუუპიო 1:1
ჯაზკალახტი 3:1

ინგლისი. ჩემპიონი ლიგა

ბლეკბერნი–სტ.პატრიკსი 1:1

ბაიერნი მინეელ ყორეყოლიანმა

კორკი–ბოპემიანსი 1:1

აშშ. მლს

ჩიკაგო–ლოს ..... ანჯელესი 0:2
ფილადელფია–ტორონტო 3:0
ნიუ ინგლენდი–ნიუ იორკი 2:0
მონრეალი–კოლამბუსი 2:1

ბრაზილია. სერია ა

სან პაულუ–კურიტიბა 3:1
სანტოსი–გრემიო 4:2
ფიგეირენსე–ვასკუ 1:1
ფლუმინენსე–ფლამენგო 1:0
ატლეტიკო(მ)–პორტუგეზა 2:0
პონტე პრეტა–პალმეირასი 1:0
რესიფე–კორინთიანსი 1:1

კალათბურთი

ოლიმპიადა. საჯვაღიფიკაციო ჩაუნდი ჯასები

ჩოგბურთი

უიმბლდონი. ჯასები. ფინალი

ფედერერი–მიურეი 4:6;7:5;6:3;6:4

ცნობილი ქართველი მევიოლინე მარინე იაშვილი გარდაიცვალა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მევიოლინე მარინე იაშვილი გარდაიცვალა, ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს. საქართველოს სახალხო არტისტი, შოთა რუსთაველისა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საპატიო პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი, მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი მარინე იაშვილი ქართული სავიოლინო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის ლუარსაბ იაშვილის შვილი და მოწაფე იყო.

მარინე იაშვილმა პირველი დიდი გამარჯვება 1949 წელს, პრაღაში, კუბელიკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე მოიპოვა. ამ კონკურსმა გაუთქვა სახელი მაშინ სრულიად ახალგაზრდა, 17 წლის მევიოლინეს, რომელიც საერთაშორისო კონკურსის პირველი ლაურეატი გახდა როგორც საქართველოს, ისე მთელი კავკასიის მასშტაბით. მომდევნო წლებში იგი კიდევ ორი, მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გახდა პოლონეთსა და ბელგიაში.

– მარინე იაშვილის საშემსრულებლო ხელოვნება გამოირჩეოდა მაღალი პროფესიული კულტურით, ტექნიკური სრულყოფილებით და ნატიფი გემოვნებით. იგი ფლობდა არსებითად მთელ სავიოლინო რეპერტუარს. დიდია მარინე იაშვილის დამსახურება ქართული მუსიკალური კულტურის წინაშეც. მის საკონცერტო პროგრამებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებას და ხშირად მათი ნაწარმოებების პირველ შემსრულებლადაც გვევლინება. მარინე იაშვილის ხელოვნებისათვის დამახასიათებელ უნივერსალიზმზე მიანიშნებს ის, რომ იგი არა მარტო უბადლო სოლისტი, არამედ შესანიშნავი ანსამბლისტი და პედაგოგიც გახლდათ, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მარადიული ფასეულობებით ხელმძღვანელობდა და მაღალ ესთეტიკურ იდეალებს ემსახურებოდა, – ნათქვამია კულტურის სამინისტროს მიერ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში.

ქართველ მევიოლინეს დიდ ნდობას და სიყვარულს უცხადებდა საქართველოს პატრიარქიც. მუსიკოსი საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე“ სამხატვრო ხელმძღვანელიც იყო. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს დედაქალაქსა და მის რეგიონებში ამ ფესტივალის ეგიდით დაუვიწყარი მუსიკალური საღამოები ჩატარდა.

ჟურნალისტებმა პოდიუმზე გადაინაცვლეს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ის და დაძაბულობის გარეშე იღიმის. ამ დროს ისინი წარმოადგენენ არა თავიანთ ჟურნალისტურ ნიჭიერებასა და შემოქმედებას, არამედ საკუთარ გარეგნობას, მომხიბვლელობას და როგორც თავად ამბობენ, ამ დღით ძალიან დიდ სიამოვნებასაც იღებენ. ამიტომაც არ მაქვს უფლება, ერთი ღამაზი დღე ჟურნალისტებს არ ვაჩუქო და ამიტომაც ეს ჩვენება სპეციალურად ჟურნალისტებისთვის უკვე მეშვიდედ ეწყობა, – განუცხადა ჟურნალისტებს დიზაინერმა დადუმ.

თუმცა ჟურნალისტების მოდელობა ამით არ ამოიწურა. საქორწინო კაბების კომპანია „მარიგოლდმა“ ჟურნალისტები პატარძლებად აქცია და მშვიდობის ხიდსა და ევროპის მოედანზე ფოტოსესია მოაწყო. ჟურნალისტები ერთხმად აღიარებდნენ, რომ უკვე მიეჩვევნენ ორ პროფესიაში მუშაობას და მათთვის ჟურნალისტობაც, მოდელობაც და ფოტოგრაფებისთვის პოზირებაც უკვე სასიამოვნო პროფესიად იქცა.

ლევან ყენია – ბროლის ტალანტი

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ლისის „ლოკომოტივიდან“ ფეხბურთელი 500.000 ევროდ შეიძინა. მას შემდეგ გერმანულმა ტრანსფერმარკტ-დე-მ ფეხბურთელი 2.000.000 ევროდ შეაფასა. სამწუხაროდ, მას 2 წელი გაუცდა და სატრანსფერო თანხამაც დაიკლო. „ზენიტში“ ის 300.000 ევროდ გადავიდა.

3.ყენია – 90-იანი წლების თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელის გიორგი კიკნაძის ნათესავია. „დინამოს“ შემადგენლობაში გიორგიმ 5-ჯერ შეძლო ქვეყნის ჩემპიონობის მოპოვება.

4.მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ლევანმა უკვე გადაიტანა საკმაოდ რთული ტრავმები და ოპერაციები. ბოლო ოფიციალური შეხვედრა ქართველმა ფეხბურთელმა 2009 წელის ოქტომბერში გამართა. სწორედ ამიტომ მას მარკ გონსალესს, ზედმეტ სახელად „ბროლი“, ადარებენ , რადგან ფეხბურთელი თავისი კარიერის განმავლობაში უფრო მეტხანს მკურნალობდა, ვიდრე თამაშობდა.

5.ყენია 14 წლის ასაკში „ბარსელონაში“ სამწვრთნელო ბანაკში მივიდა, მაგრამ იქაურ მწვრთნელებს ისე არ მოეწონათ, როგორც „შალკეს“. პირველი ოფიციალური მატჩი 16 წლის ასაკში გამართა საქართველოს ჩემპიონატში „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში.

6.ახალგაზრდა ასაკში შედგა მისი დებიუტი სანაკრებო დონეზე. ის ჯერ კიდევ 17 წლის იყო, ეროვნული მაისური რომ ჩაიცვა. მას ნაკრებში 15 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

7.ამ წელსვე ის 100 ახალგაზრდა პერსპექტიული ევროპელი ფეხბურთელის სიაში შევიდა. სპეციალისტები ქართველ ფეხბურთელს საფეხბურთო ტექნიკასა და სიჩქარეს აქებდნენ, მაგრამ ფიზიკურ მომზადებას უწუნებდნენ.

8.ყენიამ შეძლო ფელიქს მაგათის ნდობის მოპოვება, მისი რთული ხასიათის მიუხედავად. ფეხბურთელმა მიიღო „შალკეს“ ძირითადში ადგილი და სწორედ ამ დროს მიიღო ტრავმა, რომლის გამოც 2 წელი ფეხბურთს ჩამოშორდა და ვერ შეძლო გერმანული კლუბისთვის თავისი შესაძლებლობების დამტკიცება.

9.„ზენიტის“ ხელმძღვანელობამ შეისწავლა ფეხბურთელის ბიოგრაფია და თავი შეიკავა გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმებისგან. მასთან მხოლოდ 1 პლუს 2 სქემით გააფორმა კონტრაქტი.

10. გასული წლის დასასრულს, როდესაც ყენია ბოლო ტრავმას იშუშებდა, სრულიად უიმედო იყო.

– აღარ მინდა ექიმების დანახვა. ყველა მიყურებს, სწავლობს ჩემს ტრავმებს და არავინ მეუბნება რა მიზეზით ვიღებ ამდენ დაზიანებას. ერთადერთი რაც მინდა ამ ეტაპზე, საქართველოში დაბრუნებაა, – ამბობდა ლევანი 2 წელი უფეხბურთოდ ყოფნის შემდეგ.

ვახტანგ ყოლბაია: „ამ ხელისუფლებასთან გრძელ მარტო გაგვიჭირდება“



თამარ ნინიძე

ინტერვიუ „დემოკრატიული მოძრაობის“ მთავარი საბჭოს წევრ ვახტანგ ყოლბაიასთან

– არსებული საარჩევნო გარემო კრიტიკას ვერ უძლებს. აშკარაა, რომ არაკონკურენტული გარემოა. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ ვითარებისადმი?

– ჩვენ ამ საკითხს არა ერთი ბრიფინგი მივუძღვენით. ხელისუფლებას არა აქვს არანაირი მოტივაცია, რომ ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები ნორმალურ გარემოში. ჩვენი კოლეგები ოპოზიციიდან, გასაოცარია, მაგრამ არსებული საარჩევნო კოდექსის მიმართ პრეტენზიას არ გამოთქვამენ. მე არ ვგულისხმობ მაინცდამაინც მიტინგების მოწყობას, ოპოზიციის ძალები უნდა გაერთიანებულიყო, მაგრამ სამწუხაროდ, ეს ვერ ხერხდება. ოპოზიცია ადრე დათანხმდა 30%-ან ბარიერს, ამ ზღვარზე დგას ხელისუფლება, მას აქვს გარანტირებული ხმები, პრობაციონერების, საბიუჯეტო ორგანიზაციების მოსამსახურეების, პედაგოგების სახით. ფაქტია, რომ ეს 30%-იანი ზღვარი მალამოსავით არის ხელისუფლებისთვის. ბოლო გადაადგილებები სამთავრობო ვერტიკალში მიანიშნებს იმას, რომ ხელისუფლებას სერიოზული მოტივაცია აქვს არჩევნებში გასამარჯვებლად, აქ აღარ ისმის კითხვა - რატომ დღეს და არა გუშინ მოხდა ეს გადაადგილებები? ვანო მერაბიშვილს დიდი გამოცდილება აქვს არჩევნებში მონაწილეობისა 2003 წელს, მან ააწყო შსს-ში სისტემა, კურიოზული რამ თქვა საკაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროში მისვლის დროს, თქვა, რომ პოლიცია არაპოლიტიზირებულიაო.

„დემოკრატიული მოძრაობა“ გამოვედით ინიციატივით, ალტერნატიული ხმების დამთვლელი კომისია შეგვექმნა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ისე უცხოელი დამკვირვებლები, ეს იქნებოდა სახელმწიფო კომისიის ალტერნატივა. ახლახან კაციტაძემ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ქვეყანაში სამმილიონ ექვსასი ათასი ადამიანია და რომ 200 ათასი ადამიანია მხოლოდ საზღვარგარეთ წასული. ამ კომისიის გამჭვირვალობას თავიდანვე სკეპტიკურად ვუყურებდით. ამომრჩეველთა ლიგის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა კოკა გუნცაძემ ჩვენი ეჭვები სრულად დაადასტურა, რომ სიებში უდიდესი ცდომილებებია. ძალიან გაგვიკვირდა, როცა ამერიკის აწ უკვე ყოფილმა ელჩმა ჯონ ბასმა თქვა, რომ ქვეყანაში არსებობს სამართლებრივი ჩარჩო დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისა და პოლიტიკური კონკურენციისთვისო. არა მარტო შიგნით პოლიტიკური ძალები, არამედ ქვეყნის გარეთაც ადასტურებენ, რომ არ არსებობს კონკურენტული გარემო. მიუხედავად ამისა, მაინც დავიწყეთ არჩევნებისთვის სამზადისი.

– ოთხ ივლისს ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ მიღებაზე ჯონ ბასმა განაცხადა, რომ არც ერთ ქვეყანაში არ არის იდეალური საარჩევნო გარემო და კოდექსიო, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ელჩმა გვირჩია არ ვიბრძოლოთ უკეთესი საარჩევნო გარემოსთვის. თქვენი აზრი მაინტერესებს ამის თაობაზე?

– დიახ, ეს ალბათ ერთგვარი გზავნილია ხელისუფლებისთვის, რაც გინდა გააკეთე, მაინც დემოკრატიულ არჩევნებად ჩაითვლებაო. დასავლეთს მიაჩნია, რომ დემოკრატიის გზაზე შემდგარ ქვეყნებს ამ პროცესში შეიძლება სერიოზული პრობლემები შეექმნეთ და ამიტომ დიდი მოთხოვნილებები არ უნდა ჰქონდეთ. ეს არასწორი პოზიციაა. გამოდის, რომ კიდევ ასი წელი უნდა ვითმინოთ არადემოკრატიული გარემო, მათ შორის, არჩევნების დროსაც.

– ევროპა და ამერიკა მიიჩნევენ, რომ სამხრეთ კავკასიაში სამ რესპუბლიკას შორის ყველას წინ ვუსწრებთ დემოკრატიის ხარისხით.

– თქმა ერთია, მაგრამ რეალობა მეორეა. არ არსებობს ხარისხობრივი მაჩვენებელი დემოკრატიულობისა, ერთ ქვეყანას უთხრა, ამას რომ აკეთებ, არადემოკრატიულად იქცევიო და მეორეს უთხრა, როცა ხედავ, რომ არადემოკრატიულად იქცევა, დემოკრატი ხარო. ხელისუფლებები ან იქცევიან დემოკრატიულად ან - არა.

– ჩვენს ხასიათში დევს, რომ ტოლერანტები ვართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შევეგუოთ დიქტატურას.

– კანონმორჩილები ვართ და ტოლერანტულები, მაგრამ ეს მართლა არ ნიშნავს იმას, რომ გაყალბებულ არჩევნებს შევეგუოთ და ხმა არ ავიმაღლოთ. ხელისუფლება არ გრძნობს თავს არაკომფორტულად, პირიქით, კომფორტულად არის იმ გარემოში, რომელიც მან შექმნა. თანაც მეტსაც გეტყვით, რვა წლის მანძილზე რომ პრეორიტეტები არ დასახა და დღეს ამ რვა წლის შემდეგ საუბრობს სოფლების აღორძინებაზე, ესეც ამაზე მეტყველებს. ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა ადამიანების კეთილდღეობის შექმნა, ყველა ის დაპირება, რაც რვა წლის წინ ნაცმოძრაობას ჰქონდა, არც ერთი შესრულებული არ არის. ახლა აპირებენ ამ დაპირებების შესრულებას. ამათ უნდოდათ, რომ საქართველო მხოლოდ ტურისტული ქვეყანა ყოფილიყო, მაგრამ ეს ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს და არა ერთადერთი. ოპოზიციის წარმომადგენლები მიყვებოდნენ, თიანეთის სოფლებში არც შეყვანილი იყო ტრაქტორები და არც გამოყვანილი, არავის თვალით არ უნახავს. ახლა, სა[illegible] ჩვენო კამპანიის დროს იძ[illegible] ან ისევ დაპირებებს და მერ[illegible] დაავიწყდებათ. ამიტომ, ხალ[illegible] არ უნდა მისცეს მათ ხმა, [illegible] გამოუცხადოს მხარდაჭერა.

– საარჩევნო გეგმებ[illegible] მინდა გკითხოთ. 7 ივლისს „[illegible] რების“ კონგრესი იყო და იქ[illegible] ტობრივად გადაწყდა, რომ [illegible] ბლოკად გაერთიანდებ[illegible] შიაშვილი, ასათიანი, კუკ[illegible] რას აპირებს „დემოკრატ[illegible] მოძრაობა“, შეუერთდები[illegible] ბლოკს?

– მიმდინარეობს კონს[illegible] ტაციები.

– გავრცელდა ინფორ[illegible] ცია, რომ ქალბატონი ბ[illegible] ძე ელოდება „ქართული [illegible] ბიდან“ საბოლოო გადაწყვ[illegible] ლებას, შეუერთება თუ არა [illegible]

– ქალბატონ ნინოს არ[illegible] არ უთქვამს მსგავსი რამ. მ[illegible] კონსულტაციები და მოლაპ[illegible] კებები იყო მაჟორიტარ კან[illegible] დატებზე. ვადასტურებ, რომ [illegible] დინარეობს მოლაპარაკებ[illegible] კუკავასთან, შაშიაშვილთან, [illegible] ღათურიასთან. საბოლოოდ [illegible] მოყალიბებული არ ვართ, ბ[illegible] ში გავერთიანდებით თუ მარ[illegible] ვიქნებით ამ არჩევნებზე, თ[illegible] ცა, მარტო მყოფებს გაგვიჭ[illegible] დება ბრძოლა ხელისუფლ[illegible] ამ სისტემასთან. ამას კარ[illegible] ვაცნობიერებთ. სოსო ჯაჭვ[illegible] ანი და ლუკა კურტანიძე მ[illegible] ბენ არჩევნებში მონაწილ[illegible] მაჟორიტარ კანდიდატებად.

15 პოლიციელს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს

დაღესტნის რაიონის სოფელ ლენინკეთის მაცხოვრებლებმა 15 პოლიციელს მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. სამართალდამცავები ტვინის შერყევით და სხვა მძიმე დაზიანებებით, საავადმყოფოში არიან გადაყვანილნი.

ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია პოლიციაში არსებულ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

სოფლის მაცხოვრებლები სამართალდამცავებს მას შემდეგ დაესხნენ თავს, როდესაც სამართალდამცავები რამდენიმე დღის წინ, სოფელში შსს პოლიციის მანქანებზე თავდასხმის და აფეთქების ფაქტს იკვლევდნენ. უნომრო მანქანაში მსხდომმა სამმა უცნობმა პირ[illegible] ნებამ მაშინ პოლიციელების [illegible] ქანებს ცეცხლი გაუხსნეს და [illegible] მი სამართალდამცავიც [illegible] ლეს.

დაღესტნის შს სამინ[illegible] ტრო ამ ინფორმაციას ჯერ[illegible] რობით არ ადასტურებს.

მოამზადა გერა მამულაშვილ[illegible]

ჯოსვოხდი ბ



ზვეულად: 1. გრეიპრუტის ქართული სახელწოდება; 2. მდინარე დნეპრის ძველბერძნული სახელწოდება; 3. განუწყვეტელი შეტევა კრივში; 4. ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილი; 5. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 9. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; 11. ცნობილი ფრანგი მეტალურგი; 12. პატარა დასახლებული პუნქტი; 14. მსხვილად დაფქული სიმინდის მარცვალი; 18. ორსართულიანი ლაზური სახლი; 19. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 4. რძის პროდუქტი; 5. მცენარეულის მჭამელი ცხოველი; 6. ლუდის სასმელი კათხა; 7. ხმადაბლა სიცილი; 8. პატარა სამგზავრო-სატვირთო ავტომობილი; 10. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 13. ღვარძლიანი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 15. აჭარული საქორწინო-სანახაობითი წარმოდგენა ძველად; 16. საქონლის სუფთა წონა შეუფუთავად; 17. ეკვადორის დედაქალაქი; 20. საქვეყნო საქმისთვის გაწეული შრომა, ამაგი; 21. მჭრქალი, ცისფერი, ძვირფასი ქვა; 22. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საფრანგეთში; 23. პატარა მოთხრობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმ[illegible]

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

ჯროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 6. ინდოსამენტი; 7. კომპასი; 8. კრიტიკა; 9. მელაძე; 13. ვიზა; 14. მარანი; 18. არკანზასი; 19. კოლტი; 21. მარტი; 22. რეალი; 23. ლანდსლაგი; 24. კვირიაკე.

ზვეულად: 1. ენანთემა; 2. ასპინძა; 3. ეტაპი; 4. კონიაკი; 5. დაკრონი; 10. ვატიკანი; 11. ბაკქანალია; 12. ანორაკი; 15. ლანდშაფტი; 16. იქიდნე; 17. კომანდა; 20. დაფნა.

სკანვორდი პასუხები:

1. მის; 2. სიმენსი; 3. დონ; 4. ნიდაო; 5. ფორბსი; 6. ბუერა; 7. [illegible] სპირიტიზმი; 8. რა; 9. აკა; 10. თუნუქი; 11. ელია; 12. ანონა; 13. [illegible] ტეზაურუსი; 14. ბარამბო; 15. ნონა; 16. ტომაზო; 17. ბანზაი; 18. იდეა; 19. მუზა; 20. არისა; 21. ისინდი; 22. ტაუ; 23. როდენი; 24. ბურახი; 25. [illegible] ხარაჩო; 26. რუბლი; 27. პონი; 28. კუპიდონი; 29. რე; 30. ნანო; 31. ოქრო; 32. ავინიონი.

სურათებზე: ორნელა მუტი; დუგლას მაიკონი.

...ქაბული 16 მილიარდ დოლარს ...მილებს

...ტოკიოში ჩა...ბული სპეციალური პრესკონფერენციის შედეგად, ...მესაც მსოფლიოს 70-ზე მეტი ქვეყნის და ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, ...ყდა, რომ ავღანეთს საერთაშორისო ...ერების ფონდი... 16 მილიარდ დოლარს მიი... კონფერენცია ავღანეთი... 2014 წელს ნატოს ჯარების ...ანას და ქვეყნის შემდგომ ...უკიდებელ განვითარებას ...ანა.

...გაროს გენერალური ...ნის პან გი მუნის განცხადებით, ავღანეთს ისტორიული მო... დაუდგა.

– დადგა მნიშვნელოვანი ...ისტორიული მომენტი ავღანეთის ...ცხოვრებაში. ქვეყანა საერთაშორისო დახმარებიდან ...დამოუკიდებელ განვითარებაზე გადადის, – განაცხადა გენერალურმა მდივანმა.

...თავის მხრივ ავღანეთის ...პრეზიდენტის ჰამირ კარზაის ...ანცხადებით, ავღანეთი პრო... დაბს, რომ გააგრძელებს კო...ციასთან ბრძოლას, განა...ითარებს დემოკრატიულ ღი...ებულებებს ქვეყანაში, დაი...ცავს მოქალაქეების ღირსებასა ...და უფლებებს.

...ფონზე, ავღანეთის აღ...ოსავლეთსა და სამხრეთ რაი...ონებში განხორციელებული ტე...ტორიისა და ყანდაგარის პრო...ვინციაში თავდასხმის შედეგად, 7 ნატოს ჯარისკაცია დაღუპული.

დაღუპულთა ვინაობა არ ...ხმაურდება.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, თალიბებმა პასუხისმგებლობა განხორციელებულ ტერაქტზე და თავდასხმაზე უკვე აიღეს. სააგენტოს ინფორმაციით, ექვს ჯარისკაცთან ერთად, ტერაქტის შედეგად, 18 ადგილობრივი მაცხოვრებელია გარდაცვლილი.

ავღანეთში 2001 წლის შემდეგ, ალიანსის მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყებიდან, კოალიციური ჯარების სამი ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურეა დაღუპული.

ჰამიდ კარზაის დროებითი მთავრობა 2001 წლის ბოლოს შეიქმნა. 2004 წელს ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები. ხელისუფლებამ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში ადგილობრივ საველე მეთაურთა წინააღმდეგობების დაძლევა.

რუსეთსა და უკრაინაში გლოვის დღე გამოაცხადეს

რუსეთსა და უკრაინაში გლოვის დღეა. რუსეთში კრასნოდარის მხარეში წყალდიდობის შედეგად დაღუპულ 171 ადამიანს, ხოლო უკრაინაში 7 ივლისს მომხდარი ტრაგედიის შედეგად დაღუპულ 17 ადამიანს გლოვობენ.



რუსეთისა და უკრაინის ქალაქებში, აგრეთვე საზღვარგარეთ სახელმწიფო დაწესებულებებში დაშვებული იქნება სახელმწიფო დროშები. სატელევიზიო არხებზე შეზღუდული იქნება გასართობი გადაცემებიც.

რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 159 ადამიანი კრიმსკის რაიონში, 9 – გელენჯიკში, 2 კი ნოვოროსისკში დაიღუპა.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, დაღუპულთაგან 20-ის ამოცნობა ამ დრომდე ვერ ხერხდება. სამედიცინო დახმარება 205 ადამიანს დასჭირდა, მათ შორის 48 ბავშვია, ჰოსპიტალიზებულია 159 ადამიანი, რომელთაგანაც 16 არასრულწლოვანია. კრასნოდარის მხარეში სამაშველო ოპერაციები გრძელდება.

კრასნოდარის მხარეში უკვე ჩაფრინდა რუსეთის პრეზიდენტი. ვლადიმერ პუტინის განცხადებით, წყალდიდობის შედეგად დაზარალებულ თითოეულ ოჯახს პირველადი დახმარების სახით გამოეყოფა 10 000 რუბლი. სამხარეო ხელისუფლება თითოეულ დაზარალებულს 50 000, ხოლო რუსეთის ფედერაცია 100 000 რუბლს გამოუყოფს. გარდაცვლილთა ოჯახებს კომპენსაციის სახით 1 მილიონი რუბლი გადაეცემა, დაკრძალვის ხარჯებს კი სახელმწიფო თავის თავზე აიღებს.

მეორე ტრაგედია უკრაინაში კიევი-ჩერნიგოვის ტრასაზე მოხდა. ავტობუსს მომლოცველები მონასტერ „პოჩევსკაია ლავრაში“ მიჰყავდა. ავტობუსი საგზაო ნაწილიდან გადავიდა, რის შედეგადაც გარდაიცვალა 17, ხოლო დაშავდა 29 ადამიანი. წინასწარი მონაცემებით, ტრაგედიაში დამნაშავე მძღოლია, რომელმაც ავტობუსის საჭე ვერ დაიმორჩილა. დაზარალებულ მომლოცველებს ფსკოვის ოლქის ხელისუფლება 200 000 რუბლს, ხოლო გარდაცვლილებს 600 000 რუბლს გადაუხდის.

შეგახსენებთ, რომ კრასნოდარის მხარეში წყალდიდობა გადაუღებელმა წვიმებმა გამოიწვია. ექსტრემალური სიტუაცია გელენჯიკის, ნოვოროსისკის, ყუბანის რაიონებში გამოცხადდა. თუმცა, კრასნოდარის მხარის მაცხოვრებლები და რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ამდენი მსხვერპლი არა სტიქიურმა უბედურებამ გამოიწვია, არამედ ხელისუფლების ბრძანებამ გაეხსნათ ნებერჯაევსკის წყალსაცავი, რათა ნოვოროსიისკი გადაერჩინათ, სამაგიროდ გაწირეს კრიმსკი და კრასნოდარის სხვა ქალაქები.

როგორც კრიმსკის მაცხოვრებლები ჰყვებიან, ქალაქში მოვარდნილმა წყალმა მთლიანად დაფარა ერთსართულიანი სახლები, წყალს კი ქუჩებში ავტომანქანები, საყოფაცხოვრებო ნივთები, დამხვრჩვალი ადამიანები და მოგლეჯილი ხეები მოჰქონდა. ქალაქში მხოლოდ ადმინისტრაციული შენობა და კინოთეატრი გადარჩა, რომელიც ქალაქის შემარლებულ ადგილას, გორაზე დგას. რუსული მედიის ცნობით, ამ ბოლო შესახებ საუბრობენ პარტია „იაბლოკოსა“ და რუსეთის გარემოსდამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

– კრიმსკის მაცხოვრებლები მიმართავდნენ ხელისუფლებას, რომ არსებობდა ნებერდჟაევსკის წყალსაცავის მიერ ქალაქის დატბორვის საფრთხე, თუმცა ხელისუფლებამ მოსახლეობის თხოვნა არ გაითვალისწინა, – აცხადებს პარტია „იაბლოკოს“ ლიდერი სერგეი მიტროხინი.

როგორც პარტიაში აცხადებენ, რამდენიმე წელია წყალსაცავის ექსპლუატაციის პირობები კატასტროფას მოასწავებდა, რადგან ამ წყალსაცავს წყლის დონის მარეგულირებელი არ გააჩნდა.

– აქედან გამომდინარე, ძლიერი ნალექის დროს ვერ ხერხდებოდა წყლის დონის დაწევა, – ირწმუნებიან პარტიაში.

ამასთან, რუსული მედიის ცნობით სტიქიის ზონაში არ იმუშავა შეტყობინების სისტემამ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი ტრაგედიას სტიქიური უბედურების კვალიფიკაცია მისცა. ისინი კატეგორიულად გამორიცხავენ ვერსიას, თითქოს ტრაგედია წყალსაცავმა გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ სტიქიამ განსკუთრებული ზიანი კრიმსკს მიაყენა, სადაც წყლის დონემ 7 მეტრს მიაღწია.

კრასნოდარელებს ხელისუფლების არ სჯერათ. მხარის მოსახლეობის ეჭვების გასაქარწყლებად, შეიქმნა წყალდიდობის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებული კრიმსკის 5 მოსახლის საინიციატივო ჯგუფი. ჯგუფს ვერტმფრენიდან ნებერდჟაევსკის წყალსაცავის მონახულების საშუალება მისცეს. თავდაპირველად კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ალექსანდრე ტკაჩევი სიამაყით აღნიშნავდა, რომ ჯგუფის წევრებმა წყალსაცავის მონახულება დაასრულეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ წყალსაცავიდან წყლის გაშვებას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, „რია ნოვოსტი“ აღნიშნავს, რომ ჯგუფის წევრები წყალსაცავის მონახულებით უკმაყოფილოები დარჩნენ. ერთ-ერთი მონაწილის თქმით, მათ მეორე წყალსაცავის მონახულებაზე უარი უთხრეს, რის მიზეზადაც საწვავის უკმარისობა დაასახელეს.

– ტკაჩევმა ჩვენ გვითხრა რომ იქ მიგვიყვანდნენ სადაც ვეტყოდით, თუმცა როდესაც ვერტმფრენში ჩავსხედით მფრინავებმა გვითხეს, რომ საკმარისი საწვავი არ ჰქონდათ და მხოლოდ ნებერდჟაევსკის წყალსაცავს ვნახავდით, – აღნიშნავს ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ალექსანდრე დუმცევი. ნებერდჟაევსკის წყალსაცავის გარდა, ადგილობრივებს ატუკაევსკის წყალსაცავის მონახულებაც სურდათ, ვინაიდან მათი აზრით წყალი, შესაძლოა, სწორედ ამ წყალსაცავიდან გაუშვეს. მათი აზრით, წყალსაცავებიდან წყალი გაუშვეს რათა არ დაზიანებულიყო ნავთობის ბაზა, რომელიც გრუშევაიას დასახლებულ პუნქტთან ახლოს მდებარეობს.

– ჩემი აზრით მათ იქ მიგვიყვანეს, სადაც ხელისუფლებას აწყობდა. მე ეჭვი მაქვს, რომ ხელისუფლებამ იცის ნამდვილი მიზეზის შესახებ, თუმცა ამაზე საუბარი არ სურთ, – აღნიშნავს ჯგუფის სხვა წევრი პაველ სოროკაპუდი. კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ალექსანდრე ტკაჩევი ირწმუნება, რომ 7 ივლისს მომხდარი წყალდიდობის მიზეზი, რომელსაც 170-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა აბსოლიტურად მოულოდნელი იყო და კატასტროფის თავიდან ასაცილებლად არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა.

8 ივლისს ტკაჩევი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა, თუმცა ვერ შეძლო მათი დარწმუნება, რომ ეს ყველაფერი ხელოვნურად არ მომხდარა. თავის მხრივ, რუსეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამინისტროს ხელმძღვანელის ვლადიმერ პუჩკოვის განცხადებით, კრასნოდარის მხარის მოსახლეობა მოსალოდნელი წყალდიდობის საფრთხის შესახებ სრულყოფილად ინფორმირებული არ იყო, ვინაიდან იმ სისტემამ, რომელსაც მოსახლეობა უნდა გაეფრთხილებინა შესაფერისად ვერ იმუშავა.

– წინასწარი შეფასებით, მოსახლეობის გაფრთხილება ორგანიზებული იყო, თუმცა კომპლექსური სამუშაოები არ ჩატარებულა. სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელობის მხრიდან დაშვებული იქნა შეცდომებიმ, – ასეთი პასუხი გასცა პუჩკოვმა ვიცე-პრემიერ დმიტრი როგოზინის შეკითხვას, თუ რატომ არ იყო ყუბანის მოსახლეობა წყალდიდობის შესახებ გაფრთხილებული.

ამ ფონზე, სტიქიისაგან განადგურებულ კრასნოდარის მხარის ყირიმის რაიონში დაუდგენელი ასაფეთქებელი მოწყობილობა აფეთქდა, რომელმაც ორი მოზარდის სიცოცხლე შეიწირა. ამას გარდა, აფეთქების შედეგად ტრამვირებულია მესამე მოზარდი. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.

სამართალდამცავთა მონაცემებით, აფეთქება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინდორზე მოხდა. მათივე ვარაუდით, შესაძლოა მინდორში დიდი სამამულო ომის დროინდელი ნაღმი აფეთქებულიყო.

აზერბაიჯანის პირველი პრეზიდენტი სამშობლოში დაბრუნდა



სამშობლოდან 20 წლიანი გაძევების შემდეგ აზერბაიჯანის პირველი პრეზიდეტი აიაზ მუთალიბოვი ბაქოში დაბრუნდა. მისი დაბრუნება „ექს-პრეზიდენტის სტატუსის“ შესახებ კანონის მიღების შემდეგ გახდა შესაძლებელი, რომლის მიხედვითაც აზერბაიჯანის ყოფილ პრეზიდენტს იმუნიტეტი მიენიჭა. მუთალიბოვი ადრე მოსკოვში ცხოვრობდა.

დაცვის გარდა, მუთალიბოვს კარგი პენსიაც დაენიშნა: ყოველთვიურად ის მოქმედი პრეზიდენტის ხელფასის 50 %-ს მიიღებს. ადრე მუთალიბოვის წინააღმდეგ 1990 წლის იანვრის მოვლენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. ბრალდებები უკავშირდებოდა 1990 წლის იანვარში საბჭოთა ჯარების მიერ ძალის გამოყენებას აზერბაიჯანელი ნაციონალისტების წინააღმდეგ. ერთი წლის წინ მას შვილის დასაფლავების დასასწრებად ბაქოში ჩასვლის ნება დართეს. მუთალიბოვის შვილი, აზადი, 49 წლის ასაკში კიბოთი ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.

მოამზადა გერა შამულაშვილმა

TV პროგრამა

სამშაბათი 10 ივლისი

1 07.30 ჩვენი დილა 09.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.45 მხ. ფ. „ავტომარბოლელი„ (ს. სარანდონი) 15.00 სერ. „დეტექტივები„ 17.00 მედინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. „ოჯახური გამოძიება„ 21.00 სერ. „დეტექტივები„ 22.00 დიალოგი დ.პაიჭაძესთან. 23.00 მხ. ფილმი „შაფტი„ 01.00 მხ. ფ. „დაუვინყარი„ 02.30 მხ. ფ.„სერიული მკვლელი„ (15) (ჯ. ვუდსი) 03.00 მხ. ფილმი „10.5 ბალი„ 06.00 დოკ. ფილმი „სამყარო„.

2 08.00, 00.45 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 13.45, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ. ფილმი 16.00 დოკ. ფილმი 17.00 სერ. „პარვიზთარი საიდუმლო ჩვენს შორის„ 20.00 მხ. ფილმი „ძალწული დედოფალი„ 3-4 სერ. 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი „სასიყვარულო წერილი„

9 07.30 იმედის დილა 10.05 ან. ფილმი „სპანჯ ბობი„ 10.30 სერ. „მოპარული გედნიერება„ 11.30 ქრონიკა+ 11.00, 11.30, 14.00, 17.00, 20.00, 01.30, 05.15, 07.00 ქრონიკა 11.50 სერ. „უკვდავი ამბავი„ 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. „ღვინის გზა„ 15.40 ღამის შოუ (გან.) 17.40 სერ. „მეწამული ცა„ 18.40 სერ. „შურისძიების სახელით„ 21.00 სერ. „ემოკვიდრეები„ 22.00 ნანუკას შოუ 23.40 სპეც რეპორტაჟი (გან.) 00.40 მხ. ფილმი „დიდი არდადეგები„ 02.45 მხ. ფ. „ილაის წიგნი„ 04.40 მხ.ფ.„ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი„ (პ.ნიუმან) 06.05 მუსიკა.

ჩ 07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. „დედის გული„ 11.00 სერ. „ეჰვი და სიყვარული„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.30 ვანოს შოუ 17.00 სერ. „ტერეზა„ 18.45 სერ. „მეზნეპარე გული„ 19.50 სერ.„ველური ყვავილი„ 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 23.00 თქვენი შოუ 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (ტიტ.)

D 08.00 ან. ფილმი 08.55 სერ. „ჩემი შეყვარებული„ 09.45, 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფილმი 12.20 სერ.„მარტოხელა მტრედი„ 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.15 ან. ფილმი 17.10 სერ. „ველური მთვარე„ 18.00 სერ. „ალეოპატრა„ 19.00 გზა ლონდონისკენ 20.00 სერ. „ვნებათა მიწა„ 21.00 სერ.“გაუხსნელი საქმე„ 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა 02.00 მხ. ფილმი

5 08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 „დრო„ 09.00 მუსიკა 09.30 სერ. „საიდუმლო აგენტების თავგადასავალი„ 10.30 დოკ. ფილმი „ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ„ 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერ. „საბა„ 12.50, 19.35 სერ. „ეკეთილშობილი თალლითები„ 13.50 სახლი ბათუმში 15.15 სერ. „საიდუმლო აგენტების თავგადასავალი„ 16.00 დოკ. ფილმი „ალატინის ქორწინებები„ 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი „ჰოლივუდი მაფიის წინააღმდეგ„ 19.30 ანონსი. 19.35 სერ. „ოსტატი და მარგარიტა„ 23.00 დოკ. ფილმი „ისინი„ 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება 08.30 განთიადი 10.00, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35, 21.25 უნიგნოდ თვადთახედვის ისარი მოკლეა. 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.05 საეკლესიო კალენდარი. 12.10 მხ. ფილმი „მოცურავე„ 13.30 კონცერტი: ნიკოლოზ რაჭველი. 15.05, 18.55, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 განთიადის სტუმარი. 15.35 დოკ. ფ. „ველური ბნუება„. 15.55 მხ. ფილმი „ლომა“. 17.05 საუკუნის პორტრეტები – კირიონ II. 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 18.10 გუთნისდედა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.00 სიახლენი. 19.20 მხ. ფილმი „მოცურავე„. 23.15 დოკ. ფილმი „ეკლესიის საჭეთმპყრობელი – კირიონ სამაგლიშვილი„. 23.30 დოკ. ფილმი „სახარები წმინდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის შესახებ“. 00.05, 02.30 სიახლენი. 00.35 განთიადის სტუმარი 00.55 ერთსულოვნების სალონი. 01.50 კარაბადინი.

პროგრამები იბეჭდება საგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

სამგლოვიარო განცხადებები

ზურაბ ხარაიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავს, რომ გარდაიცვალა შვილის ნათლია, ჭეშმარიტი მამული შვილი, ღირსეული მეგობარი, ირგვლივ სიკეთის მთესველი, ქირურგი

თენგიზ დავითის ძე ქანთარია

ჩვენო ნუკრი, შენი სხეულიდან სულის უეცარი ამოფრენა შოკის მომგვრელი იყო ჩვენთვის. ყველას თანავუგრძნობთ.

მეუღლე ლილი ონიანი, შვილები კახა, ნესტანი და ნუნუ კეციანები, რძალი ნანა შუკვანი, სიძეები თამაზ კვასალია, თენგიზ ჩართოლანი, შოთა ბერეკაშვილი, შვილიშვილები მაკა, ბაია, კოკა, კახა, ნუცა, დიმა, თამუნა, შვილთაშვილები თამაზი და დათა ღრმა მწუხარებით იუწყებიან

აკაკი (კაკო) კვიციანის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 10, 11 ივლისს, 16 საათიდან, სოფელი დიღომი, 13 ასურელის ქუჩა.

გამოსვენება: 12 ივლისს, 15 საათზე, საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

პეტრე ბერაია, დემურ გადელია, ვიტალი ხაზარაძე, ...ანო ყულიჯანაშვილი, ვახტანგ კიკნაძე, მელორ ტყეშელაშვილი, საველ მარსაგიშვილი მწუხარებას გამოთქვამენ კახა კვიციანის მამის

აკაკი კვიციანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დალი, პეტრე შვილებით, ნანა, შალვა ბერაიები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ დემურ გადელიას მეუღლის

ნელი გადელიას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე დემური, შვილი დავითი, რძალი ქრისტინე, შვილიშვილი დემურ გადელიები, ძმისშვილი გიორგი გელაშვილი, რძალი მარიანა (კუსა) კალანდარიშვილი, ბიძაშვილი სვეტლანა და ნანა გელაშვილები, მაზლები აპოლონი, თამაზი, მულები ანგელინა, ლეილა, ანა, რძლები დინარა, იზოლდა, ცინარა, დიანარა, სიძეები ზაური, შოთა, მძახლები ნუნუ, ნოდარ ზაზაძეები და ახლო ნათესავები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნელი გელაშვილი-გადელია

პანაშვიდი: 10, 11 ივლისს, 17 საათზე, თბილისი, ვაზისუბნის ქ.№74.

გამოსვენება: 12 ივლისს, 14:30 საათზე, ვაკის სამების ეკლესიიდან (ჭავჭავაძის გამზირი).

დაკრძალვა: საბურთალოს სასაფლაოზე.

საგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

10 ივლისი

- აშშ დოლარი — 1,6369
- ევრო — 2,0455
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5586
- რუსული რუბლი — 0,0498

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-27, ღამით — 18-19.

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 22-25, ღამით — 17-18.

14 ივლისიდან!
დიდი საზაფხულო აქცია
ქართული მწერლობის საუნჯე
„ახალ თაობასთან“ ერთად

ფასი 5 ლარი

ასტროპროგნოზი
10 ივლისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ! წარმატებული დღეა

ვერძი — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კურო** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** — არავის ენდოთ, საკუთარ თავს დაუჯერეთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ფული გაქვთ. **ლომი** — თავს მიხედეთ, დიდი გამარჯვება გელით. **ქალწული** — არ აყვეთ ნერვებს, სადარდებელი არაფერია. **სასწორი** — ნუ ეჭვიანობთ, არ არის საჭირო. **ღრიანკალი** — ახალი საქმე გაამართლებს, მთავარია იაქტიუროთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღეა, მიიღეთ მსუბუქი საკვები. **თხის რქა** — კარგ ფორმაში ხართ, სანადელს მიაღწევთ. **მერწყული** — სახლში კარგი ამბებია, გახარებილი ხართ. **თევზები** — გაანაწილეთ დრო, ნე გაფლანგავთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ნინო სუხიშვილი: მოცეკვავეებს დავეხმარებით

ეკა ირემაშვილი

სასტუმრო „მარიოტში“ ქართული ცეკვის თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ. მათი თავშეყრის მთავარი მიზეზი ცნობილი ქართველი მოცეკვავის, თენგიზ სუხიშვილის სახელობის საქველმოქმედო ფონდის დაფუძნება გახდა. ფონდი, რომელიც მომავალში ქართველი მოცეკვავეების დახმარებაზე იქნება ორიენტირებული, მოცეკვავის შვილებმა ნინო და უმცროსმა ილიკო სუხიშვილმა დააფუძნეს.

ფონდის პრეზენტაციაზე მათ მიერ მიწვეული იქნა როგორც ძველი, ასევე ახალი თაობის მოცეკვავეები, ანსამბლის გულშემატკივრები, კოლეგები, საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები, რომლებსაც თენგიზ

გაგრძელება მე-8 გვერდზე

სანიკიძე „სიენასთან“ კონტრაქტის გაფორმებასთან ახლოსაა

ვიქტორ სანიკიძეს რომ შთამბეჭდავი სეზონი ჰქონდა და მას რომ არაერთი კლუბისგან ექნებოდა შემოთავაზება, ეს საკამათო არაა. როგორც ჩანს, სანიკიძე კარიერას იტალიურ გრანდ „სიენაში“ გააგრძელებს.

სპორტული ინტერნეტგვერდი ავრცელებს ინფორმაციას, რომ სანიკიძე ახლოსაა „სიენასთან“ კონტრაქტის გაფორმებასთან. სხვათა შორის, ამ ვებგვერდმა გაავრცელა გიორგი შერმადინის შესახებაც ინფორმაცია, „მაკაბისთან“ კონტრაქტი გააფორმაო, რომელიც მოგვიანებით სიმართლე აღმოჩნდა.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. ისე კი, გასაკვირი სულაც არ[illegible] რომ „სიენას“ ქართველი ფორვარდის შემატება მოსურვებოდა. გასულ სეზონ[illegible] ქართველმა კალათბურთელმა „მონტეპასკის“ წინააღმდეგ გამართული ორ[illegible] მატჩი უმაღლეს დონეზე ჩაატარა. გასვლით შეხვედრაში 10 ქულა, 19 მოხსნა [illegible] 4 პასი მიითვალა, საშინაო თამაშში კი – 16 ქულა, 15 მოხსნა და 3 დაფარებ[illegible]

მოამზადა მიხეილ ყორეულ[illegible]

ჯოსვოჰდი

შვეულად: 1. საგნის ზუსტი განსაზღვრა, დახასიათება, მისი ყველაზე არსებითი ნიშნების საშუალებით; 2. ძვირფასი ლითონების წონის საზომი ძველებური ერთეული საქართველოში; 3. პამიდვრით, ბადრიჯნით მომზადებული ცხვრის ხორცის ნ[illegible]ანი კერძი; 4. მონღოლთა სახელწოდება ძველად საქართველოში; 5. ფოტოგრ[illegible]ის სახელოსნო; 11. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 12. პოპულარული კლიმატ[illegible] კურორტი ლიტვაში; 14. ხორბლის უძველესი ქართული ჯიში; 16. პირველი [illegible]ლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 17. უკრაინის ფეხბურთელთა ნაკრების წევრ[illegible]ლი; 19. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 21. [illegible]რეთა სამყარო; 22. დედალი ღორი.

თარაზულად: 1. ორგანიზმის მემკვიდრეობისა და ცვალებადობის შ[illegible]ლელი ბიოლოგიის ნაწილი; 7. გემის გამაწონასწორებელი ტვირთი; 8. სამ[illegible] კორეის დედაქალაქი; 9. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში; 10. მბრეგდის ბარტყ[illegible] ფრანგი მწერალი; 15. თეატრალური წარმოდგენის, კონცერტის ან მსახ[illegible] გასტროლების მომწყობი აგენტი; 18. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; [illegible] ბილიარდის მაგიდის ნაწილი; 21. ავსტრიელი ექიმი, ფსიქოანალიზის ფუძემ[illegible]ლი; 23. სამეცნიერო საკითხებზე გამართული საერთაშორისო თათბირ[illegible] პროვინცია იტალიაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვ[illegible]



4 ივლისიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო“



ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

იტალიური კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებსაც კრებითი სახელით – „მაფია“ მოიხსენიებენ, XIX საუკუნის 60-იანი წლებისთვის ტრადიციული ბანდიტიზმის ნიადაგზე აღმოცენდა და მთელი სიცილია მოიცვა. მისი გავლენა მალე გასცდა იტალიის ფარგლებს და XX საუკუნის დასაწყისში ორგანიზაციის ათასობით წევრი, მეტწილად არალეგალურად, შეერთებულ შტატებში დამკვიდრდა. მალე მაფიის საცეცები ამერიკის ცხოვრების ყველა სფეროს მოედო, ხოლო ნარკოტიკებით ვაჭრობის ინდუსტრიაში მისი წამყვანი როლის გამო, მაფიამ საკუთარი ქსელი ბრიტანეთში, კანადასა და ავსტრალიაშიც შექმნა.

მაფიის წევრთა უმრავლესობა დაუნდობელი, ანტისოციალური ელემენტი და კრიმინალი იყო. მიუხედავად ამისა, მათი „ლამაზი“ ცხოვრების სტილი საზოგადოებისთვის ძალზე მიმზიდველი აღმოჩნდა – ათასობით კანონმორჩილი მოქალაქე დგებოდა რიგში ე.წ. განგსტერული ფილმების სანახავად, ხოლო ცნობილი პიროვნებები განგსტერების მხრიდან მის მიმართ გამოჩენილი ყურადღებით იწონებდნენ თავს.

„მაფიის ისტორია“ ალ კაპონეს, ლაკი ლუჩიანოს, ბენჯამინ „ბაგსი“ სიგალის, ტომაზო ბუშეტას და სხვა ცნობილი „მაფიოზების“ ცხოვრებაზე, მათი ოჯახების, კოდექსის, დანაშაულებისა და მკვლელობების შესახებ მოგვითხრობს. იგი წარმოადგენს ვრცელ და ამაღელვებელ ამბავს, რომელიც გაჟღენთილია სისხლით და აღსავსეა მუხანათობით...